ISSN 1512 - 4649

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2 2013 წელი

1591
2013

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

**აღიარებულია რეფერირებულად:**

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: neweko2007@yahoo.com;
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:**

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Caucasus International University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade.

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: neweko2007@yahoo.com;
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი
# ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(29), 2013

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი; ევგენი ბარათაშვილი; ელგუჯა ბათიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენზი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ალექსანდრე კუჭუხიძე (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ენვერ ლაგვილავა; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; აკაკი ხელაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

29374

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2013წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 5 ლარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# the new ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED #2(29), 2013**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doctor of Busines Administration, Assosiated Professor, Academic of the Georgian Academy of Business Sciences. Academic of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ALEKSANDRE KUCHUKHIDZE (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Minister of Regional Development and Ifrastrusture of Georgia); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI (Deputy of Rector of Iv. Javakhishvili Tbilisi State University); NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; AKAKI KHELADZE (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University); MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI.

რედაქტორის გვერდი

დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპები . . . 5

მთავარი გვერდი

სააღდგომო ეპისტოლე . . . 9

მთავარი თემა

ინტერვიუ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან - ბატონ ნოდარ ხადურთან . . . 13

ეკო-დაიჯესტი . . . 16

მეცნიერება

რევაზ გველესიანი – ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციისა და რეალობის დაშორების შემცირების გზები . . . 18

სლავა ფეტელავა - ქართული ანტიმონოპოლიური სამართალი: ხარვეზები და მათი დაძლევის გზები . . . 24

რევაზ ლორთქიფანიძე - კონკურენტულობის დონის შეფასების ინდექსები . . . 30

ევგენი ბარათაშვილი, ანა ბოლქვაძე - შედარებითი მენეჯმენტი თანამედროვე ბიზნესის მართვაში . . . 31

ანა ფირცხალაშვილი, პაატა კოღუაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა – ერთი უარყოფილი საკანონმდებლო წინადადების შესახებ . . . 36

თამარ გამსახურდია – საჯარო ფინანსების ეფექტური მართვისათვის საჯარო პროექტებისა და პროგრამების შეფასების შესაძლებლობანი . . . 40

ვასილ ხიზანიშვილი – ფირმის სტეიკჰოლდერის თეორია . . . 46

მანანა ხარხელი – საკვანძო კომპეტენციების თავისებურებები საცალოდ მოვაჭრე მაღაზიებში . . 50

პაატა არუშიძე - ნავთობის მსოფლიო მარაგები, მოპოვება და ფასები(თეორია და ანალიზი) . . 53

ზაირა ღუდუშაური, რუსუდან პაპასკირი, მალხაზ ფარცვანია – ინვესტიციური პროექტების ანალიზი და შეფასება ვარიაციის კოეფიციენტით . . . 59

ლევან მიქავა – ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელების საზღვარგარეთული გამოცდილება და საქართველო . . . 62

სტუდენტური ხედვა

თამთა ფეტელავა - მინერალური წყლის მოსაკრებლის ახალი ტარიფები . . . 67

თათია ქოქუაშვილი, ანა დიასამიძე, ანა ლაბაზიძე - კომერციული ბანკების რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში . . . 70

ნინა ხომერიკი - ბუნებრივი მონოპოლიის არსი და მისი რეგულირება საქართველოში (სემეკ-ის მაგალითზე) . . . 73

წერილი პარლამენტს . . . 77

ბიზნესის გარემო . . . 80

ახალი წიგნები . . . 84

უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი . . . 87

მილოცვები . . . 89

**EDITORIAL PAGE**

Democratic state management principles ........ 5

**MAIN PAGE**

Easter Epistle ........ 9

**MAIN TOPIC**

Interview with the Minister of Finance of Georgia - with Mr. NODAR KHADURI ........ 13

**ECO-DIGEST** ........ 16

**SCIENCE**

**Revaz Gvelesiani** - Ways of reducing the distance from the concept and reality of economic policy ........ 18

**Slava Fetelava** - Georgian Antimonopoly Law: Omissions and the ways to overcome this omissions ........ 24

**Revaz Lordkopanidze** - Indexes for Evaluation of Competitiveness Level ........ 30

**Evgeni Baratashvili, Ana Bolkvadze** - Comparative Management in modern business management ........ 31

**Ana Pirtskhalaishvili, Paata Koguashvili, Zaur Djindjolava** - About rejected legislative proposal ........ 36

**Tamat Gamsakhurdia** - Public projects and programs evaluation possibilities for public finance effective management ........ 40

**Vasil Khizanishvili** - Stakeholder theory of the firm ........ 46

**Manana Kharkheli** - Key Features of Competence in Retail Stores ........ 50

**Paata Aroshidze** - World oil reserves, production and prices ........ 53

**Zaira Gudushauri, Rusudan Papaskiri, Malkhaz Partsvania** - Investment Project's Analysis And The Estimation By the Ratio of Volatility ........ 59

**Levan Mikava** – Foreign models of local self-government and Georgia ........ 62

**STUDENT'S VISION**

**Tamta Fetelava** - Mineral water consumption new tariff ........ 67

**atia Qoquashvili, Ana Diasamidze, Ana Lagazidze** - Commercial banks regulation in Unites States ........ 70

**Nina Xomeriki** - The essence of natural monopolies and its regulation in Georgia (on the example of SEMEK, (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission)) ........ 73

**LETER TO PARLIAMENT** ........ 77

**AROUND OF BUSINESS** ........ 80

**NEW BOOK** ........ 84

**FOREING ECONOMIC NEWS** ........ 87

**CONGRATULATIONS** ........ 89

# დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპები

## (ნაწილი I: არჩევნების ჩატარების დემოკრატიული პრინციპები)

როგორც ირკვევა, ზოგადად, მთელს მსოფლიოში ყველა ემხრობა იმ იდეას, რომ დემოკრატია ყველაზე ცივილური ფრომაა. სხვათა შორის, დემოკრატიის ერთგვარ ნიშნებს ჩვენ ვხვდებით პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის მიჯნაზე, როცა საკითხი ხმის პირდაპირი მნიშვნელობით წყდებოდა. მოწინააღმდეგეები დადგებოდნენ სხვადასხვა მხარეს და რომელი მხარეც უფრო ხმამაღლა იყვირებდა,ის მხარე ითვლებოდა გამარჯვებულად. ანუ,იმ მხარის აზრი იყო მიღებული. შესაძლოა, ხმის მიცემა სწორედ აქედან მოდის. უბრალოდ დაიხვეწა პროცედურები და ტექნოლოგიები. კომუნისტების დროსაც კი,თითქოს ხალხი ირჩევდა დეპუტატებს,მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდებოდა,რაც ყველამ კარგად ვიცით. იდეა რა თქმა უნდა,სწორია,მაგრამ მთავარია,ვის როგორ ესმის ამ იდეის განხორციელება.

რაში მდგომარეობს თვითონ დემოკრატიის არსი?

მკითხველს მოეხსენება, რომ „დემოკრატია“ ბერძნული სიტყვაა, სადაც „დემოს“ - ხალხს ნიშნავს, „კრატოს“ - კანონს, ძალას. თანამედროვე გაგებით დემოკრატია ესაა სახელმწიფო მართვის ფორმა,როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. დემოკლრატიის უმთავრესი მოთხოვნაა – არჩევითობა და მოკლევადიანობა. გარდა ამისა,ცნება „დემოკრატია“ მოიცავს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს,რომელთაც ბუნება ანიჭებს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი რასული, ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, სოციალური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილებისა. [ჰტტპ://კა.ვიკიპედია.ორგ/წიკი/დემოკრატია]

მესმის, ძალიან კარგადაც, რომ სრული ჭეშმარიტება და სრული დემოკრატია ძნელი მისაღწევია,მაგრამ შევეცდები,ავხსნა და ჩამოვაყალიბო დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპები. არ გამოვრიცხავ და წინასწარ ვაცხადებ, ჩემს მოსაზრებებს მოწინააღმდეგეები ნამდვილად ეყოლება, განსაკუთრებით მათი მხრიდან, ვისაც გარანტირებული აქვს ადგილები მთავრობაში თუ პარლამენტში და ცდილობენ შეინარჩუნონ იგი. ვიღაცას კარგი ურთიერთობები აქვს დამყარებული მათთან და ა.შ. ანუ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და არა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეა. ზოგმა შეიძლება ფიზიკურად არარეალურად ჩათვალოს მისი განხორციელება და უტოპიურიც კი უწოდოს მას. მოკლედ,ყოველგვარ მოსაზრებასა და გამოხმაურებას ველოდებით, მაგრამ მაინც გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი შეხედულებები,რომელიც გარკვეული ანალიზის შედეგად ჩამოგვიყალიბდა და სრულიად რეალურად გვეჩვენება. და აი,რა გვაქვს მხედველობაში:

ბუნებრივია,რომ ხალხი ვერ იქნება ყველაფრის გადამწყვეტი და შემსრულებელი. ხალხმა უნდა შეარჩიოს და აირჩიოს თავიანთი წარმომადგენლები (საპარლამენტო, ადგილობრივი), რომლებიც თავიანთი რიგებიდან ან საზოგადოებიდან შეარჩევენ და დანიშნავენ აღმასრულებელ ხელისუფლებას. ლოგიკურად თუ მივყვებით, დემოკრატიული მმართველობის მშენებლობა არჩევნებით უნდა დავიწყოთ!

არჩევნები დემოკრატიულად რომ ჩაატარო, საჭიროა შესაბამისი,დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული საარჩევნო ნორმატიული აქტი. ე.ი. კანონი. ანუ დღევანდელი მდგომარეობით - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. ის კი ნამდვილად შესაცვლელია. ჩვენ შევეცდებით,ჩამოვაყალიბოთ მხოლოდ პრინციპები, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

დავიწყოთ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებით. დღევანდელი მდგომარეობით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) 5 წევრს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს, ხოლო ეს უკანასკნელი ირჩევს მათ. ხოლო 7 წევრს კი ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები. ცესკოს თავმჯდომარის არჩევა ხდება საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრების ან საქართველოს პარლამენტის მიერ. რაც ჩვენი ღრმა რწმენით არასწორია,უფრო სწორად,არადემოკრატიულია. თუმცა უნდა აღინიშნოს,რომ წინა საარჩევნო კოდექსებთან შედარებით გაკეთილშობილებულია. მოკლედ,ჩვენი მოსაზრება ასეთია:

სარჩევნო კომისიების დაკომპლექტება უნდა დაიწყოს ქვევიდან,საზოგადოების მხრიდან,და არა ხელისუფლების მხრიდან. საარჩევნო კომისიის მთავარი დანიშნულებაა არჩევნების ჩატარება კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, და შემდეგ ხმების დათვლა,რაც დიდ და სპეციალურ განათლებას არ მოითხოვს. საჭიროა საარჩევნო კოდექსის მიხედვით არჩევნების პროცედურების ცოდნა და ყველაზე მთავარი – ხმების

დათვლა.

არჩევნების არსი, ბუნება და თავისებურებები. სანამ არჩევნების არსის განხილვაზე გადავალთ, მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან: II კურსიდან, შემოდგომაზე, თსუ ბაგების სტუდქალაქში გადავედი საცხორებლად. მაშინ სტუდენტური თვითმმართველობა ახალი შემოღებული იყო. ყველა კორპუსში იქმნებოდა სტუდენტური საბჭო (სტუდსაბჭო), რომელიც წყვეტდა ფაქტობრივად სტუდედნტების ჩასახლება-გასახლების საკითხებს. სტუდქალაქის ადმინისტრაცია, კომენდატრები და სხვა პირები მატერიალური პასუხისმგებლები იყვნენ ძირითადად. ინფორმაციისთვის იმასაც მოგახსენებთ, რომ სტუდენტები, ასევე, დასაქმებული იყვნენ ხელფასიან სამუშაოზე, დარაჯებად, დამლაგებლებად, ელექტრიკოსად, დურგლად, ლიფტიორად და ა.შ. ამ სტუდქალაქში ცხოვრებიდან 1-2 თვეში V კორპუსის სტუდსაბჭოს წევრად შემიყვანეს. ამ კორპუსში სტუდენტთა რაოდენობა 800-ზე მეტი იყო. ასევე, დაახლოებით 1-2 თვეში V კორპუსის სტუდსაბჭოს თავმჯდომარე გაერთიანებული სტუდსაბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს. V კორპუსში კი სტუდსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება მე დამევალა. ხოლო აქედან 1 თვეც არ იყო გასული, რომ სტუდსაბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი დადგა. სტუდქალაქის ხელმძღვანელობისა და გაერთიანებული სტუდსაბჭოს მხრიდან წამოვიდა შემოთავაზება, რომ ჩვენ შენს კანდიდატურას წამოვაყენებთო. მე უარი ვუთხარი. ისინი თუ წამომაყენებდნენ სტუდსაბჭოს თავმჯდომარის კანდიდატად, ღია კენჭისყრაზე ყველანი ძალაუნებურად მომცემდნენ ხმას. ამიტომ, მე შევთავაზე დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთმეთქი. გავამზადეთ ქაღალდის პატარა ნაჭრები და დავურიგეთ სტუდსაბჭოს ყველა წევრს, რათა ფარულად ჩაეწერა მისთვის სასურველი კანდიდატურის სახელი და გვარი წინასწარი დასახელების გარეშე. ანუ, ნებისმიერს შეეძლო ნებისმიერი ჩაეწერა. სულ 14 ხმა იყო ჩემის ჩათვლით. მე თავი შევიკავე, ხმა გაუქმდა. თუმცა, შემეძლო ჩემი სახელი დამეწერა. 1-მა მიიღო 2 ხმა, ხოლო მე მივიღე 11 ხმა. ასე გავხდი მე-2 კურსის სტუდენტი სტუდსაბჭოს თავმჯდომარე და მთელი ოთხი წელი ახალი კანდიდატურა არავის წამოუყენებია, თუმცა ყოველწლიურად ტარდებოდა არჩევნები. დავამატებ იმასაც, რომ ამ ხნის მანძილზე არც ერთი საჩივარი არ ყოფილა ჩემს წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს ამ მაგალითის არსი? რატომ გავაკეთე ეს?

საქმე იმაშია, რომ თუ ის ხალხი არ გაფასებს, ვინც უნდა აგირჩიოს და ვისთანაც უნდა ითანამშრომლო, მაშინ როგორ ურთიერთობაში უნდა იყო მათთან? ზოგიერთებს ეს არ ადარდებს, მათთვის მთავარია, რაიმე სარგებელი ნახონ, სანამ გაუვათ, იტყუებიან, ცრუ დაპირებებს იძლევიან და ა.შ. ძლიერი, მართალი და პატიოსანი ადამიანი ამას არ იკადრებს. ვინმეს თუ შეუძლია ერთი მაგალითი მაინც მოიტანოს, როცა მსოფლიო ჩემპიონი კრივში, ჭიდაობაში და ა.შ. ჯიბეში დანით დადიოდეს და მით უმეტეს, მას ეს გამოეყენებინოს ქუჩაში ჩხუბის დროს. რა თქმა უნდა, არა! იმიტომ, რომ მას ეს არ სჭირდება! ქუჩაში გამვლელი უბრალო ადამიანი მისთვის მოწინააღმდეგე არ არის, რადგან მისი ძალა რამდენჯერმე აღემატება ჩვეულებრივი ადამიანის ძალას. მაგრამ, ქურდბაცაცა ნაძირალები სწორედ დანითა და ნებისმიერი საშუალებებით ქალსა და ბავშვსაც კი გაიმეტებენ სასიკვდილოდ, თუ მას რაიმე გროში აღმოაჩნდება ჯიბეში თუ საფულეში. სწორედ ასეთი ქურდბაცაცაა ის, ვინც საარჩევნო ხმებს იპარავს, თუნდაც მოსყიდვით იღებს მას. ამგვარი უამრავი სამარცხვინო ფაქტების მომსწრენი ჩვენ ვითონ ვართ ბოლო 20 წლის მანძილზე. პატიოსანი და ძლიერი პოლიტიკოსი კი, ამას არ იკადრებს.

არჩევნების არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სწორედ ამავე საზოგადოების რჩეულმა უნდა უხელმძღვანელოს, რჩეულმა თავისი ცოდნით, გამოცდილებით, და რაც მთავარია – კეთილსინდისიერებით. იმისათვის, რომ ხელმძღვანელმა საზოგადოების ინტერესები გაითვალისწინოს და დაიცვას იგი, ის თვითონ უნდა იყოს ამ საზოგადოების ნაწილი, უნდა ესმოდეს მათი და როგორც მათივე წიაღიდან წამოსულს, უნდა სტკიოდეს მათი სატკივარი.

არჩევნების ბუნება კი ისაა, რომ დემოკრატიული პრინციპით, ანუ ხალხის, საზოგადოების მიერ მოხდეს მისივე წიაღიდან ხელმძღვანელის წამოყენება და არჩევა.

არჩევნებს, ისე როგორც ნებისმიერ მოვლენას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, თუ ვინ ვის ირჩევს. მაგალითად, არჩევნების ერთგვარი სახეა სუფრაზე თამადის არჩევაც კი. მაგრამ ამასაც თავისი ნიუანსები აქვს, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა სუფრა, – ქორწილი, ბავშვის შეძენა, დაბადების დღე, ქელეხი, კორპორაციული სადილი, მეგობრების თავყრილობა და ა.შ.

ახლა ლოგიკური განვითარება მივცეთ პოლიტიკური არჩევნების ბუნებას და თავისებურებასთან ერთად მთლიან კონტექსტში განვიხილოთ იგი.

ჩემს ულამაზეს სოფელში – ნაკიანში, სოფლის ხელმძღვანელის არჩევნების საკითხი რომ დადგება, იქ კანდიდატურის წამოყენების უფლება არ ექნება თბილისიდან ან ქუთაისიდან ჩასულ კაცს, თუნდაც პროფესორი იყოს იგი, რადგან ის ადგილობრივი მკვიდრი არ არის. ხოლო, ვინაიდან ადგილობრივი მკვიდრი არ არის, მას არც ესმის და არც სტკივა იქაური სატკივარი. იქ სწორედ და მხოლოდ ადგილობრივი ადამიანი უნდა იყოს არჩეული ადგილობრივების მიერ. სწორედ ასე უნდა მოხდეს საქართველოს ყველა (რამდენიმე ათას) სოფელში, თუ თემში, არჩევნები, რაც იქნება სახელმწიფოს მშენებლობის უმტკიცესი ფუნდამენტი. თუმცა, იურიდიულად და თეორიულად დასაშვებია ჩასული კაცის წამოყენებაც კანდიდატად, თუ მოსახლეობის სურვილი იქნება. პოლიტიკური გადაწყვეტაა საჭირო ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეებით დასახლებული თვითმმართველობის ერთეულებში. ამიტომ, ამ საკითხს აქ არ შევეხებით.

იმისათვის, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდეს, საარჩევნო კომისია უნდა იყოს ობიექტურად დაკომპლექტებული. ობიექტურობისთვის საჭიროა, რომ კონკრეტული საარჩევნო კომისია შეირჩეს იმავე საზოგადოებიდან და იმავე საზოგადოების მიერ, რომელმაც უნდა აირჩიოს ხელმძღვანელი. საარჩევნო კომისიების ყველაზე ქვედა რგოლში,- საარჩევნო უბანში, კომისიის წევრების არჩევა შემდეგნაირად შეიძლება მოხდეს: მაგალითად, სოფლის შემთხვევაში პარიტეტის, თანასწორობის დაურღვევლობის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითო უბნიდან დასახელდეს უბნის ნდობით აღჭურვილი თითო კანდიდატი. დასახელებულ რამდენიმე (კენტი) კანდიდატს შორის ერთმანეთში მოხდება ხელმძღვანელის, ანუ საუბნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა. ეს შეიძლება ფარული, სულაც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, კანდიდატის დასახელების გარეშე ყველამ დაწეროს თავისი რჩეულის გვარი, ან ეს შეიძლება ღია ფორმითაც მოხდეს, თუ არ არის დაპირისპირება და კონფლიქტური სიტუაცია.

ამ საარჩევნო კომისიის მიერ მოხდება არჩევნების ჩატარება აღნიშნულ უბანში არსებული წესის მიხედვით. ესაა ერთ-ერთი ვარიანტი, თუმცა დახვეწაც შეიძლება. ჩვენ მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებზე ვსაუბრობთ ამ შემთხვევაში.

გადავიდეთ მთავარზე, პოლიტიკაზე, ანუ ბალავარის შემდეგ ცოკოლი ამოვიყვანოთ და სოფლების საარჩევნო კომისიებიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიამდე ავიდეთ, რითაც დავხურავთ არჩევნების პროცედურის ერთ-ერთ მთავარ სეგმენტს.

ვინ უნდა იყოს საარჩევნო კომისიის წევრი? როგორ დავაკომპლექტოთ კომისია?

დღევანდელი წესის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების დაკომპლექტებაზე ზემოთ მოგახსენეთ. ეს უკანასკნელი ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, საოლქო საარჩევნო კომისია კი – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. რაც არადემოკრატიულია, რადგან კომისია იმის მხარესაა, ვინც ის დანიშნა. ამიტომაც ვღებულობთ ყოველთვის მთავრობის სასურველ შედეგებს, რადგან მთავრობის მიერ დაკომპლექტებული ცესკო ვერტიკალით ნიშნავდა თავის სასურველ კანდიდატურებს, რასაც დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. შუახნისა და უფროს თაობას ახსოვს ცნობილი სიტყვები; - „იგებს ის, ვინც ხმებს ითვლის“. არადა უნდა მოიგოს იმან, ვინც ხმები მიიღო, და არა იმან, ვინც ხმები „დათვალა“.

დემოკრატიის პრინციპებზე თუ ვსაუბრობთ, თვითონ საარჩევნო კომისია უნდა აირჩეს (კი არ დაინიშნოს) პირველ რიგში და ეს მთელს ქვეყანაში ერთდროულად დაიწყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევით, დაახლოებით ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფორმით. არჩეული წევრები კი აირჩევენ თავმჯდომარეს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები აირჩევენ თავიანთი რიგებიდან საოლქო კომისიის თავმჯდომარეს. საოლქო კომისიის წევრები, ასევე, საუბნო კომისიის რიგებიდან უნდა დაკომპლექტდეს, ხოლო საუბნო კომისიის წევრების შევსება მოხდება ახალი წევრებით, იგივე წესით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. საოლქო კომისიის თავმჯდომარეები თავიანთი რიგებიდან აირჩევენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ რაოდენობას, რასაც საჭიროება მოითხოვს - 11-15 კაცის შემადგენლობით. დღეისათვის საარჩევნო კოდექსის მიხედვით ცესკო 13 წევრისაგან შედგება. ეს უკანასკნელი კი თავისი რიგებიდან აირჩევს თავმჯდომარეს.

ვფიქრობთ, სამართლიანი იქნება თუკი რეგიონებში არსებული საოლქო კომისიის თავმჯდომარეები შეარჩევენ თითო წევრს თავიანთი რიგებიდან. ეს იმიტომაც არის მიზანშეწონილი, რომ ისინი თავიანთ რეგიონებს კურირებასაც გაუწევენ არჩევნების დროს და უფრო ადვილად შეძლებენ ადგილებზე ურთიერთობებს. მეორეს მხრივ, ხელისუფლებას არ ექნება მათზე ზემოქმედების ბერკეტები. ბუნებრივია, იქნება მცდელობა, რომ აქაც მონახონ „გამოსავალი“, მაგრამ გონივრული და რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა უნდა იზრუნონ ამ ანტისახელმწიფოებრივი ქმნედების გასანეიტრალებლად.

სახელმწიფოებრივ აზროვნებაში ჩვენ ვგულისხმობთ აზროვნებას, როდესაც ადამიანი ფიქრობს არა პირად „მე“-ზე,არამედ ქვეყნის ბედზე, საზოგადოებაზე. მით უფრო, არჩეული ადამიანი ვალდებულია ბევრი პირადული დათმოს იმ საზოგადოების სასარგებლოდ,რომელმაც ის აირჩია. იყო რჩეული და არჩეული,ეს პირველ რიგში ღირსების საკითხი უნდა იყოს,(და არა ფულის მოხვეჭის) რადგან ის ამ საზოგადოების სახე ხდება არჩევის დღიდან. არჩეული ადამიანი ხევისბერი გონასავით უნდა იყოს პასუხისმგებლიანი და სამართლიანი. ვისაც ესმის,ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა პირველ ყოვლისა,რადგან ადამიანები თავიანთი ბედის რაღაც ნაწილს განდობენ გარკვეული დროით. ეს მძღოლის პასუხისმგებლობას ჰგავს,რომელიც მართავს ავტომანქანას,სადაც რამდენიმე,თუნდაც ერთი ადამიანი უზის გვერდით. თუ მძღოლმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ხრამში გადაიჩეხა ან შემხვედრ ავტომობილს დაეჯახა, აქ მისი მგზავრიც ხომ მისი შეცდომის მსხვერპლი ხდება.

ამიტომ,დიდი სიფრთხილეა საჭირო წინამძღოლის არჩევისას,მათ შორის უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების არჩევისას. ვფიქრობ, ისევ აქტუალური ხდება ლოზუნგი - „მთელი ძალაუფლება ხალხს!“ ამზე მეორე ნაწილში ვისაუბრებ უფრო დეტალურად.

იმედი გვაქვს,რომ მკითხველი სწორად გაიგებს ჩვენს გულწრფელ სურვილებს და ჩვენც აბრაამ ლინკოლნის სიტყვებით დავასრულებთ დღევანდელ წერილს: „იმედი მაქვს,თქვენ მე გამიგეთ.“

ღმერთი გფარავდეთ მკითხველო, თქვენ და სრულიად საქართველოს!

ლოიდ ქარჩავა

04.07.2013.



# სააღდგომო ეპისტოლე

## უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი" (ზატიკი)

ქრისტე აღდგა!

ზეიმობს ანგელოზთა დასი.

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიის ზარები.

და ჩვენც, მოციქულთა მსგავსად, სიხარულით აღვსილნი ვხმობთ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

„სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?!" (Iკორ.15.55).

მაცხოვარმა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და ადამი და მისი მოდგმა სატანჯველისაგან იხსნა, ცოდვათაგან დარღვეული ჩვენი სული აღადგინა და კაცთა მრავალათასწლოვანი ნატვრა აღასრულა.

ადამიანის შექმნის მიზანი იმთავითვე იყო ღმერთთან მუდმივი მყოფობა, მის განგებულებაში თანამონაწილეობა.

მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების წყარომ ასეთივე სიკეთით დააჯილდოვა კაციც, მაგრამ შემოქმედისადმი ურჩობითა და მისგან განდგომით ჩვენმა პირველმშობლებმა მაცხოვნებელი მადლი დაკარგეს.

მადლი ღვთისაგან მომდინარეობს და მსჭვალავს მთელ სამყაროს; იგი „ყოველგან არს და ყოველივეს აღავსებს", მისით მოძრაობენ პლანეტები და სულდგმულობს ყოველი ცოცხალი, მაგრამ სხვა არის მაცხოვნებელი მადლი, რომელიც უხვად მოედინება ყოვლადწმიდა სამების წიაღიდან და ქრისტეს მისტიური სხეულიდან, ეკლესიიდან, და განეფინება ადამის მოდგმას; სინერგიის აღსრულება კი ინდივიდუალურია და პიროვნების ნებაზეა დამოკიდებული:

ზოგიერთნი კმაყოფილდებიან ნათლობით მიღებული მადლით და აღარ ზრუნავენ მის გამრავლებაზე, სხვანი თავისუფალი ნებით ირჩევენ განვითარების საპირისპირო გზას და ბოროტის მსახურნი ხდებიან.

როგორც ერთი, ისე მეორე მდგომარეობა არ მისცემს საშუალებას ადამიანს, შეიცნოს ღმერთი. ამაზეა ნათქვამი „სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ მიხვდებით, ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ დაინახავთ." (მათე 13,14). ისინი უქმ-ყოფენ თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს და მარადიული ტანჯვისთვის წირავენ სულს.

ღვთის მსგავსება ნებისმიერ პიროვნებაში განაპირობებს სრულყოფილებისაკენ მის სწრაფვას. სრულქმნა კი არის ყოველი ქრისტიანის მოწოდებაც და ვალდებულებაც.

იესო ქრისტე არის მაგალითიც ჭეშმარიტი ადამიანისა და, აქედან გამომდინარე, დადასტურება იმისა, თუ რა საოცარი შესაძლებლობებისაა ჩვენი შინაგანი სამყარო.

მაცხოვნებელი მადლი გვანიჭებს უნარს სნეულთა განკურნებისა, სხვადასხვა ენაზე მეტყველებისა, მრავალ სასწაულთა აღსრულებისა და, რაც მთავარია, მკვდრეთით აღდგომისა, ამაღლებისა და განღმრთობისა.

უნდა ითქვას ისიც, რომ მართალია, იესო ქრისტე ყველა დროის უდიდესი მაგალითია, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ შეედრება, მაგრამ ცალკეულ ეპოქას თავისი ავტორიტეტები, თავისი გამორჩეული პიროვნებები მაინც სჭირდება, რომლებიც ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის თავდადებით ხალხს განამტკიცებენ და სწორი გზის მაჩვენებელნი არიან.

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მოციქულნი და მოწამენი, ღმერთშემოსილნი და ღირსნი მამანი და დედანი, ჩვენი დიდებული მეფენი და დედოფალნი, სასულიერო პირნი, თავადაზნაურთა და დაბალი ფენის წარმომადგენელნი საუკუნეთა მანძილზე განამტკიცებდნენ საზოგადოებას.

ათეისტურ პერიოდში ისინი შეცვალა ინტელიგენციის, მუშათა კლასისა და სამხედრო პირების (განსაკუთრებით სამამულო ომის დროს) მაშინდელმა რჩეულმა ნაწილმა (რომ აღარაფერი ვთქვათ ბელადებზე), რომელიც ქვეყნის ერთგვარ ზნეობრივ სახეს ქმნიდა.

ჩვენს დროში კი, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ესეც მოისპო და, შეიძლება ითქვას, უღირსთა ზეობის დრო დადგა.

ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, თუ გვსურს, სწორი ნაბიჯები გადავდგათ და სათანადო ორიენტირები თავიდანვე განვსაზღვროთ.

საერთოდ, პიროვნება და საზოგადოება ერთმანეთს ასაზრდოებენ. ცალკეული ადამიანის ჩამოყალიბება, მისი მსოფლმხედველობის განსაზღვრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებაში არსებულ ღირებულებათა სისტემაზე, რომელსაც ხელისუფლებასთან ერთად სარწმუნოებაც განაპირობებს.

როდესაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის სირთულეები ჩნდება, აქტიურდება პიროვნებების როლი და მათი ჯანსაღი, მტკიცე პოზიცია დიდ როლს ასრულებს მდგომარეობის გამოსწორებაში.

პრობლემის სათავე ულმერთობა ანუ უმადლობაა. მადლის ნაკლებობა ჩვენ, ქრისტიანებსაც, გვახასიათებს, რადგან ხშირად მხოლოდ სიტყვით ვაღიარებთ უფალს, გულით და საქმით კი შორს ვართ მისგან; ამასთან, ვემსგავსებით სახარებისეულ მართას, რომელიც ცდილობს, მაცხოვარს მიწიერი საქმეებით აამოს და „ზრუნავს მრავალთათვის." უფალი კი გვეუბნება, - „აქა ერთი არს სახმარ."

ანუ, უპირველეს ყოვლისა, საკეთებელია სულიერი საქმეები და შემდეგ მიწიერი, რომელიც მხოლოდ დამხმარე საშუალებაა გადარჩენისთვის.

ვინც ხორციელ ვნებებსა და გულისთქმებს ღვთის მადლით, დასთრგუნავს და თავის სულში ახალ ადამს აღორძინებს, განთავისუფლდება ცოდვის ხრწნილებისაგან, სიკვდილის მონობისა და შიშისაგან.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ პირველქმნილ ცოდვას მოჰყვა მისი შედეგი,- სიკვდილი, სიკვდილს კი,- ჯოჯოხეთი და ეშმაკის მეუფების ტყვეობაში გარდაცვლილთა სულების დამკვიდრება.

ასე გახდა სიკვდილი და ხრწნილება ადამიანის და მის დაქვემდებარებაში მყოფი ხილული სამყაროს ხვედრი.

სიკვდილი ორგვარია - ხორციელი და სულიერი.

ხორციელი სიკვდილი გულისხმობს სხეულის გაყრას უკვდავ სულთან. ამას ვერავინ გადაურჩება.

სულიერი სიკვდილი კი დგება გარდაცვალების შემდეგ, თუ სული ამქვეყნად არ იყო დაკავშირებული ღვთაებრივ მადლთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოდვასთან ერთად ადამიანის სულში შემოდის შიში. ეს ჯერ კიდევ სამოთხეში მოხდა: ადამმა დარღვია რა მცნება, სურდა დამალვოდა უფალს და მერეღა აღიარა, რომ ასე შიშის გამო მოიქცა.

მანამდე მან არ იცოდა, რა იყო ეს გრძნობა.

შიში განუყოფელია დანაშაულისა და ცოდვისაგან; ამიტომაც იგი ჩვენი ცხოვრების თანმდევია; ამქვეყნიურ საზრუნავში დანთქმულ ადამიანს ეშინია სხვისი და საკუთარი თავის, ხვალინდელი დღის, უცხო გარემოსი, მტრების; ეშინია სნეულების, შიმშილის, უსახსრობის და ა.შ. მაგრამ განსაკუთრებით გაურბის სიკვდილზე ფიქრს, რადგანაც ყველაზე მეტად ეს აძრწუნებს.

როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს პიროვნება, თუ მას არა აქვს ღვთის ჭეშმარიტი რწმენა და მთელი არსებით არ არის მინდობილი უფალს, ადვილად დაკარგავს მხნეობას.

გავიხსენოთ პეტრე მოციქული, რომელიც უდიდეს ერთგულებასა და თავდადებას იჩენდა მაცხოვრისადმი, მაგრამ როგორც კი საკუთარ თავს მიენდო და არა უფლის შეწევნას, მაშინვე გაცხადდა მისი ადამიანური ბუნების სისუსტე და უძლურება და განსაცდელში მყოფმა, სასჯელის შიშით, სამგზის უარყო ქრისტე.

შემდეგ კი, როდესაც ჭეშმარიტი სინანულითა და ღვთის მოწყალებით სიმტკიცის კლდედ აღდგა რწმენაში, მისთვის სიკვდილის შიში დაიძლია და პირიქით, ითხოვდა მძიმე ხვედრს, - თავდაღმა ჯვარცმას, - ოღონდ უფალს შეერთებოდა და მასთან ერთად ყოფილიყო განუშორებლად.

ვისაც სულიერი თვალი აეხილება, ხორციელ სიკვდილში შეიცნობს მარადიულ სიცოცხლეს და მიწიერ ყოფაში, - მარადიული სიკვდილის საშიშროებას. ამიტომაც მისთვის გადამრჩენელი ხდება შიში ღვთისა, რათა ცოდვა მოიძულოს, სიკეთეში განმტკიცდეს და სინანულის მადლით განიწმინდოს.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის საფრთხისაგან გამომხსნელი"(იგავ.14,27), - ბრძანებს წმინდა წერილი. ამიტომაც ქრისტიანსაღარ აშინებს სულისა და ხორცის გაყრა, არამედ გარდაცვალებაში ხედავს მიწიერი ცხოვრების გამოცდის დასრულებას და ღმერთთან მყოფობის დასაწყისს.

ღვთის შიში ქრება სულიერების მაღალ საფეხურზე და იგი იცვლება სიყვარულითა და ქრისტესთან ერთობით გამოწვეული ნეტარებით,

ანუ იმ მდგომარეობით, რაც ჰქონდა ადამს ცოდვით დაცემამდე.

ასეთი ადამიანი მოყვასს აღიქვამს როგორც საკუთარ თავს და საკუთარ თავს კი ჩრდილში აყენებს. იგი კეთილგანწყობილია ახლობელთა და შორებელთა, ნაცნობთა და უცნობთა, მდიდართა და ღარიბთა, მოკეთეთა და მოძულეთა მიმართ.

ღირსეულნი და სათნონი, რა თქმა უნდა, მათი თვისებების გამო უყვარს, ცოდვილნი კი იმიტომ, რომ არასწორი ქცევით თვითონვე სჯიან საკუთარ თავს და სულს ჯოჯოხეთისთვის იმეტებენ. ამიტომაც შესაბრალისნი არიან და ლოცვით შეწევნას საჭიროებენ.

თავისი ქცევის მიუხედავად ყოველი ადამიანი ხილული სამყაროს გვირგვინია. ამიტომაც, გაიღო ასეთი მსხვერპლი მაცხოვარმა, - განკაცდა, რათა ჩვენთვის ღვთის შვილობის მადლი მოენიჭებინა და ახალ ადამიანად, ცოდვებისაგან თავისუფალ პიროვნებად ყოფნის საშუალება მოეცა.

უფლის ამქვეყნიური ცხოვრებაც ნათელი დადასტურებაა ადამიანისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარულისა: როგორ წყალობს იგი უძლურებს, დავრდომილებს, დამცირებულებს, როგორია მისი დამოკიდებულება ბავშვებთან, მოწაფეებთან, ახლობლებთან მიმართებაში, ასევე ავაზაკის, ზოგადად ცოდვილების და მტრების მიმართ; ყოველივე ამით მან ადამიანის მნიშვნელობა და ღირსება წარმოაჩინა.

„რაი სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თვისისა? (მათე,16,26), - ბრძანებს უფალი.

ჩვენ კი, რა თქმა უნდა, პასუხი არ გვაქვს და არც არასწორ ცხოვრებას ვცვლით.

თუნდაც ჯანმრთელობის შესახებ ჩვენი დამოკიდებულება სწორ მიდგომას საჭიროებს. რა თქმა უნდა, სხეულის სიმრთელე ყველასთვის სასურველია, თუმცა დიდი შეცდომაა, როცა დიდ დროს ვუთმობთ მასზე ზრუნვას და საერთოდ არ ვფიქრობთ სულიერ სიჯანსაღეზე. თითქოს ჩვენი უკვდავი სული, ჩვენი მარადიული არსებობისათვის განმსაზღვრელი არ იყოს.

ბევრმა ისიც არ იცის, რომ ხშირად ავადმყოფობა ცოდვისგან მომდინარეობს და როგორც კი ადამიანი იწყებს სწორ სულიერ ცხოვრებას, - მოძღვრის წინაშე ამბობს გულწრფელ აღსარებას, ეზიარება და ცოდვათაგან თავისუფლდება, - ძალიან მძიმე სნეულებისაგანაც კი იკურნება. ამასთან, ამ წმინდა საიდუმლოს ხშირად მიღებით ფიზიკურ გამოჯანმრთელობასთან ერთად, მისი აზროვნება და შინაგანი სამყაროც იწმინდება და განახლებას განიცდის.

ამიტომაც ეწოდება აღსარებასა და ზიარებას საკურნებელი სულისა და ხორცისა.

საერთოდ, აღსარებისა და ზიარების გარეშე ადამიანის სულიერი გადარჩენა შეუძლებელია. ვინც ამ მადლისაგან დღემდე გაუცხოებულია, ყველას, - ბავშვს, ახალგაზრდას თუ ხანდაზმულს, - გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, აუცილებლად მიიღოთ ეს უდიდესი სიწმინდე და ცხოვრების წესად აქციოთ ლოცვა და თქვენს სულზე ზრუნვა, რათა საკუთარი თავიც იხსნათ მარადიული ხრწნილებისაგან და შთამომავლობასაც თქვენი ცოდვები სიმძიმედ არ დაუტოვოთ (ცოდვა დაუსჯელი არ რჩება, ღვთის წინაშე კი ყველა მხოლოდ თავის დანაშაულზე აგებს პასუხს).

უდიდესი დანაშაული, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში ხდება, არის მუცლადღებულ ყრმათა მკვლელობა, – აბორტი.

მე ადრეც შევეხე ამ თემას, მაგრამ კვლავ მინდა მასზე ყურადღების გამახვილება.

ბოროტმოქმედის სიკვდილით დასჯა მრავალ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, აკრძალულია და ეს კარგია, რათა ადამიანს მიეცეს ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობა. (მათ მიმართ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება პიროვნების გამოსწორებისათვის).

აბორტი კი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც.

დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება ჩვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ, - არც სახელმწიფო და არც საზოგადოება.

აბორტს და მუცლის მოშლის გამომწვევ საშუალებებს კრძალავდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში (ჰიპოკრატეს ფიცი), ისევე როგორც რომის იმპერიაშიც; მითუმეტეს, ქრისტეს ეკლესია მას განიხილავდა და განიხილავს როგორც უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვას.

მსოფლიოში პირველად ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში ათეისტურმა ხელისუფლებამ აბორტი ნებადართულად გამოაცხადა 1920 წელს. 1936 წლიდან 1955 წლამდე იგი ისევ აიკრძალა, მაგრამ დღეს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე ევროპასა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, იგი კვლავ ნებადართულია და მასმედიის საშუალებითა და ლიბერალური იდეოლოგიის გავლენით, წახალისებულიც.

ბოროტმოქმედი რომ დაემუქროს დედას, შენი შვილები დახოცე, თორემ მოგკლავო, იგი ხომ თავის სიკვდილს ამჯობინებს და ეს ბუნებრივიცაა. მაშ, როგორ თანხმდება იგი მუცლადმყოფი შვილის წამებით სიკვდილს?! მით უმეტეს, ყველამ უკვე იცის, რომ რამდენი დღისაც არ უნდა იყოს ნაყოფი, მას ისეთივე განცდა აქვს ტკივილისა, როგორიც ზრდასრულს.

გაუგებარია ისიც, რომ მეცნიერებისა და ტე-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ტექნოლოგიების განვითარების ხანაში, როდესაც ყველამ იხილა ფილმი „ჩუმი ძახილი," როგორლა დგამს ამ ნაბიჯს მშობელი, ან როგორ აკეთებს ამას ექიმი-გინეკოლოგი?

ამ ცოდვის სიმძიმე იმითაც ვლინდება, რომ ხშირად აბორტი იწვევს უნაყოფობას, ნაადრევ მშობიარობებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, ფსიქიკის დაზიანებას, აბორტის შემდეგ დაბადებულ ბავშვებში კი - ნერვიულ გამოვლინებებს.

ამიტომაც არის ამდენი დანგრეული ოჯახი დღეს საქართველოში, ამდენი მკვდრადშობილი ნაყოფი და ჩვილთა შორის გახშირებული სიკვდილიანობა. ყოველივე ეს კი როგორც ცალკეულ ოჯახებს, ისე მთელ სახელმწიფოს უდიდეს დანაშაულად აწვება.

ვისაც ეკონომიური პრობლემების გამო შვილის გაჩენა არ სურს, ან სხვა რაიმე მიზეზით მუცლადღებული ნაყოფი მისთვის მიუღებელია, გთხოვთ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ ცოდვას, თუ თქვენ ვერ ახერხებთ მის გაზრდას, ეკლესია უპატრონებს მათ.

როგორც ცნობილია, ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოში 36 000 აბორტი კეთდება, (რეალურად კი გაცილებით მეტი შემთხვევაა), მკვდრადშობილ ჩვილთა რაოდენობა კი 1400-მდე აღწევს.

დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის. (რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული).

მანამდე კი, მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად.

მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა.

განწყობის თეორია კარგად უნდა შევისწავლოთ და დავნერგოთ ჩვენს ცხოვრებაში. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

განწყობა უნდა შეიქმნას, მაგალითად, სოფლის აღორძინებისათვის, ასევე საზღვრისპირა და მთის რეგიონების განაშენიანებისათვის. რა თქმა უნდა, სათანადო ინვესტიციების მოძიებაც აუცილებელია, მაგრამ მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განწყობა უნდა შეიქმნას განათლების სისტემის აღორძინებისათვის, ახალგაზრდებში წიგნის კითხვის მოთხოვნილების გაძლიერებისთვის, ღრმა აზროვნების დანერგვისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ჯარის განმტკიცებისათვის, ქვეყნის ინტერესებისა და ეროვნული იდეოლოგიის დაცვისათვის.

ამ სოფლად ჩვენთვის მოცემულ სივრცესა და დროში უნდა მოვასწროთ ზეცად ამყვანაბელ კიბეზე აღსვლა.

როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ღირსეული ქრისტიანენი და დავიწყეთ თუ არა ზესვლა?

ეს ძნელი არ არის.

მატერიალური აზროვნების მქონე პიროვნება ბედნიერებას მხოლოდ მომხვეჭელობაში ჰპოვებს, ჭეშმარიტი მორწმუნე კი, - მოწყალების გაცემაში.

გამიწიერებული ადამიანი საკუთარი თავის და თავისი შესაძლებლობების მოიმედეა, სულიერი კი, - მხოლოდ ღმერთის.

მაცხოვნებელ რწმენას მოკლებული კაცი წუთისოფლის პატივსა და დიდებას ესწრაფვის, ჭეშმარიტი ქრისტიანი კი - ქველის საქმეებით სიმდიდრეს.

არაეკლესიური ცნობიერების მქონე სხვებზე მბრძანებლობს, მორწმუნე კი - თავის ვნებებზე.

ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო, - ქართველნო, აფხაზნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო, ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო რწმენით მივეახლოთ ჩვენი უფლის ბრწყინვალე აღდგომის მაცოცხლებელ მადლს და შევიმოსოთ სიმართლის საჭურველი, რათა „ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკვდრეთით დიდებითა მამისაითა, ეგრეთცა ჩუენ განახლებითა ცხოვრებისაითა ვიდოდით" (რომ. 6. 20,8).

მაშინ გავემიჯნებით საყოველთაოდ გაბატონებულ ეგოცენტრიზმს, - თავისმოყვარეობას, - და აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი მთავარი მტერი სწორედ ეგოიზმია, სხვისთვის სიყვარულით აღსრულებული მსახურება კი - ჩვენი გადამრჩენელი. აღმოვაჩენთ, რომ ღმერთის სიყვარული განუყოფელია მოყვასის სიყვარულისგან და ერთი მეორეს განაპირობებს.

და თუ ყოველივე ამას ჩვენს ცხოვრებაში რწმენით აღვასრულებთ, შევიმოსავთ ქრისტეს და ზეციურ სასუფეველს დავიმკვიდრებთ. „დაითესება ჩვენი სხეული მშვინვიერი და აღდგება სხეული სულიერი ... დაითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში, დაეთესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში" (I კორ.15,42-44).

მაშ, "ნუ იქნება ცოდვის სუფევა თქვენს მოკვდავ სხეულში, არამედ როგორც მკვდრეთით აღმდგარნა, უძღვენით თავი ღმერთს!" (რომ. 6, 12).

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტი.
აღდგომა ქრისტესი,
2013 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინტერვიუ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ბატონ ნოდარ ხადურთან

მკითხველს მოეხსენება, რომ ფინანსთა სამინისტრო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამთავრობო სტრუქტურული ერთეულია. შესაბამისად, კითხვებიც ბევრია და ინტერესიც აღნიშნული სისტემის მრავალმხრივი ფუნქციების გამო. ჩვენ შევეცადეთ ჩვენი აზრით მკითხველისთვის საინტერესო რამდენიმე კითხვა დაგვესვა საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის, ბატონ ნოდარ ხადურისთვის, რომელმაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

- ბატონო ნოდარ, თქვენ განაცხადეთ, რომ 2014 წლის ბიუჯეტი იქნება თვისობრივად ახალი. რას გულისხმობდით, რა პრინციპებზე იქნება აგებული ბიუჯეტი?

- არჩევნების შემდგომ ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად გამოყენებაზე და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის ზრდაზე. რადიკალურად შეიცვალა 2013 წლის ბიუჯეტი. გასული წლებისგან განსხვავებით, როდესაც ასობით მილიონი ლარი მიემართებოდა ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რომელსაც მოსახლეობის კეთილდღეობისთვის არანაირი ეფექტი არ მოჰქონდა, ბიუჯეტი მსგავსი არაეფექტური პროექტებიდან გამოთავისუფლდა და რესურსი მთლიანად მიიმართა ახალი ხელისუფლების სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტების დასაფინანსებლად. ამჟამად დაწყებულია მუშაობა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომელიც იქნება პროგრამულ პრინციპებზე აგებული, რაც საბოლოოდ მოგვცემს საშუალებას ბიუჯეტი მთლიანად დაიგეგმოს წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად და საბიუჯეტო პროცესი იყოს იმდენად გამჭვირვალე, რომ საზოგადოებას მუდმივად შეეძლოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლი.

- რამდენად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისათვის?

- ჩვენს მიერ მომზადებული 2013 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად გამჭვირვალეა. თითოეულ პროგრამაზე ასევე „სხვა ხარჯები"-ს მუხლით გათვალისწინებულ თანხებზე წარმოდგენილია განმარტებები, თუ რა ღონისძიებების დასაფინანსებლად არის თანხები გათვალისწინებული. ახალმა ხელისუფლებამ პირველად წარადგინა პარლამენტში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, სადაც დეტალურად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების მოცულობებისა და მათი მიზნობრიობის შესახებ. ასევე დეტალურად იყო აღწერილი თითოეული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ნახვა შესაძლებელია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

- გასული წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეთ საგადასახადო კოდექსში. ამჟამად კიდევ შეტანილია ცვლილებების პროექტი პარლამენტში. რას ითვალისწინებს დოკუმენტი? რით დაეხმარება ამ ცვლილებების ამოქმედება ბიზნესსექტორს?

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს საგადასახადო და საბაჟო სფეროს რეფორმირებისთვის, მათ შორის, მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით, რომლის საბოლოო მიზანიც ბიზნესის ხელშეწყობა და ქვეყანაში კონკურენტული ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებაა.

ამჟამად, ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სფეროს ხელშეწყობას, ქველმოქმედების წახალისებას, გარკვეული კატეგორიის გადამხდელთა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ სა-

საგადასახადო შეღავათების დაწესებას.

კოდექსით გათვალისწინებული შეღავათები ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ პირთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და დარგის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებების პროექტით 2014 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე, ნაცვლად დღეს არსებული 3000 ლარისა, რაც მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ჩვენი იმ თანამოქალაქეებისთვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა.

საგადასახადო კოდექსში ხორციელდება რამდენიმე ცვლილება ზოგადად, ქელმოქმედების ხელშეწყობის მიზნით. თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრებისკენ მიმართული ღონისძიებების ფარგლებში, პროექტი ითვალისწინებს 2013 წლის 1 სექტემბრიდან ფილტრიანი სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთის გაზრდას, რაც ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების რეგულირებისა და პრევენციისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

- ზოგადად, როგორ მუშაობთ ბიზნესთან საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით?

- საქართველოს მთავრობის, ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკაა, თანამშრომლობა ბიზნესთან, მათი პრობლემების მოსმენა და გადაჭრის ერთობლივი გზების მოძიება. ფინანსთა სამინისტროს პოზიციაა, მუდმივად გაგრძელდეს მუშაობა იმისთვის, რომ ქვეყანაში დაცული იყოს ბიზნესინტერესები და არ შეიქმნას სირთულეები სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობისას. შესაბამისად, არც ერთი საკანონმდებლო ცვლილება თუ ინიციატივა არ მიიღება ბიზნესთან კონსულტაციის გარეშე. სისტემატურად ვხვდები როგორც მსხვილი ბიზნესგაერთიანებების წარმომადგენლებს, ისე ცალკეული კომპანიებისა და ბიზნესჯგუფების წარმომადგენლებს, ვისმენთ მათ მოსაზრებებს და წინადადებებს. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ბიზნესის წარმოება საქართველოში იყოს თავისუფალი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევისგან, ქვეყანაში აღარ არსებობდნენ პრივილეგირებული ბიზნესმენები, კანონი ყველასთვის იყოს თანაბარი და ბაზარზე მოქმედებდეს ჯანსაღი კონკურენციის პირობები.

- როგორც ცნობილია, თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შემოღებულ იქნა დაუბეგავი მინიმუმის ცნება. რას გულისხმობს ეს ინიციატივა?

- ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან დადგენილია დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარის ოდენობით. დაუბეგრავი მინიმუმი უწესდებათ შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე პირებს. კერძოდ, პირებს რომელთა ხელფასის სახით მიღებული წლიური დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს (500X12) ანუ „ხელზე ასაღები" წლიური თანხა არ აღემატება 4800 (400X12) ლარს;

დაქირავებული ფიზიკური პირი, საანგარიშო წლის (2013 წლის) დასრულებიდან 3 თვის შემდეგ, საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენის გზით გამოქვითავს და დაიბრუნებს დამქირავებლის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის ხელფასის გაცემისას დაკავებულ საშემოსავლო გადასახადს, რომლის მაქსიმალური ოდენობა იქნება 360 (1800X20%) ლარი;

წლიური დასაბეგრი შემოსავალში არ იქნება გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავალი. (მაგ, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე პირს წლის განმავლობაში აქვს ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 8 000 ლარი, იგი დაუბეგრავად მიიღებს დღეს მოქმედი კოდექსით გათავისუფლებულ შემოსავალს 3000 ლარს და რადგან დარჩენილი შემოსავალი 5000 ლარი (8000-3000) არ აღემატება 6000 ლარს, წლის დასრულების შემდეგ დაიბრუნებს დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამის თანხას 360 ლარს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე იძულებითი ღონისძიებები არ გავრცელდება დაუბეგრავი მინიმუმის (თვეში 150 ლარი) ოდენობის თანხაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია მოსახლეობის, განსაკუთრებით კი დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი კატეგორიის ინტერესების გათვალისწინებით, რადგან ადრე მოქმედი ნორმით, ფიზიკურ პირებს მთლიანად ეჭრებოდათ ანგარიშებზე არსებული თანხები, მათ შო-

რის, საარსებო მინიმუმიც. ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებიდან აღარ ხდება დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის თანხის ჩამოჭრა და მათ უფლება ექნებათ სრულად განკარგონ ანგარიშზე დარჩენილი 150 ლარის ოდენობის ფულადი სახსრები.

- უნდა ველოდოთ თუ არა ქვეყნის საგარეო ვალის ზრდას უახლოესი წლების განმავლობაში? თუ კი, რაში იქნება მიმართული ახალი კრედიტები?

- საქართველოს საგარეო ვალი წელს 200 მლნ დოლარით მცირდება. წელს ხდება ორ ვალის - 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციებიდან დარჩენილი ვალისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის მომსახურება. ასე რომ, როგორც ნომინალში, ისე პროცენტულად მშპ-სთან შეფარდებით შემცირდება საგარეო ვალის ოდენობა. რაც შეეხება ახალი ვალდებულებების აღებას, როგორც იცით, ჩვენი დონორები გვეხმარებიან იაფი რესურსების მოძიებაში, რომელიც ხმარდება ინფრასტრუქტურული პროექტების (გზების,წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას და სხვა) ამ კუთხით, ფინანსთა სამინისტრო გააგრძელებს თანამშრომლობას დონორ ორგანიზაციებთან. სხვა ხარჯების დასაფარად ქვეყნის ახალი ხელისუფლება ვალს არ აიღებს.

- ჩვენ მივესალმებით ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს შექმნას, რა მიზნები და ამოცანები აქვს აღნიშნულ საბჭოს?

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფინანსთა სამინისტროს საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ამავე დროს, მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნას ის ინტელექტუალური რესურსი, რომელიც საქართველოში არსებობს, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, შეგვექმნა მრჩეველთა საბჭო. მასში შესულები არიან ცნობილი ფინანსისტები და ექსპერტები, ადამიანები, რომლებსაც აქვთ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი რჩევები ყველა იმ საკითხზე, რომლებიც პრობლემურია. საბჭო პერმანენტულად იკრიბება და მინისტრს განსახილველად წარუდგენს მოსაზრებებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური ვითარების შესახებ, შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხებზე. ჩვენი ეს ინიციატივა სამინისტროს მუშაობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვასა და საზოგადოებასთან აქტიურ კოორდინაციას ემსახურება. ამჟამად მრჩეველთა საბჭო აქტიურადაა ჩართული ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

- წინა ხელისუფლების მიერ შემოღებულ იქნა ალტერნატიული აუდიტის ინსტიტუტი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საკითხი გადახედვას საჭიროებს?

- რაც შეეხება ალტერნატიულ აუდიტს, ეს საინტერესო პროექტია. ბევრი მიმართულებით შეიძლება საუბარი ალტერნატიული აუდიტის სრულყოფაზე. ცხადია, რომ არსებობს გარკვეული რისკები, და ჩვენი უცხოელი მეგობრები – სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, და ა.შ. – გვეუბნებიან, რომ გარკვეული მოდიფიცირება სჭირდება ალტერნატიული აუდიტის სამსახურს. ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ, თუმცა ცხადია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ ნაჩქარევად. ყველაფერს ვუთანხმებთ ბიზნესს. ამ კონკრეტულ საკითხზე ჩამოყალიბების პროცესში ვართ, თუმცა საკუთარი მოსაზრებები გაგვაჩნია. არის სფეროები, რომლებსაც ალტერნატიული აუდიტი, ჩვენი აზრით, არ უნდა შეეხოს, და არის სფეროებიც, სადაც ის აუცილებელია.

- დიდი მადლობა ბატონო ნოდარ, რომ დრო გამონახეთ და ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე გვიპასუხეთ. წარმატებებს გისურვებთ.

- თქვენც დიდი მადლობა.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი ლოიდ ქარჩავა

02.07.2013წ.

# ეკო-დაიჯესტი

## შეღავათები კოოპერატივებს

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. კანონპროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს გაერთიანებულ ფერმერებს მიანიჭებს კერძო სამართლის არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირი. მის დაფუძნებამდე კოოპერატივის სტატუსს სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაზღვრავს. გათვალისწინებულია შეღავათებიც. მაგალითად, კოოპერატივში ჩართული ქონება 2017 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული იქნება ქონების გადასახდისაგან; მოგების გადასახდით არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი. თუ კოოპერატივი გრანტს მიიღებს, არც ეს ფინანსური რესურსი დაიბეგრება. უკვე დაფუძნებულ კოოპერატივებზე შეღავათები გავრცელდება, თუ მარეგისტრირებელ ორგანოს ერთი წლის განმავლობაში მიმართავენ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს მიიღებენ.

## შრომის კოდექსი მიღებულია

შრომის კოდექსში ცვლილებები პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძის განმარტებით, მიღებულია შრომის ისეთი კოდექსი, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესებს. შრომის ახალი კოდექსი ძალაში შედის 2013 წლის 1 ივლისიდან.

## I კვარტალში საგარეო ვალი შემცირდა

საქართველოს საგარეო ვალი ერთი წლის განმავლობაში 3%-ით გაიზარდა, წლის დასაწყისთან შედარებით კი 2.4%-ით არის შემცირებული. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის საგარეო ვალი 2013 წლის 31 მარტისათვის $4.254.500.000-ია (2012 წლის 31 მარტისათვის - $4.218.962.000). სახელმწიფო საგარეო ვალიდან $3.971.751.000 აშშ დოლარი მთავრობის საგარეო ვალია, $282.749 მლნ კი – საქართველოს ეროვნული ბანკის, რომელსაც ეს თანხა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა მართებს.

## მორატორიუმი მიწის უცხოელებისათვის გადაცემაზე

უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს განსაზღვრული დროით, 2017 წლის 1 იანვრამდე, შესაძლოა მიწებზე საკუთრების მოპოვების უფლება შეეზღუდოთ. პროექტის ავტორები და ინიციატორები არიან დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, აგრარულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი გიგლა აგულაშვილი. მორატორიუმი არ გავრცელდება უცხოელის საკუთრებაში უკვე მყოფ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებზე.

## მაუწყებლები გადახვევის გამო იდავებენ

ტრანზიტული ტელემაუწყებლების აბონენტების რაოდენობა დღეს 260 ათასს აღწევს, საიდანაც 120 ათასი „სილქნეტის“ წილად მოდის. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის თქმით, შესაძლოა გამოსახულების ხარისხი ასეთივე ჰქონდეთ სხვა პროვაიდერებსაც, მაგრამ გადახვევის ფუნქცია ბაზარზე „სილქნეტმა“ შემოიტანა და ეს მომხმარებლებისათვის ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა. „მე-7“ არხის დამფუძნებელი და დირექტორი დავით წერეთელი აცხადებს, რომ კომპანია „მაგთი“-სთან ერთად განზრახული აქვთ მარეგულირებელ კომისიაში სარჩელის შეტანა „კავკასუს ონლაინისა“ და „სილქნეტის“ წინააღმდეგ – პაუზის, გადახვევისა და ტრანსილაციის ჩაწერის სერვისის გამო. მისი მოსაზრებით გადახვევა რეგულაციას დაექვემდებარება, I ტელევიზიებს აბონენტების ამჟამინდელი ზრდა

ალარ ექნებათ, ანდა მათ ნებართვის შეძენა მოუწევთ, რაც ერთობ ძვირი სიამოვნებაა და საბიუჯეტო... 

## მეორადი ბინების ფასი თბილისის უბნების მიხედვით

„ეკოპალიტრა“-მ და „ილიაუნი ბიზნეს რევიუ“-მ დედაქალაქში 2013 წლის 20 აპრილიდან 20 მაისამდე მოაწყო კვლევა მეორადი ბინების ფასის გამოსავლენად. შესაბამისად, წარმოდგენილია მეორადი ბინების ფასი (1 კვადრატულ/მეტრზე დოლარებში) უბნების მიხედვით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: 1) ვაკე, ბაგები – 1010; 2) ვერა – 983; 3) მთაწმინდა, სოლოლაკი – 978; 4) ძველი თბილის – 937; 5) საბურთალო – 912; 6) ავლაბარი – 828; 7) ბახტრიონი, დოლიძე – 807; 8) ვაჟა-ფშაველას კვარტლები, ქავთარაძე – 795; 9) დიდუბე – 773; 10) ავჭალა – 786; 11) დიღმის მასივი – 748; 12) ისანი – 723; 13) ნუცუბიძის პლატო – 674; 14) კრწანისი, ორთაჭალა – 667; 15) ნაძალადევი – 665; 16) ვაშლიჯვარი – 638; 17) სამგორი – 604; 18) ვარკეთილი – 596; 19) მუხიანი – 593; 20) დიდი დიღომი – 589; 21) გლდანი – 565; 22) თემქა – 554; 23) მესამე მასივი – 535; 24) ვაზისუბანი – 530; 25) ჩუღურეთი – 477; 26) ლილო – 425; 27) ფონიჭალა – 407.

## თამბაქოს ნაწარმი შეიძლება გაძვირდეს

თამბაქოს ნაწარმი შეიძლება გაძვირდეს. ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თქმით თამბაქოსა და ალკოჰოლზე კონტროლი და შეზღუდვები დაწესდება. ისი თქმით, „შესაძლებელია თამბაქოს ნაწარმი გაძვირდეს მისი აქციზური ღირებულების გაზრდის სახით. ეს იქნება წინასწარ გაწერილი, სულ ცოტა, 5-წლიანი გრაფიკი“.

## შარშან პომიდორი აშშ-დანაც კი შემოვიდა

პომიდვრის იმპორტი ექსპორტს მნიშვნელოვნად აჭარბებს. სტატისტიკური მონაცემებით, იმპორტი 16-ჯერ აღემატება ექსპორტის მოცულობას. შარსან ქართული პომიდორი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში გავიდა, სულ 655 ტონა, ხოლო შემოვიდა 10.964 ათასი ტონა, ძირითადად თურქეთიდან. აზერბაიჯანიდან 46 ტონა პომიდორი შემოვიდა, აშშ-დან 0 3.5 ტონა. ფულად გამოსახულებაში იმპორტი §6,832 მილიონია, ექსპორტი §316,4 ათასი.

„ეკო-დაიჯესტი“ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა
და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლის IV კურსის სტუდენტმა
თამთა ფეტელავამ



29374

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციისა და რეალობის დაშორების შემცირების გზები



რევაზ გველესიანი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული
ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია და რეალობა განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერთმანეთს შორდება. ეს დაკავშირებულია კონცეფციის რეალიზების ძირეულ პრობლემებთან. საქმე ეხება იმ პრობლემებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკური პროცესის გამო წარმოიშვა.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზების პროცესი ხასიათდება როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური დაბრკოლებებით. თუ გვსურს კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ბზარის აღმოფხვრა, აუცილებელია ამ დაბრკოლებების იდენტიფიცირება და მათი თავიდან აცილება. ამისათვის კი საჭიროა:

თავიდან აცილების ტექნოლოგიის ცოდნის გაუმჯობესება, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა, ისე იდეათა პოლიტიკური ფორმირების ასპექტით;

როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის, ისე პოლიტიკური მეთოდების გაუმჯობესება.

კონკრეტულად უნდა შემოწმდეს შესაძლებელია თუ არა:

ეკონომიკური პოლიტიკის აქტივობათა გარდაუვალი კოორდინაციის, გაუმჯობესება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი გამტარებელი არსებობს;

ეკონომიკური პოლიტიკის იდეების ფორმირების პროცესზე ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენის შეზღუდვა;

გადაწყვეტილების გამტარებელთა მართვის ცოდნის გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა შედეგების კონტროლის საფუძველზე, რაც აადვილებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებას და მათთვის საჭიროების შემთხვევაში ნეგატიური სანქციების დაკისრების შესაძლებლობას.

ამავე დროს, აუცილებელია იმის გაცნობიერება თუ რა არის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებისა და მისი შემდგომი განვითარების, ისე ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ შეხედულებათა ჩამოყალიბების მთავარი წანამძღვარი.

ეკონომიკაში სახელმწიფო ინტერვენციის შესახებ თეორიის მთავარი წანამძღვარი ის არის, რომ შესაძლებელია ეკონომიკურ მოვლენაზე მიზანმიმართული ზემოქმედება. ჩვენთვის ცნობილია თუ როგორ ფუნქციონირებენ საბაზრო-ეკონომიკური სისტემები და როგორ ყალიბდება ეკონომიკურ-პოლიტიკური მოქმედების მოთხოვნილება (საჭიროება). ნათელია ისიც, რომ ასეთ სისტემათა მართვის შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია, რაც განპირობებულია წესრიგთან დაკავშირებული მიზეზებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მართვის იმ მცდელობებს, რომლებიც ორიენტირებული არიან საბაზრო პროცესის კონ-კრეტულ შედეგებზე, რასაც ადასტურებს, როგორც სტაბილიზაციის პოლიტი-კის, ისე განაწილების პოლიტიკის შემთხვევები.

მართვის შესაძლებლობათა საზღვრებს თვითონ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა ადგენს. როგორც ვიცით, საბაზრო სისტემის სტრუქტურა არის კომპლექსური და ევოლუტორული (ღია). იგი ემყარება თვითკოორდი-ნაციას - საბაზრო მოქმედებების მეშვეობით, ხოლო თვითკონტროლს კონკურენციის საფუძველზე. საბაზრო-ეკონომიკური სისტემა, როგორც დაუგეგმავი წესრიგი, წარმოადგენს კოორდინირების შედეგს; საქმე ეხება ისეთ კოორდინირებას, რომელიც შრომის დანაწილებაზე აგებულ ეკონომიკაში იმ ინდივიდებსა და მეწარმეებს შორის მყარდება, საკუთარი, კერძო მიზნების განხორციელებას რომ ესწრაფვიან. მაგრამ სხვადასხვა სახის წესრიგი,

როგორც ასეთი, არ ემსახურება კონკრეტულ მიზნებს.

წმინდა საბაზრო ეკონომიკური ტიპის წესრიგიდან რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის ტიპად გარდაქმნის მცდელობა იმას ნიშნავს, რომ დაუგეგმავი წესრიგი ჩამოაყალიბო ეკონომიკურ-პოლიტიკურად განსაზღვრული მიზნებით. აქედან გამომდინარეობს ორი ძირითადი პრობლემა:

* როცა საბაზრო კოორდინაციის პროცესსა და შედეგებს მართვის ღონისძიებათა საფუძველზე ვესწრაფვით, ეს არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა დაუ-გეგმავი წესრიგისათვის გარკვეული მიზნების წინასწარ დასახვა. ამგვარი მიზ-ნები არ შეესაბამება მოცემული წესრიგის ხასიათს; ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ისინი საბაზრო სისტემის მხრიდან ისეთ რეაქციებს გამოიწვევენ, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და გათვალისწინება შეუძლებელია.

* მართვის ღონისძიებათა მიზანმიმართული გამოყენებისათვის აუცილებელი იქნებოდა მოსალოდნელი შედეგების წინასწარი ცოდნა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ევოლუტორული საბაზრო მოვლენები, მათი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, არ დაიყვანება დამაჯერებელ და სანდო კანონზომიერებებზე, რაც შესაძლებელია ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. იგივე უნდა ითქვას მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზეც, რასაც უნდა დაემყაროს მართვის ღონისძიებები.

იმ პირობებიდან, რომლებსაც ეკონომიკური წესრიგის თეორია აყენებს, მართვის უამრავი მცდელობის მიმართ დასაბუთებული ეჭვი ჩნდება. ამიტომაც მნიშვნელოვანია:

* მართვის მცდელობების ლოგიკური სტრუქტურების დამუშავება და მათი ელემენტების განსაზღვრა;

* ისეთი პირობების თუ შეზღუდვების გაანალიზება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს განსხვავებული ინტერვენციის კატეგორიებს და

* იმ მეთოდებისა და კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც მართვის მცდელობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში გამოიყენება.

მართვის შესახებ მოძღვრება ერთმანეთთან აკავშირებს მიზნებსა და მათი განხორციელების საშუალებებს, იმისათვის, რომ:

* გადაჭრას ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები (ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა);

* უზრუნველყოს ის ზოგადი ჩარჩო პირობები, რომელშიც შესაძლებელი გახდება მომავალში წარმოშობილი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა (ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია).

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს მიზან - საშუალება - სისტემასთან. მათ შორის კავშირის შესაძლებლობა იმას ემყარება, რომ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა კონცეფციის საფუძველზე ყალიბდება. ახლა მნიშვნელოვანია სწორედ ის საკითხი განვიხილოთ თუ რატომ არის აუცილებელი ზემოაღნიშნული შესაძლებლობის გამოყენება (რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების პოზიცია).

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების ზოგადი ჩარჩო პირობები, მისი ორიენტირი ან საფუძველი. როდესაც ასეთი კონცეფცია რაციონალურობის პრინციპს ემყარება, იგი წარმოადგენს ზოგად და მასშტაბურ მიზანთა კარგად გააზრებულსა და მყარ სისტემას. იგი ასევე მოიცავს წესრიგის პოლიტიკის პრინციპებს, მათთან თავსებადსა და მიზნის მიმართ კონფორმულ საშუალებებს. ამ პოზიციიდან კი ეკონომიკა სხვა არაფერია თუ არა ბევრად უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ მიზანდასახულობათა შემადგენელი ნაწილი. ეკონომიკური კონცეფცია აადვილებს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღებას. ამ საფუძვლის გარეშე მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხზე რაციონალური გადაწყვეტილების მიღება უამრავი მისწრაფებისა და მოქმედების შესაძლებლობათა გათვალისწინებასთან არის დაკავშირებული. ეს კი, ძირითადი ღირებულებებისა და ზოგადი მიზნების სა-ფუძვლიან გააზრებასაც გულისხმობს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია სწორედ მოქმედების შესაძლებლობათა წინასწარი არჩევის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ის ადგენს ინტერვენციის წესს, როგორც საშუალებათა გამოყე-ნების კრიტერიუმს [1 გვ. 202]. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული გადაწყვეტილება მოქმედებათა მაქსიმალური რაოდენობის უშუალო შემოწმების გარეშე მივიღოთ. სწორედ კონცეფციის საფუძველზე დგინდება მათი (გადაწყვეტილებათა) თავსებადობა საზოგადოების უფრო მასშტაბურ მიზნებთან, რაც ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების რეალიზებას ხელს უწყობს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია დაკავშირებულია წესრიგის პოლიტიკასთან, რაზეც სწორედ კონცეფციით ნებადართულ საშუალებებსა და პრინციპებს შორის დამოკიდებულება

მიუთითებს. ასეთ ურთიერთმიმართებაში კოორდინაციის წინასწარ მოცემული მეთოდებიც იგულისხმება. კონცეფცია სწორედ მაშინ არის თანმიმდევრული და მყარი, როდესაც მასში მოცემული ინსტრუმენტები და სხვა პრინციპები, კონკრეტული გადაწყვეტილების ასპექტით, კოორ-დინირებული და ჰარმონიული მოქმედების პირობას აკმაყოფილებს. ასე, რომ საბაზრო კოორდინაცია შესაბამისობაშია საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპთან. კერძო მოქმედებები, რომლებიც კონკურენციის საფუძველზე ხორციელდება სრულ თანხმობაშია ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის მოთხოვნასთან, რომელიც საინფორმაციო პოლიტიკისა და მონაცემთა ცვლილების საშუალებით ხორციელდება. საბაზრო მოთხოვნებთან შეუთავსებელი იქნებოდა კერძო ეკონომიკური მოქმედებების კოორდინირებულობის სახელმწიფო მართვის პირდაპირი ძალადობრივი ფორმით ჩანაცვლების მცდელობა. აქედან, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების თავისუფლების ასპექტით მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი გამომდინარეობს. საქმე ეხება იმას, თუ რაოდენ გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პრინციპზე დამყარებული კონფორმული სისტემა.

კონცეფციაში მოცემულ წესრიგის პოლიტიკის ელემენტებზე განსაკუთრებით აისახება ის ზეგავლენა, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციებზე ახდენს საზოგადოების საბოლოო მიზნები და მათი ინტერპრეტაციები. ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საფუძვლად უდევს კონცეფციას თვითმიზანი არ არის. იგი საზოგადოებაში არსებული ძირითადი შეხედულებების გამოხატულებაა. სწორედ ამის საფუძველზე უნდა გავიაზროთ რეგულირებადი ბაზრის ორი ასპექტი, რომელთაგან ერთი კოორდინირებული სისტემის მართვას უკავშირდება, მეორე კი, იმის დადგენას გულისხმობს თუ რამდენად არის შესაძლებელი ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენების მართვა. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ განისაზღვრება ეკონომიკური თვალსაზრისით ინდივიდუალური თავისუფლება და სამართლიანობა. როდესაც აქცენტი კეთდება მოპოვებული სოციალური სტატუსის შენარჩუნებასა და სამართლიანობის შესახებ სუბიექტურ აღქმაზე, მაშინ საბაზრო კოორდინაცია და მასზე დაფუძნებული კერძო საკუთრების ავტონომია გარკვეულ შეზღუდვასა და კორექტირებას საჭიროებს. მაგრამ თუ აქცენტი გადატანილია წარმა-ტებაზე და ინდივიდის უნარზე მიესადაგოს პროგრესის მომტან ცვლილებებს, მაშინ სუბიექტური ავტონომიის მაღალ დონესთან ერთად აუცილებელია მატერიალური სტიმულებიც არსებობდეს. მათ განაწილებას სრულიად განსხვავებული, მაგრამ ყველასთვის ასატანი და მისაღები შედეგები უნდა მოჰყვეს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციასთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ:

* იგი მიზანი-საშუალება - სისტემის საფუძველზე აიხსნას;
* შემოწმდეს ხომ არ მოიცავს იგი წინააღმდეგობას;
* გაანალიზდეს რამდენად გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პროცედურები, არიან თუ არა ისინი შესაბამისობაში სისტემით დაშვებულ საშუალებებთან (სისტემის კონფორმულობა) და რამდენად რეალიზებადია დასახული მიზნები (მიზნების კონფორმულობა);
* შეფასდეს მათი განხორციელების შესაძლებლობა იდეათა ფორმირების პო-ლიტიკური პროცესის გათვალისწინებით.

თუ გვსურს, რომ კონცეფციამ შეასრულოს თავისი ამოცანა და ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მყარ და გამძლე საფუძვლად იქცეს, აუცილებელია გრძელვადიანი პოლიტიკური კონსენსუსის უზრუნველყოფა. იგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ეკონომიკა არის სისტემის სტრუქტურული რგოლი და ამ მხრივ მისი მიზნები უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი მიზნების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის განხორციელებისას უნ-და გავითვალისწინოთ, რომ პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად საჭიროა:

* გარკვეული დრო;
* მისი შედეგები უნდა შეფასდეს მხოლოდ შედარებითი ანალიზით;
* გათვალისწინებული უნდა იქნეს ძირითადი და თანმხლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებები, რომლებმაც შესაძლებელია მიზანთა კონფლიქტები გამოიწვიოს. მათი მოგვარებისათვის კი აუცილებელია შემოწმდეს ხომ არ შეიცვალა ძირითადი ღირებულებების შესახებ არსებული შეხედულებები და მიღწეულ კონსენსუსს ნაწილობრივ ან მთლიანად ხომ არ გამოეცალა საფუძველი.

აქედან გამომდინარე საჭიროა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები მუდმივად მოწმდებოდეს და დროთა განმავლობაში მათში ცვლილებები შედიოდეს. ამავე დროს, კონკრეტულ გარემოებათა ზეგავლენით, მიუხედავად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ძალისხმევისა, შესაძლებელია, რომ კონცეფცია და ფაქტობრივი

პოლიტიკა ერთმანეთს დაშორდეს. ამით კონცეფცია, როგორც პრაქტიკული მიზნების ორიენტირი მნიშვნელობას როდი დაკარგავს. თუ მასზე უარს ვიტყვით, მაშინ ჩვენს წინაშე შემდეგი კითხვა გაჩნდება: რით უნდა ჩავანაცვლოთ იგი თითქმის გაუაზრებელი ინტერვენციების საფრთხე თავიდან რომ ავიცილოთ? მსოფლიო აზროვნებაში, სულაც არ იგრძნობა ისეთი მოდელების დეფიციტი, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრების იდეალურ მდგომარეობას გვიხატავენ. საუკუნეთა მანძილზე ყოვლისმომცველ საზოგადოებრივ ცვლილებებს ბიძგს სწორედ ასეთი უტოპიები აძლევდა.

ეკონომიკური პოლიტიკა მოწოდებულია თანმიმდევრული დიაგნოზირების საფუძველზე აღმოფხვრას კონკრეტული ნაკლოვანებები და აქედან გამომდინარე შედეგები შემდგომი მოქმედებებისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს. მან უნდა აჩვენოს ის თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალურ ტექნიკაზე დაფუძნებული თანმიმდევრული რეფორმების განხორციელება. იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემები რაციონალურად არის გააზრებული, მაშინ მათი განხორციელების ყოველი ეტაპი, ერთი მხრივ, ერთმანეთთან თანხმობაში უნდა იყოს. მეორე მხრივ, კი საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ გლობალურ შეფასებებს უნდა შეესაბამებოდეს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, როგორც ჩარჩო პროგრამა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. შეფასებებსა და ტექნოლოგიის ცოდნაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით მისი გადამოწმება პერიოდულად უნდა მოხდეს.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული ტიპის ჩამოყალიბების მცდელობაა. ამ კონცეფციის მიზანია, რომ "საბაზრო თავისუფლების პრინციპი სოციალურ თანასწორობასთან დაკავშირებით. [2, გვ. 390]. ამით აღიარებული იქნება ინდივიდუალური თავისუფლებისა და სამართლიანობის მიზნები. შესაძლებელია, როგორც დასახელებული, ისე სხვა მიზნების, სულ ცოტა, ნაწილობრივი დახასიათება, ვინაიდან ისინი გათვალისწინებულია კონცეფციის პრინციპებსა და საშუალებებში. კონცეფციის დამოკიდებულება ძირითადად საზოგადოებრივ ღირებულებებთან მოკლედ შესაძლებელია შემდეგნაირად დავახასიათოთ:

* ეკონომიკის სფეროში ინდივიდუალური თავისუფლება ხორციელდება იმით, რომ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება მეტწილად გადადის კერძო ინდივიდების ხელში და იგი შესაბამისობაშია სუბიექტის ავტონომიისა და კერძო საკუთრების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან. ეკონომიკური თავისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას არ გვაძლევს კონკურენციის კანონმდებლობის შემოღება და განხორციელება. კერძო საკუთრების გამოყენება შეესაბამება სოციალური ვალდებულების კონსტიტუციურ ნორმას. ამიტომაც სხვა ინდივიდთა უფლებების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე კერძო საკუთრების უფლება იზღუდება;

* თავისუფალი კონკურენციის შედეგების გაკონტროლება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სამართლიანობის, როგორც ყველასთვის თანაბრად მისაღები პირობების უზრუნველყოფის ამოცანას. საბაზრო შედეგების კორექტირება გათანაბრების სამართლიანობის თვალსაზრისით ხორციელდება. პრაქტიკაში ეს პროცესი მიმდინარეობს, როგორც შემოსავლების პროგრესიული დაბეგვრით, ისე ტრანსფერების საშუალებით. ქონების გადასახადი და ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავლების გადასახადი, სიმდიდრის ფორმირების მხარდაჭერა, განათლების სუბსიდირება და მართვის სხვა "სახელმწიფოებრივი„ ღონისძიებები ხელს უწყობს შესაძლებლობათა თანაბრად განაწილებასა და თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას. ასეთია სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპზე დაფუძნებული პოზიცია;

* კონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა ინდივიდის საარსებო პირობებზე ზრუნვასაც გულისხმობს, რომელიც ხორციელდება, როგორც ქონების დაგროვების, ისე სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოს გზით. სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტები სუბსიდირებას უწევენ სუბიექტთა უსაფრთხოებას და სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ინტერესებით მოქმედებენ. სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ხელს უწყობს აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია იმაზე, რომ შეარბილოს კონიუნქტურული რყევები, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული კონფლიქტები და სტრუქტურული ცვლილებები. ისინი სიტუაციასთან შესაბამისობის გაადვილებას გულისხმობს და არა ტრადიციული სტრუქტურების შენარჩუნებას.

* პროგრესს ხელს უწყობს საბაზრო კოორდინაცია, რომელიც კონტროლირებადი ფასების საფუძველზე კონკურენციის ფორმით მიმდინარეობს. კონკურენციასთან შესაბამისობისა და

განვითარების ფუნქცია ხელს უწყობს მატერიალურ თავისუფლებას, რადგან მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობებს აფართოებს. სწორედ ეს არის სოციალური სამართლიანობისა და უსაფრთხოების დონის ამაღლების წინაპირობა. ცხადია, რომ როგორც თავისუფლებასა და სამართლიანობას, ისე უსაფრთხოებასა და პროგრესს შორის კონფლიქტების მოგვარებისათვის ეკონომიკური ზრდა უკეთეს პირობებს ქმნის.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს ძირითადი ღირებულებების რეალიზებას. ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა „ეკონომიკური ზრდის მიზანმიმართული პოლიტიკა", „დასაქმების უფრო მაღალი დონე„ „მყარი სავალუტო სისტემა„ [2,გვ. 391) შინაარსობრივად სრულ შესაბამისობაშია მიზანთა იმ კატალოგთან, რომელიც სასურველია ყველა სახელმწიფოს კანონებში აისახოს. "სოციალური ინტერვენციის რეგულირების პრინციპი„ [2, გვ. 391), უპირველეს ყოვლისა, შინაარსობრივად შეესაბამება როგორც შემოსავლებისა და ქონების სამართლიანად განა-წილების, ისე სოციალური უსაფრთხოების პრინციპს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას საფუძვლად უდევს ორი მარტივი პრინციპი:

* საბაზრო კოორდინაცია ხორციელდება იმ პროცედურის საფუძველზე, რომელიც კონკურენციის პროცესში ფასების რეგულირებას გულისხმობს. მაგრამ ვინაიდან კონკურენცია თავისთავად არ გვაძლევს ამის საშუალებას, საჭიროა მისი ინსტიტუციური უზრუნველყოფა. საუბარია იმაზე, რომ "გამოირიცხოს კონკურენციის შეზღუდვა, გაკონტროლდეს მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და კარტელები და ამით - მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე - ამაღლდეს კონკურენციის ეფექტიანობა„ [2, გვ. 391);

* ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ღონისძიებები ემსახურება "სოციალურ მიზანდასახულობას და არ აფერხებს საბაზრო მექანიზმის მუშაობას„ [2,გვ. 391). ამით დგინდება სისტემისადმი კონფორმულობა, როგორც ინსტრუმენტების გამოყენების კრიტერიუმი. განსხვავებული ზომების გამოყენება მოწმდება იმის მიხედვით თუ რამდენად შეასრულებენ ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციას საბაზრო კოორდინაციის გაბატონებულ სისტემაში.

კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ღრმა ბზარი შესაძლებელია გლობალური მართვის შედეგი იყოს [3]. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, არსებითად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კონიუნქტურის პოლიტიკასა და მართვის შესახებ მოძღვრებას (ასევე "განხორციელების შესაძ-ლებლობას"). გლობალური მართვა წესრიგის პოლიტიკის მიხედვით საბაზრო კოორდინაციის თავისებურ გაგებას ემყარება. სახელდობრ, იგი განისაზღვრება, როგორც მოქმედების წესრიგის პოლიტიკაზე ორიენტირებული მოვლენა. ეს თვალსაზრისი არ ითვალისწინებს პოლიტიკის კანონზომიერებებს, როგორც ხელის შემშლელ ფაქტორს, რომელიც არ გვაძლევს მართვის გეგმის თანმიმდევრულად გამოყენების შესაძლებლობას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს გლობალურ მართვას დღემდე არ მოუტანია დამაჯერებელი შედეგი [4]).

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონცეფცია და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერთმანეთს შორდება. ეს დაკავშირებულია კონცეფციის რეალიზების ძირეულ პრობლემებთან [5, გვ. 305]. საქმე ეხება იმ პრობლემებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკური პროცესის გამო წარმოიშვა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია მოსაზრება [6, გვ. 78] იმის შესახებ, რომ „სოციალური საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური ჩარჩო არ არის საკმარისად მტკიცე და მყარი, რომ მან გაუძლოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს, ერთი მხრივ, წესრიგის ნაწილის პოლიტიზირების ტენდენციებს (იგულისხმება არაფორმალური სექტორის ინტერესები), მეორე მხრივ, კი მისგან გამომდინარე ოპორტუნისტული შესაძლებლობების რე-ალიზებას (იგულისხმება კორუფციული გარიგებები).

საზოგადოდ, ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზების პროცესი ხასიათდება როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური დაბრკოლებებით. თუ გვსურს კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ბზარის აღმოფხვრა, აუ-ცილებელია ამ დაბრკოლებების იდენტიფიცირება და მათი დაძლევა. ამისათვის კი საჭიროა:

* მათი თავიდან აცილების ტექნოლოგიის ცოდნის გაუმჯობესება, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა, ისე იდეათა პოლიტიკური ფორმირების ასპექტით;

* როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის, ისე პოლიტიკური მეთოდების გაუმჯობესება.

კონკრეტულად უნდა შემოწმდეს შესაძლებელია თუ არა:

* ეკონომიკური პოლიტიკის აქტივობათა გარდაუვალი კოორდინაციის გაუმჯობესება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი

გამტარებელი არსებობს;

* ეკონომიკური პოლიტიკის იდეების ფორმირების პროცესზე ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენის შეზღუდვა;
* გადაწყვეტილების გამტარებელთა მართვის ცოდნის გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა შედეგების კონტროლის საფუძველზე და აადვილებს თუ არა ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებას და მათთვის საჭიროების შემთხვევაში ნეგატიური სანქციების დაკისრების შესაძლებლობას.

ამავე დროს,აუცილებელია იმის გაცნობიერება თუ რა არის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებისა და მისი შემდგომი განვითარების, ისე ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ შეხედულებათა ჩამოყალიბების მთავარი წანამძღვარი. სწორედ ეს არის რაც შეიძლება ფართო კონსენსუსი იმ ძირითადი ღირებულებების შინაარსისა და მასშტაბის თაობაზე, რომლის რეალიზაცია საზოგადოებას სურს. პრაქტიკული მოქმედების სფეროში მათი გადმოტანა პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ხშირად პოლიტიკური კონკურენციის ზეწოლით საკითხი არაფრისმთქმელი დეკლარაციებითა და სიმბოლური მოქმედებებით შემოიფარგლება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. TUCHTFELDT, E. (1982), Wisrtchaftspolitik, in: Handwoerterbuch der Wirtschaftswissenschaft, Bd. 9, Stuttgart.
2. MULLER-ARMACK, A. (1956), Soziale Marktwirtschaft, in: Handwoerterbuch der Sozialwissenschaften, Bd. 9, Stuttgart, Tuebingen, Goettingen.
3. TUCHTFELDT, E. (1973), Soziale Marktwirtschaft und Globalisierung; in ders. (Hrsg.): Soziale Marktwirschaft im Wandel, Freiburg, S. 159-188.
4. STREIT, M. E. (1981), Demand Management and Catallaxy – Reflections on a Poor Policy Record. Ordo 32, S. 17-34.
5. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart.
6. KLOTEN, N. (1986), Der Staat in der Sozialen Marktwirtschaft (Walter-Eucken-Institut, Vortraege und Aufsaetze 108), Tuebingen.
7. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი 2012.


**Ways of reducing the distance from the concept and reality of economic policy**


**Revaz Gvelesiani**
Head of the Department of Economical policy
of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Full professor, Doctor of Economic Sciences



Practice proves that economic policy concept and reality gets far from each other on some stage. This is connected to the initial problems of concept realization, which may generate because of political process oriented on public welfare in market economic policy.

Economic policy concept realization process has economic and political obstacles. If we want to fill the gap between concept and reality, we have to identify obstacles and avoid them. For this reason it is necessary:

· To improve avoiding technology in the aspects of economic relations and political shapes of ideas;
· To improve economic policy instruments and political methods;

Should be checked if it is possible to:

· Improve coordination of economic policy activities, when there are many economic policies;
· Limit the influence of interest groups on formation of economic policy ideas.
· Improve the knowledge of people who should implement changes that makes easier to identify political responsibility and negative impose, if it is necessary.

Also, it is important to realize what is essential for economic policy concept realization, development and idea formation about economic and public order.




arTuli antimonopoliuri samarTali:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ანტიმონოპოლიური სამართალი: ხარვეზები და მათი დაძლევის გზები



სლავა ფეტელავა
ეკონომიკის დოქტორი (**PhD**), იურისტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ის ექსპერტები რომლებიც ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას უკავშირებენ ქვეყანაში ფასების პრობლემის მოგვარებას, ცუდ სამსახურს უწევენ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგანაც ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოცანა ვერ იქნება ფასების კონტროლი და რეგულირება. ფასებით რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ბუნებრივი მონოპოლიის სექტორი და ამ საქმეს მეტ-ნაკლები წარმატებით თავს ართმევენ შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები. რაც შეეხება ლიბერალურ ბაზრებზე ფასების რეგულირებას (ფასების გამოცხადებას, თუ გამოცხადებული ფასების სისწორის დაცვას და ა.შ.), ეს ყოფილი ფასების სახელმწიფო ინსპექციის პრეროგატივა იყო და მასზე სახელმწიფომ 2005 წლის აგვისტოდან, სრულიად სამართლიანად, თქვა უარი. შესაბამისად, ლიბერალურ ბაზრებზე ფასების რეგულირების 2005 - წლამდელი მექანიზმების შემოღება არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

ამასთან ნაშრომში ჩამოყალიბებული და გაანალიზებულია ის შეუსაბამობები, რაც კონკურენციის დღეს მოქმედ ჩარჩო კანონს განასხვავებს ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი ნორმისაგან. ასევე, წარმოჩენილია ის პრობლემები, რაც აფერხებს მოქმედი კანონის, თუნდაც არსებული სახით ამოქმედებას. აღნიშნულის პარალელურად დასახულია ამ შეუსაბამობების მოწესრიგების გზები.

გარდა ამისა, გამოთქმულია მოსაზრება კონკურენციის ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდის აუცილებლობის კუთხით, სადაც აქცენტი კეთდება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან მის დამოუკიდებლობაზე.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპერტები, რომლებიც ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის ინიციატივით გამოდიან და ამ სამსახურის შექმნას უკავშირებენ ქვეყანაში ფასების პრობლემის მოგვარებას, ცუდ სამსახურს უწევენ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგანაც კონკურენციის სააგენტოს (იგივე ანტიმონოპოლიური სამსახურის) ამოცანა ვერ იქნება ფასების კონტროლი და რეგულირება. ფასებით რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ბუნებრივი მონოპოლიის სექტორი და ამ საქმეს მეტ-ნაკლები წარმატებით თავს ართმევენ შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები. რაც შეეხება ლიბერალურ ბაზრებზე ფასების რეგულირებას (ფასების გამოცხადებას, თუ გამოცხადებული ფასების სისწორის დაცვას და ა.შ.), ეს ყოფილი ფასების სახელმწიფო ინსპექციის პრეროგატივა იყო და მასზე სახელმწიფომ 2005 წლის აგვისტოდან, სრულიად სამართლიანად, თქვა უარი. შესაბამისად, ლიბერალურ ბაზრებზე ფასების რეგულირების 2005 - წლამდელი მექანიზმების შემოღება არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მოლოდინი, რომ ანტიმონოპოლიურ სამსახურის ჩამოყალიბებით მოხდება ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე დღეს არსებული თავისუფალი საბაზრო ფასების გადახედვა, სხვა არაფერია თუ არა საკითხისადმი არასწორი მიდგომა და დემაგოგია. ერთადერთი, რაც უნდა მოეთხოვოს ქვეყნის კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) ორგანოს, ესაა - შესაბამისი სასაქონლო ბაზრების ანალიზი და მონიტორინგი. თუ მოკვლეულ ბაზრებზე ადგილი ექნება დემპინგური, ან მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების გამოყენებას (რასაც სერიოზული დასაბუთება სჭირდება), ასევე, კონკურენციის შემზღუდავ შერწყმებს, შეთანხმებებს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და ა.შ., სწორედ ასეთი უკანონო ქმედებები უნდა აღკვეთოს კონკურენციის სამსახურმა. თუმცა, ყოველივე ამას სჭირდება სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. ამდენად, ამ ეტაპის უპირატესი ამოცანა სწორედ კონკურენ-

ციის ჩარჩო კანონის სრულყოფაა. მართალია, დღეს ამ საკითხზე ღიად მიდის მსჯელობა, მაგრამ, წინასწარ იმის თქმა, თუ რამდენად იქნება სრულყოფილი ქვეყნის საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა, ძნელია; ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას ადრეც არაერთხელ ჰქონია ამის მზაობა (ყოველ შემთხვევაში დეკლარირების დონეზე), მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიმდგარა, სრულყოფილი სამართლებრივი ნორმა არც ერთხელ არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, იმედს ვიტოვებთ, რომ კონკურენციის ჩარჩო ნორმის სრულყოფის პროცესი ბოლომდე იქნება მიყვანილი.

ამ ეტაპზე, არსებობს კონკურენციის კანონის რამდენიმე ახალი ვერსია. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი ანტიმონოპოლიური გამოწვევების საპირწონედ, სავსებით საკმარისია დღეს მოქმედი - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის სრულყოფა. კერძოდ, კანონს უნდა ჩამოშორდეს მასში უცხო სხეულივით შეჭრილი დებულებები, რითაც მოხდება მისი ცალკეული დამახინჯებული მუხლის დახვეწა და ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან დაახლოება არა მხოლოდ სათაურის, არამედ შინაარსის დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ის ნაკლოვანებები, რაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს მოქმედ კანონს (2012 წლის 8 მაისის რედაქცია) გააჩნია და დავსახოთ მათი გამოსწორების გზები.

1) არასწორად მიგვაჩნია, რომ კანონი არ ვრცელდება იმ ბაზრებზე, რომელთა საქონლური ბრუნვა არ აღემატება მშპ-ის 0,25%-ს [2, მუხლი 1, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ვ"], რადგანაც იქმნება იმის საშიშროება, რომ მარილის, ასანთის და სხვა მსგავსი ბაზრები (სადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები ანტიმონოპოლიური რეგულირების არც თუ ისე შორეულ წარსულში იყო გამოვლენილი და აღკვეთილი) არ მოხვდება კონკურენციის კანონის რეგულირების სფეროში. მით უმეტეს იმ ფონზე, რომ „საქართველოს 2012 წლის მშპ-ის მოცულობიდან გამომდინარე, 0,25% -ი 65 მლნ ლარს აღემატება" [8];

2) გაუმართლებელია, რომ კანონი არ ვრცელდება ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ობიექტებზე და თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე [2, მუხლი 1, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ზ"], რადგანაც აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეკონომიკური აგენტი არეალიზებს თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებას (ასეთი საქონელი შეიძლება იყოს საწვავიც), მაშინ მას შეუძლია ამ სფეროში დაარღვიოს კონკურენციის ზოგადი პრინციპები და იმოქმედოს თავისი შეხედულებით, მათ შორის, არაკეთილსინდისიერადაც [აქსიომაა ის, რომ კონკურენციის კანონი კეთილსინდისიერ მეწარმეებს ბიზნესის კეთებაში ხელს კი არ უშლის, არამედ ახალისებს მათ. ამდენად, გაურკვეველია - რატომაა საფრთხის შემცველი და რატომ არ უნდა ვრცელდებოდეს კონკურენციის ზოგადი ნორმები იმ ეკონომიკურ აგენტებზე, რომლებიც ამ ბიზნესით იქნებიან დაკავებულები; ასეთი მიდგომით, ხომ შეიძლება არც საგადასახადო, არც საბაჟო და ა.შ. სამართლებრივი ნორმები არ გავრცელდეს ამ ან სხვა სფეროებზე და მაშინ რას მივიღებთ .....; მით უმეტეს, ბაზრის მონაწილე სუბიექტის მიერ კონკურენციის ნორმების იგნორირებით, სხვა სუბიექტთათვის მიყენებული ზიანი, ძირითადად (უმრავლეს შემთხვევაში) დიდად აღემატება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით მიყენებულ ზიანს];

3) კანონი არ ვრცელდება ისეთ ჰორიზონტალურ ხელშეკრულებებზე, რომლის მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25%-ს, ხოლო ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევებში - 40%-ს. ასევე კანონი არ ვრცელდება თუ ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი კლასიფიკაცია ამა თუ იმ სახეობის ხელშეკრულებად, და ამ ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40%-ს [2, მუხლი 8, პუნქტები „ა", „ბ", „გ"].

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის რეკომენდაციებით, ეს მაჩვენებლები ჰორიზონტალური ხელშეკრულების შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ვერტიკალური ხელშეკრულების შემთხვევაში - 15%-ს, ხოლო, როდესაც რთულია კლასიფიკაცია, მაშინ მასში მონაწილე მხარეთა ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

4) კანონში ჩადებული სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი დებულებები მთლიანად კარგავს აზრს, რადგან სახელმწიფო დახმარებების (სუბსიდიის) განმარტებაში [2, მუხლი 3, პუნქტი „ს"] აღნიშნულია, რომ ის არ გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის, საქართვე-

ლოს მთავრობის და ქალაქ თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების დახარჯვას. არადა, ამ თანხებმა შესაძლებელია ცალკეულ სასაქონლო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე არსებითი გავლენა იქონიოს. მითუმეტეს, „2011 წლის მონაცემებით, აღნიშნული სარეზერვო ფონდების მოცულობამ ჯამში 102 მლნ ლარი შეადგინა“ [5];

5) კანონის თანახმად დასაშვებია ნებისმიერი სახეობის გადასახადების შემცირებისა და რესტრუქტურიზაციის შემთხვევა, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა [2, მუხლი 12, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „თ“], რაც ყოვლად გაუმართლებელია, რადგანაც ცალეკული ეკონომიკური აგენტისათვის, ამა თუ იმ ფორმით, გადასახადის შემცირების ან/და რესტრუქტურიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებას ყოველთვის მთავრობა იღებს (იღებდა). შესაბამისად, თუ არ იქნება ამ ნაწილში კონკურენციის ზოგადი პრინციპები დაცული, არაა გამორიცხული ადგილი ჰქონდეს პატიოსან მეწარმეთა ინტერესების საზიანო ქმედებებს;

6) კანონის რეგულირებიდან გამოსულია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები [2, მუხლი 12, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ი“], რაც ასევე არასწორია, რადგანაც ასეთი გამონაკლისებით ადვილადაა შესაძლებელი შეილახოს კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპები შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა მეტი ერთგულება ეკონომიკური კონკურენციის ზოგადი პრინციპებისადმი, რითაც საბოლოო ანგარიშით, მოიგებს შესაბამისი ბაზრის ყველა მონაწილე, სახელმწიფოს ჩათვლით;

7) კანონი არ ითვალისწინებს, არადა აუცილებელია, რომ კონკურენციის მთავარი სახელმწიფო ორგანო იყოს აღჭურვილი ისეთი უფლებამოსილებით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება არ ჰქონდეს არავის, გარდა სასამართლო ხელისუფლებისა (კონკურენციის ორგანოს უნდა ჰქონდეს არა სარეკომენდაციო ხასიათის, არამედ შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება);

8) სამწუხაროდ, კანონის მიხედვით, მთავრობის მიერ გაცემულ სახელმწიფო დახმარებებზე საბოლოო გადაწყვეტილებას, კონკურენციის სააგენტოს რეკომენდაციების საფუძველზე, ისევ მთავრობა ღებულობს, რაც ასევე არასწორია (კონკურენციის ორგანო უნდა იყოს მთავრობის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამომვლენი და აღმკვეთი და არა მთავრობისათვის კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე მხოლოდ რეკომენდაციების შემმუშავებელი);

9) პრობლემატურია ისიც, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლება არა აქვს მთავრობისაგან დამოუკიდებლად (საკუთარი ინიციატივით) მოახდინოს სასაქონლო ბაზრების ანალიზი (მონიტორინგი). კერძოდ, მას ამ უფლებას ანიჭებს საქართველოს მთავრობა წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე. შესაბამისად, იმ ბაზრებზე, რომლებიც პრიორიტეტულ მიმართულებებში არაა მოქცეული, რომც ჰქონდეს ადგილი არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, მასზე რეაგირების უფლებამოსილება სააგენტოს არ გააჩნია. ე.ი. სააგენტო პასუხს არ აგებს იმ ბაზრებზე არსებულ არაკონკურენტულ მდგომარეობაზე, რომლებიც მთავრობას პრიორიტეტულ მიმართულებებში არ აქვს შეტანილი, რაც არასწორი და გაუმართლებელია;

10) მიგვაჩნია, რომ ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს არა მთავრობის გადაწყვეტილებით, არამედ კანონით; მითუმეტეს, ამ ნაწილში არსებობს ევროკავშირის რეგულაცია, რომლითაც განსაზღვრულია დე მინიმის-ს ზედა ზღვარი; ჩვენი აზრით, დე მინიმის-ს საკითხით მანიპულირების უფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს;

11) ფაქტია, რომ ევროკომისიის თანხმობა არ სჭირდება იმ სახელმწიფო დახმარებებს, რომლებიც გაცემულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე; კვლევისა და განვითარებისათვის; გარემოს დაცვისათვის; დასაქმებისა და ტრენინგებისათვის; ასევე, რეგიონური დახმარებას, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის. სამწუხაროდ, ევროკავშირის ეს მიდგომა სახელმწიფო დახმარებების ნაწილში, გაფართოებული და განვრცობილ იქნა იმ კუთხით, რომ საქართველოში დღეს მოქმედ კონკურენციის ჩარჩო კანონში ჩაიდო როგორც გამონაკლისი - საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის, გადასახადის შემცირების და სხვა მსგავსი საკითხები, რაც, არა თუ აახლოებს, არამედ წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის პრინციპებთან სახელმწიფო დახმარების გაცემის ნაწილში. უფრო მეტიც, კანონის ეს ნაწილი თვით

„კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულებასთანაც მოდის წინააღმდეგობაში, რადგანაც ამ სტრატეგიის თანახმად განსაზღვრულია, რომ „კონკურენციის ჩარჩო კანონით სახელმწიფო დახმარება განიმარტება ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად“, რაც სამწუხაროდ არ იქნა გათვალისწინებული კონკურენციის 2012 წლის 8 მაისის კანონის მიღების დროს. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონის ეს ნაწილი სერიოზულ რედაქციულ (და არა მარტო რედაქციულ) სრულყოფას საჭიროებს;

12) კანონი არ ითვალისწინებს ეკონომიკური კონკურენციის სამართლებრივი ბაზის აღსრულების ხელისშემწყობ რიგ მნიშვნელოვან დეფინიციას - „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია“, „უმნიშვნელო საბაზრო ძალაუფლება“, „მონოპოლიური საქმიანობა“ (კანონში ამის ასახვის აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - „. . . აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა“. შესაბამისად, დაკონკრეტება იმისა, თუ როგორ საქმიანობას ჰქვია „მონოპოლიური საქმიანობა“, ჩარჩო კანონმა უნდა განსაზღვროს), „კონკურენტულზე მაღალი ფასი“, „დემპინგი“ და სხვ.;

13) კანონი უნდა ითვალისწინებდეს უკანონოდ გაცემული სახელმწიფო დახმარების უკან დაბრუნების ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევით გაცემული სახელმწიფო დახმარება დავაფიქსირეთ, მაგრამ მის მიმღებს ვეუბნებით, რომ თქვენ, მართალია, დაარღვიეთ კანონი, თუმცა, კანონი თქვენს ქმედებაზე პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს (ეს „კანონის“, ზოგად, ჩარჩო პრინციპებს ეწინააღმდეგება); დავის საგანი არ შეიძლება იყოს ის, რომ ნებისმიერი კანონი რეგულირების სფეროს მკაცრ ჩარჩოებში აქცევს და ამით იცავს სამართლიანობას. სამართლიანობის დაცვა კი, დანაშაულის არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ მისი აღკვეთა და დასჯაცაა (წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავს დანაშაულის გამოვლენაც);

14) კონკურენციის ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების გარდა, სხვა ნებისმიერ სასაქონლო ბაზარზე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუზღუდავად მოახდინოს რეაგირება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებზე და დასაბუთების შემთხვევაში, აღკვეთოს ის;

15) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ვ“ პუნქტები ჩვენი აზრით, ურთიერთშესაბამისობაშია მოსაყვანი. პირველ შემთხვევაში („გ“) საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიუღებლობისას მოკვლევის მიზნით სასამართლოს წარედგინება შუამდგომლობა აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის დავალდებულების თაობაზე, ხოლო მეორე („ვ“) შემთხვევაში, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს უწესდება ადმინისტრაციული ჯარიმა (ჯარიმების დაკისრება ყველა შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით უნდა ხდებოდეს). ასეთ შემთხვევებში (ეხება ინფორმაციის თუ დოკუმენტაციის მიუღებლობას) სააგენტო ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მიუწოდებლობაზე უნდა ადგენდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და უგზავნიდეს სასამართლოს (მოთხოვნით თანხის დაკისრება + დავალდებულება ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდებაზე) საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად (ეს ერთმნიშვნელოვნად უნდა იკითხებოდეს კანონში);

16) არის კიდევ ისეთი საკითხი კანონში, რაც აზრთა სხვადა-სხვაობას იწვევს. კერძოდ, საქართველოს კონკურენციის ჩარჩო კანონის შესაბამისად (თავი VII, სანქციები), ჯარიმები მიბმულია ეკონომიკური აგენტის მიერ წინა ფინანსურ წელს მიღებულ მოგებაზე, ხოლო თუ მას მოგება არ მიუღია იმ პერიოდში, მაშინ ჯარიმი ებმება ბრუნვას (2%-ით). აქ ექსპერტები ძირითადად პროცენტის სიდიდეზე დაობენ, რაც არასწორია, რადგანაც, ჩვენი აზრით, ის, თუ რა პროცენტი უნდა იყოს სანქციებთან დაკავშირებით განსაზღვრული, არის ქვეყნის მთავრობის და პარლამენტის გადასაწყვეტი. შესაბამისად, ამ ნაწილში პრეტენზიები არ შეიძლება იყოს მიღებული. ერთადერთი, რაც ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს სადავო, ესაა - კანონდარღვევის აღმოფხვრამდე სანქციის (საურავის) დაკისრების საკითხი, რასაც ევროკომისია ახორციელებს არაუმეტეს წინა წლის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ის ფარგლებში, რაც კონკურენციის 2012 წლის 8 მაისის კანონით არაა გათვალისწინებული.

17) რაც შეეხება სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინსტიტუციურ მოწყობას, მიგვაჩნია, რომ ეს ორი ინსტიტუტი (კონკურენციის დაცვის და სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის) უნდა იყოს ცალ-ცალკე

(თუმცა, არც მათი ერთად ყოფნაა განსაკუთრებულად მიუღებელი). აქ არსებითი და გამდამწყვეტი უნდა იყოს მისი დამოუკიდებლობის ხარისხი და არა ის, თუ რომელ ორგანოსთანაა ის გაერთიანებული. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ კონკურენციის ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი (გადაწყვეტილებების მიღების პროცესში) სტრუქტურული ერთეული. კერძოდ, ის შეიძლება იყოს:

(„ა“) სრულიად დამოუკიდებელი, როგორც მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომლის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ ექნება არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, გარდა სასამართლო ხელისუფლებისა;

(„ბ“) საქართველოს პარლამენტს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფროსი დაინიშნება განსაზღვრული ვადით და რომლის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ ექნება არც ერთ აღმასრულებელ რგოლს;

(„გ“) დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მქონე საქართველოს მთავრობის ქუდქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფროსი დაინიშნება განსაზღვრული ვადით ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით.

საბოლოოდ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ჩვენ უფრო „ა“ და „ბ“ ვარიანტებისკენ ვიხრებით, რადგან არასწორად მიგვაჩნია, კონკურენციის ორგანო იყოს დაქვემდებარებული სახელმწიფო ხელისუფლების იმ რგოლს, რომლის საქმიანობის კონტროლიც მას ევალება. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მაინც გადამწყვეტია სააგენტოს დამოუკიდებლობის ხარისხი (რაც კანონში ჩაიწერება), თორემ სხვა ქვეყნების გამოცდილება გვასწავლის, რომ კონკურენციის ორგანოს აღმასრულებელი ხელისუფლების ქუდქვეშ ყოფნა არც თუ ისე პრობლემურია.

რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების ნაწილს, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მაკონტროლებელ ორგანოს მეტი ზედამხედველობითი (კონტროლის) ფუნქციები უნდა გააჩნდეს. კერძოდ, მას სხვა საკითხებთან ერთად, განხორციელებული შესყიდვების მონიტორინგისა და კონტროლის უფლებაც უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, ის შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სტრუქტუტული ერთეული სახით წარმოდგენილი, თუმცა, ასევე შეიძლება იყოს მოაზრებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქუდქვეშ.

18) აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციას, გარდა ზემოაღნიშნული ხარვეზებისა, აფერხებს და ხელს უშლის მეორადი ნორმატიული აქტების არ არსებობა. კერძოდ - 2012 წლის 8 მაისის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის (თავი VIII, გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი) მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, დღემდე უნდა ყოფილიყო შემუშავებული და მიღებული ისეთი მეორადი ნორმატიული აქტები, როგორიცაა: ა) „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (მისაღები იყო 2012 წლის 30 ივნისამდე); ბ) „სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ“ (მისაღები იყო 2012 წლის 1 დეკემბრამდე); გ) „სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის შესახებ“ (მისაღები იყო 2012 წლის 30 ივნისამდე); დ) „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის შესახებ“ (მისაღები იყო 2012 წლის 1 ნოემბრამდე) და ე)განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესისა და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების შესახებ“ (მისაღები იყო 2012 წლის 1 დეკემბრამდე).

სამწუხაროდ, 2013 წლის 26 ივნისის მდგომარეობით არც ერთი ზემოაღნიშნული მეორადი ნორმატიული აქტი არაა მიღებული. ამასთან, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (34-ე მუხლის მე-8 პუნქტი) ადგენს, რომ - „სააგენტოს ის უფლებამოსილება, რომლის აღსასრულებლადაც აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის მიღება, სრულად ამოქმედდეს შესაბამისი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის მიღებისთანავე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია დღეს მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონის ამოქმედებას, გარდა მასში არსებული ცალკეული შეუსაბამობებისა და უზუსტობებისა, ხელს უშლის ის რომ არაა მიღებული მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტები. ამასთან, როგორც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „2012 წლის საქმიანობის ანგარიში“-დან ირკვევა - „სააგენტომ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა . . . ნორმატიული აქტის პროექტები: ....“ [6, გვ. 32]. შესაბამისად, ამ ნორმატიულ აქტთა მიღება იქნება კონკურენციული პოლიტიკის აღსრულების მექანიზმების სრულყოფის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი და ეს აუცილებლად უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე (ქვემდებარე აქტების მიღების კანონით განსაზღვრული ვადები დიდი

ხნის უკან ამოიწურა). თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მეორადი სამართლებრივი ნორმები ვერ აღმოფხვრიან ქართულ საკონკურენციო სამართალში არსებულ ხარვეზებს და ის ყველა შემთხვევაში საკანონმდებლო დონეზე უნდა გასწორდეს, მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის ორგანო არ იყოს უფუნქციოდ, აუცილებელია ამჟამად მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონი სრულად ამოქმედდეს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გარკვეულ დონეზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ფეტელავა ს., გოგოაშვილი შ., საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის საკითხები, ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი", №1, იანვარი-თებერვალი, 2013;

2. საქართველოს კონსტიტუცია, გამომცემლობა „რაიზი", თბ., 2003;

3. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" (2012 წლის 8 მაისი, №6148-Iს);

4. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №497 დადგენილება - „საჯარო სამართლის იურიდული პირის - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ";

5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულება - „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შესახებ";

6. კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო პროცედურები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2011 წელს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამა, თბ., 2012 წლის იანვარი;

7. „2012 წლის საქმიანობის ანგარიში", კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, შპს „Exclusive Print +", თბ., 2013.

8. **www.geostat.ge.**


**Georgian Antimonopoly Law:**

**Omissions and the ways to overcome this omissions**


**Slava Fetelava**

**PhD Economics, Lawyer**

**Associated Professor of Grigol Robakidze University**



**There is underlined in the article that experts, who connect country's price resolving problem to the antimonopoly service creation, act badly for the executive authorities, because antimonopoly service's task could not be price control and regulation. The subjects of price regulations are only natural monopolies and correspondent independent regulatory commissions more or less deal with this question. As for liberal market price regulations (price announcement, accuracy of the announced prices and so on), it was the prerogative of former Prices State Inspection. But state fairly rejected it since August 2005. Conformably, liberal market prices regulation principles that were used before 2005 year, is not consistent with the recent market economy principles.**

**In addition, the article analyzes gaps between competition frame active law in force and corresponding legal norms in EU. Also, there are shown problems that hinder the act implementation even in its existing form. Besides, there are set ways of regulation irrelevances.**

**What's more, there is stated an opinion about increasing independence of competition authority. And the emphasis about this is made on the independence from the executive branch.**

# კონკურენტულობის დონის შეფასების ინდექსები

**რევაზ ლორთქიფანიძე**

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, ე.მ.დ., პროფესორი

ბაზარზე კონკურენტულობის დონის შესაფასებლად, შემოთავაზებულია ჰერფინდალ-ჰირშმანის, ლინდისა და კონკურენციის ძალის ინდექსების ერთობლივი გამოყენება. ავტორის აზრით, ბაზრის ეფექტიანობის ზრდის მთავარ დამაბრკოლებლებს არაკეთილსინდისიერი მონოპოლია და ოლიგოპოლიები წარმოადგენს და, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სხვადასხვა ინდექსის ერთობლივი გამოყენება.

ბაზარზე კონკურენტულობის დონის შესაფასებლად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (**HHI**), რომელიც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი ორიენტირია აშშ-ში (იხ. http://www.justice.gov/atr/public/guidelines/hhi.html).

$$\sum_{i=1}^{n} ki^2$$

აღნიშნული ინდექსის მიხედვით, კონკურენტულობის დონის შესაფასებლად იკრიბება ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) ბაზრის მონაწილე სუბიექტების ხვედრითი წონების პროცენტული გამოხატულებების კვადრატები. თუ ამ კვადრატების ჯამი 1000-ზე ნაკლებია, ბაზარი ითვლება არაკონცენტრირებულად და ყოველგვარი შერწყმა ბაზარზე დაუბრკოლებლად დაიშვება. როცა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი 1000-1800-ის ფარგლებშია, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულად ითვლება, თუმცა 1400-ის გადაჭარბების შემთხვევაში, ყოველი შერწყმის მცდელობა ბაზარზე აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მხრიდან დამატებითი დაკვირვების ობიექტი ხდება. როცა ინდექსი 1800-10000-ს ფრგლებშია, ბაზარი ფასდება როგორც მაღალკონცენტრირებული და ყოველ შერწყმაზე მოქმედებს ორი ნორმა: თუ შერწყმა ინდექსს ზრდის მხოლოდ 50 პუნქტამდე, ის დაიშვება და, თუ შერწყმის შედეგად ინდექსი 100 პუნქტზე მეტად იმატებს, ის კატეგორიულად იკრძალება.

ევროკავშირის ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, ასევე გავრცელებულია ე. წ. ლინდის ინდექსები, რომლებიც კონკურენტულობის დონის შეფასებას ბაზრის ბირთვიდან იწყებს და უპირველესად ყველაზე მსხვილი სუბიექტების ხვედრითი წონების შეფარდებას განიხილავს

(იხ. http://50.economicus.ru/index.php?ch=3&le=30&r=1&z=1).

ჩვენს მიერ დამატებით შემოთავაზებულია კონკურენციის ძალის ინდექსები და მათი ინტეგრალური მოქმედება

$$K=I_0 I_1 N$$

სადაც $I_0$ წარმოადგენს ბაზრის მთლიანი გამოშვების (პროდუქციის, მომსახურების) ფარდობას არარეალიზებულ პროდუქციასთან;

$I_1$ - ბაზრის მთლიანი გამოშვების (პროდუქციის, მომსახურების) ფარდობა ყველაზე მსხვილი ფირმის (შესაძლოა, მონოპოლისტის) გამოშვებასთან;

N – განხილულ ერთგვაროვან ბაზარზე ფირმების (კომპანიების) რაოდენობა.

(იხ.http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11421/3/Lordkifanidze_ekonomikuri_zrdis_safudzvlebis_shesaxeb.pdf, gv. 90-105).

ბაზრის ეფექტიანობის ზრდის მთავარ დამაბრკოლებლებს არაკეთილსინდისიერი მონოპოლია და ოლიგოპოლიები წარმოადგენს. ბუნებრივია, მათი გამოვლენისა და მოქმედების შეფასების ვერცერთი მეთოდი ვერ იქნება უნივერსალური და, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სხვადასხვა ინდექსის ერთობლივი გამოყენება.

## Indexes for Evaluation of Competitiveness Level

**Revaz Lordkipanidze**

Sciences, Doctor of Economics, Professor)

Because unfair monopoly and oligopolies are main problems of efficiency growth, for evaluation of competitiveness level of market, economists use different indexes and author proposed joint use of these indexes.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

# შედარებითი მენეჯმენტი თანამედროვე ბიზნესის მართვაში





**ევგენი ბარათაშვილი**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

**ანა ბოლქვაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სტატიაში ავტორების მიერ განხილულია კომპარატივისტული ანუ შედარებითი მენეჯმენტის არსი, მისი მიზანი.

გაანალიზებულია შედარებითი მენეჯმენტის შესაძლო გამოვლინების პრაქტიკული მნიშვნელობა მართველობის ცალკეულ დარგებში ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ასევე განხილულია კონკრეტული ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების გადმოღების შესაძლებლობა. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია შედარებითი მენეჯმენტის გამოყენებით ასპექტზე, რომელიც გულისხმობს იმ მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავებას, რომლებიც მოწოდებული არიან მართვის ხარისხის ამაღლებისკენ.

ბოლო წლებში თანამედროვე ეკონომიკა გლობალიზაციის გავლენით იძენს სხვადასხვა თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია ინტერნაციონალური კულტურისათვის. ეს თვისებები საკმაოდ სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ყველა ეკონომიკურ პროცესებზე. განსხვავებული საქმიანი კულტურების დაახლოების და ურთიერთშერწყმის სულ უფრო მზარდი პროცესები, გლობალიზაცია და ერთობლივი საწარმოების ზეგავლენის გაძლიერება იწვევს იმას, რომ მართველობით დარგში სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლების ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს თანამედროვე ბიზნესის ხელშეუვალ ნაწილს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მენეჯმენტის ადეკვატური სისტემა არის როგორც ცალკეული საწარმოების, ასევე ზოგადად სახელმწიფოების წარმატებული ფუნქციონირების საწინდარი.

შედარებითი მენეჯმენტის ყველა შესაძლო გამოვლინების უდიდეს პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს მმართველობითი გამოცდილების ურთიერთგაცვლა კერძოდ, მმართველობის ცალკეულ დარგებში ბიზნესის გაძღოლის როგორც ზოგადი პრინციპების, ასევე კონკრეტული ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების გადმოღება. როგორც წესი, ერთი და მეორეც ზრდის ბიზნესის ეფექტიანობას, მაგრამ ამავდროულად მოითხოვს საკუთარი და ასევე იმ ქვეყნის კულტურის ღრმა შესწავლას და თავისებურებების გათვალისწინებას, რომლის გამოცდილებაც გამოიყენება.

უცხოეთში შედარებითი მენეჯმენტის პრობლემატიკის შესწავლით მრავალი წელია დაკავებულნი არიან. ხოლო ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, იაპონია, ხდება სხვა ქვეყნების მართვის მოდელების შეფასება და ცალკეული მიდგომების გამოყენება. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოდან მეცნიერებმა გაამახვილეს ყურადღება სხვადასხვა ქვეყნებში მენეჯმენტის პრინციპების სისტემურ და შედარებით ანალიზზე. ხოლო ამ პრობლემატიკის მიმართ ინტერესის გაღვივება მოხდა 90–ან წლებში, როდესაც ზოგადსაკაცობრიო ტენდენციებმა დაამტკიცეს მისი აქტუალობა.

მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, კერძოდ აშშ–ში, კვლევები შედარებით მენეჯმენტში განსაკუთრებულად პოპულარულია. დაახლოებით 1500 ცენტრი მსოფლიოში ატარებს სემინარებს, ტრენინგებს, კულტურათაშორის კვლევებს. ამ ბოლო წლებში შედარებითი მენეჯმენტის შესწავლა საქართველოშიც გახდა ძალიან პოპულარული. ამ საკითხისადმი გამოვლენილი ინტერესის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნი-

ოთ კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელის **Academic Swiss Caucasus Net (ASCN)** მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (უმთავრესად საქართველოსა და სომხეთში). ასევე საქართველოში 2010 წელს განხორციელებულმა კვლევამ სახელწოდებით „კაპიტალი და კონფლიქტი: საქართველო" გვაჩვენა, რომ საქართველოში შემოსული უცხოური ფირმების 75% ქვეყანაში ახალი ინვესტიციების გზით შემოვიდა. მხოლოდ 10%–მა გამოიყენა არსებული ფირმების შეძენა, როგორც ბაზარზე შესვლის ფორმა. პარტნიორობასა და შერწყმაზე კი არჩევანი კიდევ უფრო ნაკლებმა ფირმამ შეაჩერა. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემოს შესწავლამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა საერთაშორისო გამოცდილება იმ საბაზო პროცესების აღსაწერად, რომელიც მენეჯმენტზე სოციოკულტურული ფაქტორების ზემოქმედებას შეეხება1.

საქართველოში შედარებითი მენეჯმენტის შესწავლის აუცილებლობა წარმოუდგენელია მართვაში ადამიანისეული ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ბიზნესზე მოქმედი მართვის ფაქტორების უმრავლესობის ნაწილი ინტერნაციონალურია, ხოლო ყველაზე მთავარი და რთული ფაქტორია–ადამიანები. თანამედროვე გარემოში ზუსტად ადამიანები წარმოადგენენ ნებისმიერი ორგანიზაციის ფასეულობას, ამიტომ ხალხის მართვა – ყველაზე რთული საქმეა. ადამიანისეული რესურსებით ეფექტიანი მართვა ვარაუდობს კულტურული სპეციფიკის ცოდნას, თანამშრომლების მენტალიტეტს.

საქმიანი კულტურების თავისებურებების კვლევით დაკავებული იყო მრავალი მეცნიერი. მათი კვლევების შედეგად წარმოიშვა ეთნოსოციალური კვლევების ახალი მიმართულება – ეთნომეტრია. საუბარია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მენტალური მახასიათებლების ანალიზზე, მიღებული ინდექსების შედარებაზე და ასეთი შედარების შედეგების ინტერპრეტაციაზე, ე.ი. ეროვნული კულტურების მათემატიკურ მოდელირებაზე. ეთნომეტრიის ჩარჩოში ხორციელდება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების მიდრეკილებების გაზომვის მეთოდების შემუშავება, რაც რა თქმა უნდა გავლენას ახდენს მართვის პროცესზე.

ასეთი კვლევების ფუძემდებლებად ითვლებიან დასავლეთის ისეთი მცხოვანი მეცნიერები, როგორიცაა გერტ ჰოფსტედე, ჰარი ტრიანდისი, რობერტ ჰოუზი და სხვ2

განსხვავება საქმიანი კულტურების შესწავლის პირველ კვლევებსა და შემდგომ კვლევებს შორის, შეიძლება განვიხილოთ შემდეგნაირად. მრავალი სხვადასხვა გამოკვლევის თანახმად, შეერთებული შტატების კულტურა გამოკვეთილად ინდივიდუალისტურია. ამერიკელების აზრით, ინდივიდუალიზმი დადებითი მოვლენაა და მათი ქვეყნის სიდიადეს განაპირობებს.3 ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მახასიათებელი მჭიდროდ უკავშირდება აშშ-ს საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სხვა მრავალ თავისებურებას, როგორიცაა, მაგალითად, ინტერპერსონალური ურთიერთობები, დამოკიდებულება განათლებისადმი, სამუშაო გარემოსადმი, ოჯახისადმი და სხვა. ხოლო იაპონელები და ჩინელები – კოლექტივისტების ერია. ეს ცნობილია ჯერ კიდევ **XIX** საუკუნიდან. მაგრამ მაშინ ეს ცოდნა ეფუძნებოდა სუბიექტურ და მიახლოებით შეფასებებს. ამჟამად, მასობრივი კვლევების მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია რიცხობრივი ინდექსების გათვლა, რომლის დახმარებითაც შეიძლება რაოდენობრივად განვსაზღვროთ, თუ რამდენად დიდია განსხვავება ამ მახასიათებლის მიხედვით ამერიკელებსა და იაპონელებს შორის, იაპონელებსა და ქართველებს შორის და ა.შ. ამრიგად, ეთნომენტალობის შესწავლის არსებული ეტაპის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს სწრაფვა შესასწავლი მოვლენის ზუსტ, მათემატიკურ გათვლისადმი, რაც თავისთავად შეიძლება ჩაითვალოს ეთნომეტრიის წარმოშობის მიზეზად.

შედარებითი მენეჯმენტის შესწავლის ჩარჩოებში სხვადასხვა საქმიანი კულტურების შედარებისას წარმოიშვება რიგი პრობლემა.

მთავარი პრობლემაა – კრიტერიუმების უნიფიცირება, რომლის დახმარებითაც აღწერენ ეროვნულ თავისებურებებს. მეცნიერები უკვე საუკუნეზე მეტია სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის ხარისხობრივ ცვლილებებზე ბჭობენ. არსებობს მრავალი სტერეოტიპი სხვადასხვა ერის წარმომადგენლებზე: „გერმანული პუნქტუალობა", „ინგლისელების ჯენტლმენობა", „იაპონელების პატივისცემა უფროსებისადმი" და ა.შ. მაგრამ გასათვალისწინებელია ის თუ სტერეოტიპების სისტემატიზაციას რომელი ერის წარმომადგენელი ახორციელებს. მაგალითად, ამერიკელების თვალთახედვით რუსები გამოირჩევიან პატივისცემით უფროსების მიმართ, ხოლო იაპონელების თვალთახედვით – პირიქით, უპატივცემლობით უფროსების მიმართ.

ამრიგად, რათა შეიქმნას ეროვნული კულტურების სამეცნიერო „პერიოდული სისტემა", პირველ

რიგში, საჭიროა მათი დახასიათება უნივერსალური კრიტერიუმებით, მეორე, ეს უნდა მოხდეს არა მხოლოდ ხარისხობრივი შეფასებების დახმარებით, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც.

მეცნიერი, რომელსაც მიიჩნევენ ეთნომეტრიის მიმართულების ფუძემდებლად, არის ჰოლანდიელი მკვლევარი გერტ ჰოფსტედე. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, მაშინ როდესაც ის იყო ერთ–ერთი უმსხვილესი საერთაშორისო კომპანიის "IBM"-ის ფსიქოლოგიური სამსახურის უფროსი, მან განახორციელა გრანდიოზული კროს–კულტურული პროექტი. მის მიერ შედგენილი ანკეტის მეშვეობით ტესტირება ჩაუტარდა "IBM"-ის 100 ათასზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც მუშაობდნენ "IBM"-ის ფილიალებში 40–ზე მეტ ქვეყანაში. ამის შედეგად, მეცნიერთა ხელში აღმოჩნდა მონაცემთა უნიკალური მასივი, რომელიც იძლეოდა ერთიანი სტანდარტის მიხედვით ეროვნული კულტურების განსხვავების ობიექტურად შეფასების საშუალებას. ასეთი ტესტირების ჩატარების შემდგომი მცდელობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მასშტაბითა და რეპრეზანტიულობით ჰოფსტედეს კვლევებს.

პრაქტიკულ ასპექტში შედარებითი მენეჯმენტი წარმოადგენს ურთიერთობების კომპლექს სხვადასხვა ფორმის ბიზნესის განხორციელების ფარგლებში, რომელიც ეხება სხვადასხვა ქვეყნების საქმიან კულტურასა და მართვის ორგანიზებას, ძირითადი მიზანია მართვისა და საქმიანი კომუნიკაციების სფეროში კულტურათაშორისო გამოცდილების სრულყოფა. შედარებით მენეჯმენტი, მენეჯმენტის გარდა მოიცავს ელემენტებს ისეთი დარგებიდან, როგორიცაა კულტუროლოგია, ფსიქოლოგია, ისტორია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

შედარებითი მენეჯმენტის პრაქტიკული ამოცანების საფუძვლად შეიძლება ჩავთვალოთ უცხოური მენეჯმენტის თავისებურებების გამოვლენა და რა თქმა უნდა, ამ გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა საქართველოს სინამდვილეში.

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში უცხოური გამოცდილების გააზრებული გამოყენება, და ასევე კულტურული ფაქტორის ადეკვატური გათვალისწინება წარმოადგენს მრავალი კომპანიის წარმატების საწინდარს.

ერთ–ერთი მაგალითია ცნობილი იაპონური კორპორაცია „Sony", რომლის სახელთან არის დაკავშირებული სხვადასხვა გამოგონებები, რომლებმაც „გადატრიალება" მოახდინეს ელექტროტექნიკის წარმოებაში. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ასეთი წარმატების ერთ–ერთი ძირითადი მიზეზია მენეჯმენტის განსხვავებული სისტემა, რომელმაც შეინარჩუნა ყველაფერი საუკეთესო, რაც გააჩნია იაპონურ სისტემას და ამავდროულად შეითავისა ის კარგი, რაც დამახასიათებელია დასავლეთის მოდელისთვის. იაპონური მენეჯმენტის ისეთი დადებითი მახასიათებლები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ურთიერთდახმარება, მოქნილობა და დასავლეთში მიღებული ინდივიდუალიზმი. ასეთი შეთავსება „Sony"–ს აძლევს საშუალებას იყოს წარმატებული როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.4

აღსანიშნავია ასევე, რომ გლობალიზაციის ზეგავლენა მსოფლიო ბიზნესზე იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ეს კი ნიშნავს, რომ იცვლება მენეჯმენტის პარადიგმა გლობალიზაციის სასარგებლოდ. ჟურნალ „Business week" შეფასებით „თანდათანობით ყალიბდება XXI ს. დამახასიათებელი საერთაშორისო სტანდარტი. ასეთი ფირმის მოდელი დაეფუძნება დასავლეთის ტიპის ანგარიშგებისა და ფინანსური კონტროლის სისტემას და ამავდროულად გამოყენებულ იქნება „იაპონური" გუნდური მუშაობის სტილი. დაფასებული იქნება ფირმის ინტერესებისათვის პრაგმატული ეთიკური მრავალფეროვნება. ცენტრიდან ფირმის მართვას განახორციელებენ კოსმოპოლიტი–ხელმძღვანელი, რომლებსაც გააზრებული ექნებათ სხვადასხვა კულტურების თავისებურებები, განვითარების სტრატეგია და ამავდროულად, მენეჯერებს სამუშაო ადგილზე ექნებათ მოქმედებების მაქსიმალური თავისუფლება". საინტერესოა ის, რომ 10 წლის წინ გამოთქმულმა ვარაუდმა დღესდღეობით განსაზღვრული დოზით გაამართლა.

საერთაშორისო მენეჯმენტი მჭიდრო კავშირშია შედარებითი მენეჯმენტის ცნებასთან, თუმცა შედარებითი მენეჯმენტი განსხვავდება კულტურული შემადგენლების აღრიცხვის აუცილებლობით.

საერთაშორისო მენეჯმენტის დარგის მკვლევართა შორის ტრადიციულად არსებობს სხვადასხვა მოსაზრება საერთაშორისო ბიზნესზე კულტურული ფაქტორების ზეგავლენის შესახებ. შესაბამისად, შეიძლება პირობითად გამოვყოთ რამოდენიმე ჯგუფი:

უნივერსალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კულტურული ფაქტორის მნიშვნელობა გაზვიადებულია, ამიტომ აუცილებელი არ არის სწორება კულტურაზე. ზოგიერთი ანალიტიკოსიც

შეიძლება მოგვიწოდებენ არ მივანიჭოთ დიდი მნიშვნელობა ეროვნული კულტურის, ბიზნესში ეროვნული ტრადიციების ზეგავლენას, მითუმეტეს ისეთი მოვლენის ფონზე, როგორიცაა გლობალიზაცია.

ეკონომიკურ-კლასტერული მიდგომის მომხრეები, ეყრდნობიან მოსაზრებას, რომ პირველ რიგში, ქვეყნები და ერები განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების დონით. შედარებითი ეკონომიკური განვითარება (ე.ი. ქვეყნების შეპირისპირება ეკონომიკური განვითარების მიხედვით) წარმოადგენს იმ ძირითად არსებით ნიშანთვისებას და კრიტერიუმს, რომლის გათვალისწინებით ხდება ქვეყნების დაყოფა კლასტერებზე, ხოლო კულტურულ ფაქტორს ენიჭება უმნიშვნელო როლი.

კულტურულ-ორიენტირებული მიდგომის მომხრეები, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე პოპულარულიები არიან, ისინი იცავენ ზუსტად კულტურული ფონის მნიშვნელოვან როლს. რადგან დარწმუნებულები არიან, რომ მისი შესწავლა და შესაბამისი შედეგების პრაქტიკული გამოყენება, ზრდის საერთაშორისო მენეჯმენტის ეფექტიანობას.

ჩვენ უფრო ვიხრებით მესამე, კულტურულ – ორიენტირებული მიდგომისადმი, თუმცა ეს არ ნიშნავს მის აბსოლუტირებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კულტურული ფაქტორების გათვალისწინება ნამდვილად საჭიროა, მაგრამ ერთი მხრივ, შეინიშნება საქმიანი კულტურების დაახლოების ტენდენცია, ე.ი. მიდგომები ბიზნესში სულ უფრო უნივერსალური ხდება, ხოლო მეორე მხრივ, განვითარების შესაბამისი დონის ქვეყნების მართველობის თავისებურებები და ხარისხი ნამდვილად ჰგავს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე „დასაშვებია" ის, რომ გამოცდილების გაზიარება „მსგავს" ქვეყნებს შორის გაცილებით ადვილია.

გლობალურ ეკონომიკურ გარემოში მოღვაწე თანამედროვე მენეჯერის სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების ეროვნულ თავისებურებებთან შეთავსების უნარი. ასევე საინტერესოა იმის გააზრება, თუ როგორი ზეგავლენა აქვთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ, კულტურულ, ეთიკურ ფაქტორებს ცალკეული ქვეყნების მართვის თავისებურებებზე და მისი ეკონომიკური განვითარების პროდუქტიულობის დონეზე.

სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რამდენად ცდილობენ ისინი შეასრულონ თავისი ვალდებულებები, რომელი არგუმენტები მოქმედებენ მათზე უფრო ძლიერად ან სუსტად, როგორ შევიდნენ ისინი მათთან ნდობაში და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და კულტურათაშორისო ურთიერთობების ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს შედარებითი მენეჯმენტის არსს. ამჟამად მთელ მსოფლიოში შეინიშნება სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევებით დაინტერესება. დაწყებული XX საუკუნის 50 წლებიდან აბსტრაქტული ფილოსოფიური დასკვნებმა სხვადასხვა ქვეყნების კულტურებს შორის განსხვავებებზე, პოვა მტკიცებულება ჩატარებულ კვლევებში სტერეოტიპებსა და ფასეულობების შესახებ.

შრომები კულტურების კვლევების შესახებ მრავალრიცხოვანია. უდავოა, მათში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ამერიკულ მენეჯმენტს, რომელმაც დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა განსაზღვრულ პირობებში. ისტორიულად ამერიკელები ითვლებიან ამ დარგში მოდის კანონმდებლებად, ახორციელებენ რა სხვა ქვეყნებში თავისი შიდასაფირმო მართვის მოდელის ექსპორტს. გარდა ამისა, ინგლისური ენა და ინგლისურენოვანი ლიტერატურა დღეს ყველაზე გავრცელებულია საქმიან სამყაროში. არსებობს უშუალო კავშირი მენეჯმენტის ამა თუ იმ ეროვნული მოდელის წარმატებასა და ინტერეს შორის, რომელიც მათ მიმართ გამოავლინეს ექსპერტებმა და ანალიტიკოსებმა. მაგალითად, 70–80 წლებში პირველ რიგში ყურადღება გამახვილებული იყო ამერიკულ მენეჯმენტზე, როგორც ყველაზე ეფექტიანზე ინდუსტრიული წარმოების პირობებში. სიტუაცია შეიცვალა, როდესაც სხვა ქვეყნებმა დაამტკიცეს თავისი კონკურენტუნარიანობა, 80–90 წწ. იაპონიის ეკონომიკურმა წარმატებამ გამოიწვია ინტერესი მენეჯმენტის იაპონური სისტემისადმი და საქმიანი კულტურისადმი. თუმცა, ამჟამად იაპონურმა ეკონომიკურმა სისტემამ უკვე ნაწილობრივ უარი თქვა ზოგიერთ თავის პოსტულატზე შრომის ბაზრის სფეროში. ეს ფაქტები ადასტურებენ იმას, რომ, ნებისმიერი ქვეყნის მენეჯმენტის მოდელი შიგა და გარე ფაქტორების ზეგავლენით ექვემდებარება ცვლილებებს და დადგა უცხოური მართვის პრინციპების აქტიური ათვისების დრო, რასაც ასევე ხელს უწყობს შედარებითი მენეჯმენტი.

შეიძლება გამოვყოთ შედარებითი მენეჯმენტის ორი ასპექტი: თეორიული და გამოყენებითი.

თეორიული მენეჯმენტის ძირითადი მიზანია კულტურული ცოდნის ამაღლება. მრავალი პუბლიკაცია არსებობს, სადაც დაწვრილებით აღწერილია ამა თუ იმ საქმიანი კულტურების თავისებურებები. ეს მონაცემები ემყარება მრავალწლიან დაკვირვებებს.

გამოყენებითი ანუ პრაქტიკული ასპექტი

გულისხმობს მმართველობითი გამოცდილების ურთიერთგაცვლის ორგანიზებას, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას ერთიანი ბიზნესის საწარმოებლად და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მენეჯმენტის ყველაზე ეფექტიან მოდელებზე, სადაც ამ ეფექტიანობის ძირითადი კრიტერიუმია ამა თუ იმ ეკონომიკის წარმატება.

კომპარატივისტული ანუ შედარებითი მენეჯმენტი წარმოადგენს მენეჯმენტის ზოგადი თეორიის ნაწილს, რომლის მთავარი მიზანია ბიზნესის მართვის ეფექტიანობის ამაღლება კომპანიის სხვადასხვა დონის მენეჯერების მიერ საკუთარი მუშაკების, საქმიანი პარტნიორების ქცევისა და მათი ეროვნულ–კულტურული თავისებურებების გათვალისწინებისა და სწორი გამოყენების ხარჯზე.

შედარებითი მენეჯმენტის ზუსტად გამოყენებით ხასიათს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეკონომიკისათვის და იგი მოწოდებულია არსებითად გაზარდოს საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობა.

შედარებითი მენეჯმენტი არის ახალი პროგრესული მიმართულება, რომლის წარმოჩენა განპირობებულია გლობალიზაციით, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციით და მართვაში ადამიანისეული ფაქტორის როლის გაძლიერებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Эпштейн М.З., Сравнительный менеджмент. С.П.2003.
2. ბარათაშვილი ე. კომპარატივისტიკული მენეჯმენტი. ჟურ. "ეკონომიკა" 2008. №10.
3. ბარათაშვილი ე. მენეჯმენტის ეროვნულ–კულტურული მოდელები. ჟურ. "ეკონომიკა" 2008. №12.
4. კონფერენცია „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო", თბილისი. 28 თებერვალი 2011 წ.

## Comparative Management in modern business management

**Evgeni Baratashvili**
PhD of Economics,
Full Professor of Georgian Technical University
**Ana Bolkvadze**
Academic Doctor of Economics,
Associated Professor of Georgian Technical University

This article describes comparative management importance and goal.

There is analyzed practical importance of comparative management in some management fields in order to improve business efficiency. Also, there is discussed an opportunity of copying some technologies and tools. There is underlined applied aspect of comparative management which means developing instruments and mechanisms that are used for quality improvement.

# ერთი უარყოფილი საკანონმდებლო წინადადების შესახებ

ანა ფირცხალაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი

პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზაურ ჯინჯოლავა
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



პარლამენტის აგრარულმა კომიტეტმა 16 მაისს საკომიტეტო სხდომაზე განიხილა ჩვენი საკანონმდებლო წინადადება. იგი ეხებოდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში უცხოელების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისას რამდენიმე შეზღუდვის დაწესებას. მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აუქმებს სრულ აკრძალვას უცხოელების მიმართ, მაგრამ იგი უშვებს შეზღუდვის არსებობას.

საკანონმდებლო წინადადების ავტორები აღნიშნავენ მიწის განსაკუთრებულ ფუნქციასა და მნიშვნელობას, რომ „იგი არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი" (შეზღუდული) რესურსი. გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (**BVerfGE 21, 37** [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში".

პარლამენტის აგრარული კომიტეტში სხდომაზე დამსწრე უკლებლივ ყველა პირი, თანხმდებოდა იმაზე, რომ საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებული პრინციპები სწორია, და აუცილებელია დაწესდეს შეზღუდვა, თუმცა ისინი უნდა დაიხვეწოს. პარლამენტის რეგლამენტით, ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში საკანონმდებლო წინადადება უნდა დაკმაყოფილებულიყო. თუმცა კომიტეტის არაკომპეტენტურობის გამო მოხდა პირიქით. ამან კი რეგლამენტის უხეში დარღვევა გამოიწვია. მეორე შეცდომა, აგრარულმა კომიტეტმა გადაწყვიტა: ეთხოვოს მთავრობას უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენის თაობაზე დროებითი მორატორიუმის ინიციატივით მიემართა პარლამენტისათვის. სრულიად გაუგებარია, რატომ სთხოვს პარლამენტის აგრარული კომიტეტი მთავრობას იმას, რისი განხორციელების უპირველესი კომპეტენციაც მას აქვს? დასმულ შეკითხვაზე პასუხი შეიძლება ორგვარი იყოს, პირველი – ისევ და ისევ კომიტეტის სამართლებრივი არაკომპეტენტურობა ან მეორე, პარლამენტის პოლიტიკური სისუსტე, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შიში.

მიწა ერისათვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

ქართველი ერისათვის მიწაწყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია", ანუ თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი" დივერსიული

ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

ამა წლის 18 აპრილს საკანონმდებლო წინადადებით მივმართეთ საქართველოს პარლამენტს, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, კონკრეტულად კი უცხოელების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისას რამდენიმე შეზღუდვის დაწესებას ეხებოდა. პარლამენტის აგრარულმა კომიტეტმა იგი 16 მაისს საკომიტეტო სხდომაზე განიხილა. სტატია სწორედ ამ სხდომას შეეხება, თუმცა მის სამართლებრივ შეფასებამდე საკანონმდებლო წინადადების შინაარსის მოკლე მიმოხილვა აუცილებელია.

არსებითია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის პლენუმის №3/1/5/512 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არაკონსტიტუციურად თვლის უცხოელთათვის (ფიზიკური პირი) სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობის ბლანკეტურ, ანუ სრულ აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას. ამიტომაც ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისას, სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგება.

საკანონმდებლო წინადადებაში აღნიშნულია, რომ მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი" (შეზღუდული) რესურსი. (**BVerfGE 21, 73**). თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის მუდმივ მატებასთან და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი მიწის სავარგულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები მეურნე გლეხკაცი არაკონკურენტუნარიანია სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უამრავ უცხოელთან შედარებით. ამიტომაც კანონპროექტის მიზანია უცხოელისთვის შექმნას განსაკუთრებული რეგულირება სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენასთან დაკავშირებით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ **Landesgegesetzblatt Nr. 88/1994**).

კანონმდებლის მიერ მიღებულ ასეთ შესაძლო დიფერენციაციას, არათანაბარ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი – საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა. ეს რეგულირება, მართალია, ჩარევაა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრების შეძენის უფლებაში, (კონსტიტუციის 21 მუხლის პირველი პუნქტი) მაგრამ იგი მართლდება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით, კერძოდ კი საკუთარ მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვით. „საკუთრებას სოციალურ სახელმწიფოში, მესაკუთრის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, აქვს სოციალური ფუნქცია. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ფუნქცია და ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/384).

უნდა ითქვას, რომ კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი. კონსტიტუციის მე 14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა" ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისათვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწოროდ თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თან-

შასწორად შეიძლება იქნენ განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში. ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

კანონმდებელს აქვს იმის საფუძველი, რომ მიწა გასხვისებისგან უფრო „დაცულად" განიხილოს, ვიდრე სხვა მატერიალური ღირებულებები. სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის ასეთ მაღალ რანგში აყვანა კი კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე ისე შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება, რომ საკუთრების უფლების არსი არ დაირღვეს.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (**BVerfGE 21, 37 [82]**) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში".

აგრარული კომიტეტის სხდომის შეფასება უნდა დავიწყოთ იმით, რომ თუ რაოდენ არაკომპეტენტურია სამართლებრივ საკითხებში აგრარული კომიტეტი, და სამინისტროთა, კერძოდ, კი ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები. ვფიქრობთ, ამ სფეროში ადამიანური რესურსის მწვავე უკმარისობას განვიცდით.

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტში მოწვეულ სხდომაზე უკლებლივ ყველა პირი,მათ შორის კომიტეტის წევრები, სამინისტროთა წარმომადგენელები თანხმდებოდა იმაზე, რომ საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებათა პრინციპები სწორია, და აუცილებელია დაწესდეს შეზღუდვა, თუმცა შეზღუდვის კონკრეტული სახეები საკამათოა, და ისინი უნდა დაიხვეწოს. განხილვის პირველ ეტაპზე, ჩანდა რომ საკანონმდებლო წინადადება, თუ იგი პრინციპულად მისაღებია, დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო და დასახვეწად და შემდგომში პარლამენტისათვის წარსადგენად იგი აგრარულ კომიტეტს, როგორც წამყვან კომიტეტს, პარლამენტისათვის უნდა წარედგინა. მაგრამ რეგლამენტის არცოდნამ სხვა რაღაც გამოიწვია.

სავალალოა, რომ კომიტეტის აპარატსა და მის თავმჯდომარეს ერთმანეთისაგან საკანონმდებლო წინადადება და საკანონმდებლო ინიციატივა ვერ გაურჩევია. ეს კომიტეტის სხდომამდე რომ გამხდარიყო ცნობილი, საკანონმდებლო წინადადების ბედი სხვაგვარი იქნებოდა. კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეთანხმებოდა წინადადებით წარმოდგენილ პრინციპებს, მისი დასკვნითი სიტყვის ჩანაწერიდან ვკითხულობთ: „წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება იქნას უარყოფილი, იმის გათვალისწინებით,რომ საკითხი არის დასახვეწი და უფრო მრავალმხრივად შესასწავლი".

პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მესამე პუნქტით: „საკანონმდებლო წინადადება შეიძლება წარდგენილ იქნეს კანონპროექტის ანდა მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით." ამავე მუხლის მე-6 პუნქტით კი: „თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კომიტეტი პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცემს ბიუროს".

ნებისმიერი არაიურისტი, ყოველგვარი განმარტების გარეშეც კი ამ ნორმებიდან ამოიკითხავს, რომ თუ კომიტეტი საკანონმდებლო წინადადების პრინციპებს ეთანხმება, სწორად კომიტეტმა უნდა „დახვეწოს და მრავალმხრივად შეისწავლოს" საკითხი. კომიტეტის მიერ საკანონმდებლო პრინციპების მოწონება არის წინადადების დაკმაყოფილების და არა მისი დაუკმაყოფილებლობის საფუძველი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი აშკარაა, რომ პირიქით მოხდა. ამით კი კომიტეტის მიერ დაირღვა პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები.

განვმარტავთ, რომ პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-4 პუნქტით „თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის

შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით".

კომიტეტის თავმჯდომარისა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან ამ კონკრეტული საკანონმდებლო წინადადების უარყოფისა და კრიტიკის საგანი კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო პაკეტის არარსებობა იყო. მართალია, საკანონმდებლო წინადადებას არ აქვს რეგლამენტით მსგავსი მოთხოვნა დაყენებული, და ფორმალურად მათი ასეთი მოთხოვნა სრულ არაკომპეტენტურობას ამტკიცებს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება არ იწვევს არც ერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა გარდა იმისა, რომ პარლამენტის რეგლამენტს არ იცნობენ, არ იციან კანონის წაკითხვისა და გაგების მარტივი მექანიზმი. მაგალითად, ის რომ საკანონმდებლო წინადადებაში მითითებული „კანონიერად მყოფი" ან „აგრარული განათლება", ან კიდევ სხვა ტერმინი, სხვადასხვა კანონშია განმარტებული და არ შეიძლება მიუხედავად მათი მოლოდინისა ყველაფერი ერთი და იმავე კანონით განმარტებოდეს, ან კიდევ საკანონმდებლო წინადადებაში მითითებული კომისიის შესახებ, ამავე კანონში ვერ ეწერება, იგი სამინისტროს დებულებით უნდა დარეგულირდეს. გარდა ამისა, საკმაოდ საკამათოა აგრარული კომიტეტის გადაწყვეტილების მე-2 ნაწილიც: ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, უმოკლეს ვადაში, მიღებულ იქნას ზომები საკანონმდებლო ინიციატივის წარმოსადგენად უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენაზე დროებითი მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

ჩნდება კითხვა, რატომ სთხოვს პარლამენტის აგრარული კომიტეტი მთავრობას იმას, რისი განხორციელების უპირველესი კომპეტენციაც მას აქვს? არის საკითხები, რომლის ინიცირების უფლებაც საქართველოს პარლამენტში მხოლოდ საქართველოს მთავრობას აქვს, მაგრამ აღნიშნული საკითხი ასეთი რეგულირების სფეროს არ წარმოადგენს. დასმულ შეკითხვაზე პასუხი შეიძლება ორგვარი იყოს, პირველი – ისევ და ისევ კომიტეტის სამართლებრივი არაკომპეტენტურობა და მეორე, პარლამენტის პოლიტიკური სისუსტე-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შიში.

თუმცა ვიტოვებთ იმედს, რომ ამ და სხვა საკანონმდებლო წინადადების ან უკვე გაყიდული და კიდევ გასაყიდი ჩვენი ქვეყნის მიწების ხარჯზე, ალბათ საქართველოს პარლამენტიც და სამინისტროც, ადრე თუ გვიან, ისწავლის ნორმათა ისეთ განმარტებას, რომელიც ელემენტარულ სამართლებრივ პრინციპებზე იქნება აგებული.

**About rejected legislative proposal**

**Ana Pirtskhalaishvili,**
Doctor of Law School, Professor
**Paata Koguashvili,**
PhD of Economics, Professor
**Zaur Djindjolava,**
PhD of Law, Professor

Parliament's Agricultural Committee discussedour legislative proposal on May 16. It was about establishing several restrictions in Georgian law about "Agricultural Land Ownership" on buying agricultural land for foreign buyers. Georgian Constitutional Court cancels a complete prohibition for foreigners, but it allows some limits.

Authors of the legislative proposal note that land is "Irreplaceable, limited and has no chance of reproduction". German Federal Constitutional Court defined in one decisions (BVerfGE 21, 37) that "Because of the circumstances that the land has no chance of reproduction and is irreplaceable, it is forbidden to trust fully and give it to some powers and concrete person. The legal and social system requires to considerate and express public interests on land more, than in other property goods cases".

All the participants, attending Parliament's Agriculture Committee meeting, agreed that principles offered by legislative proposal were correct, so legislative proposal should been satisfied. But because of committee incompetence it has not happened. This caused violation in procedure. Second mistake was to ask government to apply the parliament with a temporary moratorium on purchasing agriculturallands for foreigners. It is not clear why the agricultural committee asks the government such thing, about which realization he has the primary competency. There can be two answers on this question – first is incompetency of the committee and the second is the weakness of the parliament.

# საჯარო ფინანსების ეფექტური მართვისათვის საჯარო პროექტებისა და პროგრამების შეფასების შესაძლებლობანი



თამარ გამსახურდია
გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და მართვის სკოლის სრული პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

სახელმწიფო საზოგადოებას მომსახურებას უწევს სულ უფრო რთულ ფინანსურ და ეკონომიკურ გარემოში. იმისათვის რომ, უზრუნველყოფილი იქნეს მომსახურების მაღალი ხარისხი სახელმწიფომ უნდა მართოს მისი რესურსები, რაც შესაძლებელია ისეთი სპეციალური ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა ხარჯი და სარგებლის (CBA) ეკონომიკური ანალიზი. ის გამოიყენება სახელწიფო სატრანსპორტო პროგრამების, ასევე წყალმომარაგების, განათლების, ჯანდაცვის, გარემოსდაცვის და ა.შ. პროექტების შესაფასებლად. ხარჯი და სარგებლის (CBA) ანალიზის მიზანია ისეთი სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების შერჩევა, რომელთა შემოსავლები აღემატება დანახარჯებს.

წარმატებული ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსავლების ოპტიმალურ მართვას. ხარჯების ოპტიმალური მართა კი ეფუძნება ეკონომიკურად ეფექტური სახელმწიფო პროექტების განხორციელებას.

როგორ უნდა მიიღოს სახელმწიფომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, განახორციელოს თუ არა პროექტი? კეთილდღეობის ეკონომიკის თეორია[1] ეფუძნება მოსაზრებას, რომ სახელწიფო ამათუ იმ პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს მის განხორციელებამდე, პროექტის არსებული და შემდგომი სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის განსაზღვრებით და იმის დაგენით, იზრდება თუ არა ის.

ეკონომიკურად ეფექტური სახელმწიფო პროექტების სოციალური კეთილდღეობის დასადგენად გამოიყენება ხარჯისა და სარგებლის ანალიზი (CBA). ეს ანალიზი მოიცავს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსის ხარჯს და მისი შედეგებით გამოწვეულ ყველა სარგებელს ისე, რომ ისინი ასახავდნენ სოციალურ (ნამდვილ) ხარჯს და სოციალურ (ნამდვილ) ეკონომიკურ სარგებელს. ასეთი გზით ჩატარებული ანალიზის შედეგად თუ წმინდა ეკონომიკური სარგებელს დადებითს მივიღებთ იმას ნიშნავს, რომ პროექტის წვლილი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდაში იქნება დადებითი იხილეთ ცხრილი 1).




ხარჯისა და სარგებლის ანალიზის, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტის შესახებ კამათი დიდხანია მიმდინარეობს. ამასთან, ზოგი იფიქრებდა, რომ ხარჯისა და სარგებლის ანალიზის საკითხი გამოიწვევდა დებატებს არისტოტელეს, ჰეგელის, სოფოკლეს და ჯონ დიუის შორის?!

CBA-ის ისტორია მოწმობს, რომ მისი გამოყენება დაიწყო 19 საუკუნეში საფრანგეთში ინფრასტრუქტურის პროექტების შესაფასებლად. ეკონომიკური კეთილდღეობის თეორია ვითარდე-

ზოდა მიკროეკონომიკაში „მარჟინალური" რევოლუციის კვალდაკვალ XIX საუკუნის დასაწყისში, რომლიც გაგრძლედა პიგუს კეთილდღეობის ეკონომიკით 1920 წელს. ამ უკანასკნელმა მოახდინა კერძო და სოციალური ხარჯების ფორმალიზება და 1930 წლის „ახალი კეთილდღეობის ეკონომიკა" („new welfare economics") რომლის მიხედვითაც მოხდა კეთილდრეობის ეკონომიკის რეკონსტრუქცია სარგებლიანობის მიხედვით 'სარგებლიანობის თეორია" (უტილიტუ ტჰეორყ). 1960 წლიდან ხარჯი და სარგებლის ანალიზი არის სახელმწიფო პოლიტიკის და პროექტების შეფასების ძლიერი ანალიტიკური ინსტრუმენტი. [2]

საჯარო პროექტების შესაფასებლად „ხარჯის და სარგებლის" ანალიზის გამოყენებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფრანგ მეცნიერებს.[3] ყველაზე მსხვილი ფრანგული პროექტი რომლის განხორციელებაც გადაწყდა ამ პროექტის გამოყენებით იყო პარიზის,მარსელის, ლიონის და ლონდონის რკინიგზა. მომხმარებლის სარგელიანობის ცვლილების შეფასება, გარე სარგებლისა და ხარჯის შეფასების პრაქტიკა, უკუგების ეკონომიკური და ფინანსური ნორმების გამოყენება ყოველივე დამახასიათებელია ხარჯისა და სარგებლის ანალიზით პროექტის შესაფასების ფრანგული სკოლისათვის.[4]

დიდ ბრიტანეთში ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენეს ისეთი სატრანსპორტო პროექტების შესაფასებლად, როგორიც არის შოსე ლონდონსა და ბერმინგემს შორის,მიწისქვეშა გზა ლონდონში, მესამე ლონდონის აეროპორტის რეკონსტრუქცია. [5] ამ პროექტების შეფასების სპეციფიკა ძირითადად დაკავშირებული საბაზრო ფასების ჩრდილოვანი ფასებით შეცვლასთან.

CBA-ს გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. აშშ–ს პრეზიდენტთან არსებული ადმინისტრაციულ–საბიუჯეტო სამმართველოს (Office of Management and Budget) თაოსნობით CBA-ს გადაიქცა შეფასების განმსაზღვრელ ინსტრუმენტად. ის ფართოდ გამოიყენება ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს როგორც სხვადასხვა პროექტების, ასევე პოლიტიკის შესაფასასებლად.

ამრიგად, ხარჯისა და სარგებლის ანალიზის (CBA) მეშვეობით შეიძლება პასუხის გაცემა შეკითხვებზე:

- რომელია უფრო იაფია ნებაყოფლობითი საკონტრაქტო თუ გაწვევის სამსახური?
- უნდა გაიყიდოს თუ არა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ობიექტი?
- ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის როგორი საწვავი უნდა იქნეს გამოყენებული?

ასეთ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად სახელმწიფომ უნდა ჩაატროს ჯერ ფინანსური (შიდა) ანალიზი,რათა დაადგინოს რამდენად მომგებიანი იქნება ეს პროექტი კომერციული თვალსაზრისით ხოლო შემდეგ ეკონომიკური (გარე) ანალიზი საზოგადოების კეთილდღეობის ცვლილების დასადგენად.პროექტის ფინანსური ანალიზის შედეგად ირკვევა რამდენად კმაყოფილდება კერძო ინვესტორის მოთხოვნა საკუთარი ფირმის მოგების მაქსიმიზაციასთან დაკავშირებით. ფინანსური ანალიზის დროს, ეკონომიკური შეფასებისგან განსხვავებით, გამოიყენება მიმდინარე საბაზრო ფასები ყოველგვარი კორექტირების გარეშე, რადგან ინვესტიციებზე დანახარჯები და შემოსავალიც საბაზრო ფასებით აისახება. ფინანსური ანალიზის დროს კერძო ინვესტორები არ ითვალისწინებენ პროექტის შედეგების გავლენას სხვა ადამიანებსა თუ ფირმებზე (არ ითვალისწინებს გარე ეფექტებს). ყველა ხარჯი და სარგებელი, რაც პროექტის განხორცილებესთან არის დაკავშირებული იყოფა რაოდენობრივ (მონეტარიზებად) ხარჯად და სარგებლად. ამასთან, რაოდენობრივი ხარჯები და სარგებელი ფინანსური ანალიზის დროს გამოითვლება, ხოლო არარაოდენობრივი (არამონეტარიზებადი) კი ეკონომიკური ანალიზის დროს. (იხილეთ ცხრილზე 2)

ფინანსური ანალიზისგან განსხვავებით,ეკონომიკური ანალიზი უფრო გავრცობილია და მასში სრული ეკონომიკური ხარჯი და სრული ეკონომიკური სარგებელი აისახება. ეკონომიკური ანალიზი, როგორც ზევით ავღნიშნეთ ყურადღებას ამახვილებს გარე ფაქტორებზე, რომელთა ზემოქმედება უნდა იქნეს ასახული ფულად გამოსახულებაში, ანუ უნდა მოხდეს ამ ზემოქმედების მონეტარიზაცია, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი ტარდება ხარჯისა და სარგებლის ანალიზის (CBA) ცხრილზე 2 წარმოდგენილი ეტაპების მიხედვით.

| დანახარჯი | ხარჯისა და სარგებლის ანალი ეტაპები | სარგებელი |
|---|---|---|
| რაოდენობრივი (მონეტარიზებადი ხარჯები) | | რაოდენობრივი (მონეტარიზებადი სარგებელი) |
| პირდაპირი | ფინანსური ბლოკი | წარმოების დროის შემცირება |
| არაპირდაპირი | პროექტის იდენტიფიცირება | მწარმოებლურობის ზრდა |
| საწყისი/სასტარტო | ფინანსური ანალიზი, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი | წარმოების დროის შემცირება |
| მუდმივი | | საერთო განაკვეთების შემცირ |
| შესყიდვის | ეკონომიკური ბლოკი | კოეფიციენტების შემცირებ |
| ხელფასის | | სიმძლავრეების ზრდა |
| არარაოდენობრივი (არამონეტარიზებადი ხარჯე | ფისკალური ეფექტების კორექც | არარაოდენობრივი (არამონეტარიზებადი სარგებელი) |
| სიცოცხლე/უსაფრთხოება/ ჯანმრთელობა | საბაზრო ფასების ჩრდილოვან ფასებით შეცვლა | გადაწყვეტილების მისაღება ინფორმაციის სრულყოფა |
| საზოგადოების მიერ აღქმა/იმ | პროექტის ეკონომიკური უკუგებ დათვლა | მარტივად მისაღწევი ან გამოსაყენებელი |
| შესაძლებლობა | რისკის და განუსაზღვრელობი ანალიზი | დროის ღირებულება |
| რისკი/განუსაზღვრელობა | | ჭარბი რაოდენობის (მაგ. მუშახელის ანუ უმუშევრობის) შემცირება |
| პოლიტიკური | | ორგანიზაციული მიზნების მიღწევა |

ცხრილი 2. ხარჯისა და სარგებლის ანალიზის ეტაპები. რაოდენობრივი და არაოდენობრივი ხარჯი და სარგებელი.

ზოგადად ხარჯისა და სარგებლის ანალიზი შეიძლება ზოგადად სამ ნაწილად დაიყოს:

განისაზღვრება პროექტის ტექნიკური მახასიათებლები და გარემოებები;

გაიანგარიშება პროექტის წმინდა შემოსავალი;

და ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - დგინდება პროექტის სოციალური სარგებელი.

ამასთან, ხარჯისა და სარგებლის ანალიზი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:[6]

1. პროექტის იდენტიფიცირება. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს პროექტის სოციალური და ეკონომიკური მიზნების ნათლად განსაზღვრა. აქვე ხორციელდება პროექტის ტექნიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს როგორც საინჟინრო ასპექტებს, ასევე მენეჯმენტის, მარკეტინგის და ორგანიზაციულ საკითხებს. ამ ეტაპზე ხდება სხვადასხვა ალტერნატივებსი განხილვა და საუკეთესოს შერჩევა.

2. ფინანსური ანალიზი. ფინანსური ანალიზი არის ამოსავალი წერტილი შემდგომი ეკონომიკური ანალიზის. მისი მეშვეობით მოიპოვება ინფორმაცია პროექტისათვის საჭირო რესურსებსა და საბოლოო პროდუქტის შესახებ, მათ ფასებზე და როგორ არიან გადანაწილებული დროში. ფინანსური ანალიზისთვის საჭიროა:

| | |
|---|---|
| ფულადი ნაკადების ცხრილები (შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადები და მათი სხვაობა) | საწყისი საინვესტიციო ხარჯები<br>საოპერაციო ხარჯები და შემოსავლები<br>დაფინანსების წყაროები |
| ფინანსური შესაძლებლობების შეფასება | ფინანსური მდგრადობის ცხრილი (მოიცავს ყველა ელემენტს პირველი სამი ცხრილიდან, სადანაც გაინგარიშება ფინანსური უკუგების პერიოდი) |
| ფინანსური სარგებლის შეფასება | ფინანსური წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV)<br>ფინანსური უკუგების შიდა განაკვეთი(IRR) |

ამრიგად, ფინანსური ანალიზი შედგება ძირითადი მონაცემების შემაჯამებელი სამი ცხრილისა და მნიშვნელოვანი ინდიკატორების დასათვლელი დამატებითი სამი ცხრილისგან.

3. ფისკალური ეფექტების კორექცია. ფინანსური ანალიზი განსხვავებულია სახელმწიფოს ხედვით, რაც გარკვეული კორექციების აუცილებლობას იწვევს. მაგალითად, მოგების გადასახადი, რომელსაც კერძო ინვესტორი თავის ხარჯებში ატარებს. მაგრამ საზოგადოების ხედვით მოგების გადასახადი არც სოციალურ ხარჯს, და არც სარგებელს არ წარმოადგენს, ეს არის უბრალოდ ტრანსფერი საზოგადოების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში და ჯამურ კეთილდღეობას არ ცვლის. ფისკალური ეფექტის სხვა მაგალითი შეიძლება იყოს სუბსიდიები, ასევე გადასახადების გავლენა შუალედურ და საბოლოო საქონლის საბაზრო ფასზე. ამ საფეხურზე ორი ტიპის შესწორება ხორიელდება:

ყველა ფისკალური ეფექტი (გადასახადები, სუბსიდიები) უნდა იქნას აღმოფხვრილი.

საბაზრო ფასები უნდა შესწორდეს ზემოთ აღნიშნული ფისკალური ეფექტების მიხედვით.

4. პოზიტიური და ნეგატიური გარე ეფექტების დათვლა. გარეგანი ეფექტები არის საზოგადოებრივი ხარჯი ან სარგებელი, რომელიც მჟღავნდება პროქტის ფარგლებს მიღმა და გავლენას ახდენს მესამე პირზე ყოველგვარი ფულადი კომპენცასიის გარეშე. ეს ფაქტორები არ აღინუსხება საბაზრო მექანიზმების მეშვეობით ანუ არამონეტარიზებადია, მაგრამ რადგან ასეთი ეფექტები გავლენას ახდენენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის კეთილდღეობაზე, უნდა მოხდეს მათი მონეტარიზაცია. მონეტარიზაცია შესაძლებელია: ა)პრეფერენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება გამოკითხვის (გადახდისთვის მზადყოფნის კითხვარით); ბ) უკვე არსებული მონაცემების გაანალიზებით. ასევე მნიშვნელოვანია პროექტის გარე ეფექტების ფართე გაგებით შეფასება, როგორიცაა პროგრამის/პროექტის სოციალური, გარემოს და გენდერული ეფექტები.

5. საბაზრო ფასებიდან ჩრდილოვან ფასებამდე. გარე ეფექტების დასათვლელად უნდა დადგინდეს კონვერტაციის ფაქტორი, რომლის საბაზრო ფასზე ნამრავლი გვაძლევს ჩრდილოვან ფასს. საქონლის საბაზრო ფასების კორექტირებისთვის გამოიყენება:

- ზღვრული დანახარჯები, არასამეწარმეო საქონლისთვის როგორიცაა მიწა, ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ;
- ექსპორტ-იმპორტის ფასი სავაჭრო საქონლისთვის;
- სტანდარტული კონვერტაციის ფაქტორი (სტანდარდ ცონვერსიონ ფაცტორ) მცირე არასავაჭრო საქონლისთვის.

6. პროექტის ეკონომიკური უკუგების დათვლა. მას შემდგომ როდესაც დასრულდება ფინანსური ანალიზის კორექტირება უნდა მოხდეს ეკონომიკური უკუგების დათვლა:

ფისკალური ეფექტების;

გარეგანი ეფექტების;

ფასების კორექტირების შემდგომ.

დაბოლოს, ეს კორექტირებული მაჩვენებლები გამოიყენება რისკის გათვალისწინებით ეკონომიკური სარგებლის ( V და Iდდ) დასათვლელად.

რისკის გათვალისწინება ხორცილედება მგრძნობელეობის ანალიზის, სცენართა ანალიზის და მოსალოდნელი შემოსავლიანობის ანილიზის მეშვეობით.

ფინანსური ანალიზის განხორციელებისსას ძირითად იყენებენ მიმდინარე ღირებულების და დისკონტირების კონცეფციებს. ფინანსური ანალიზისათვის აუცილებელია დისკონტირება, ამისათვის კი აუცილებელია დისკონტირების განაკვეთის დადგენა. დისკონტის განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მიხედვითაც პროექტის მიერ გენერირებულ ფულადი ნაკადები გადმოგვყავს დღევანდელ ღირებულებაში წმინდა სარგებლის გამოსაანგარიშებლად. ეს მეთოდი ითვალისწინებს მხოლოდ პროექტის ცხად (ფაქტობრივ) ფულად შემოსავლებსა და გასავლებს და არ მოიცავს ისეთ საბუღალტრო კოვენციებს როგორიცაა ამორტიზაცია, მარაგები და ა.შ.

არსებობს სხვადასხვა მიდგომები საზოგადოებრივ სექტორში მისაღები დისკონტირებიის სოციალური განაკვეთის შეასარჩევად, შესაბამისად ამ საკითხზე შეიძლება არსებობდეს სულ ცოტა სამი გარკვეული თვალსაზრისი.

დისკონტირების სოციალური განაკვეთი კაპიტალის შემოსავლიანობის ტოლი უნდა იყოს.

დისკონტირების სოციალური განაკვეთი სამომხმარებლო საპროცენტო განაკვეთის ტოლი უნდა იყოს;

დისკონტირების სოციალური განაკვეთი უნდა შეესაბამებოდეს საოჯახო მეურნეობის დისკონტირებულ კოეფიციენტს.

დისკონტირების განაკვეთის დადგენის შემდგომ პროექტის წმინდა ფულადი ნაკადების დასათვლელად გამოიყენება სპეციალური ფაქტორ ცხრილები.

ფინანსური ანალიზი ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდს და იყენებს

შემდეგ ინსტრუმენტებს.

ფინანსური ანალიზი ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდს და იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს.

პროექტების შეფასებისა და შერჩევის ფინანსურ მეთოდები: სარგებლისა და ხარჯის თანაფარდობა, უკუგების პერიოდი, წმინდა მიმდინარე ღირებულება, შემოსავლიანობის შიდა ნორმა.

მოგებისა და ხარჯების თანაფარდობის გაანგარიშება ხდება მომავალი წმინდა დისკონტირებული შემოსავლების დანახარჯებთან შეფარდებით;

უკუგების პერიოდი განსაზღვრავს რამდენ ხანში არის შესაძლებელი დაბანდებული თანხების თანხების უკან ამოღება მომავალი წმინდა დისკონტირებული შემოსავლების დაჯამების მეშვეობით.

წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ხდება ყოველწლიური შემომავალი (სარგებელი) და გამავალი (ხარჯი) ფულადი ნაკადების სხვაობის დისკონტირების საფუძველზე,

რისკი და განუსაზღვრელობის მართვა არის ხარჯი და სარგებლის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენეტი. ყველა პროექტი ექვემდებარება რისკს, იმ შემთხვევაშიც კი თუ დეტალურად არის გათვლილი ფულადი ნაკადების პროგნოზი. ამიტომ მნიშვნელოვანია შემოსავლიანობის შიდა ნორმის (Iდდ) და წმინდა მიმდინარე ღირებულების ( V) ხელახალი გაანგარიშება რისკის გათვალისწინებით.

რისკის ანალიზის მეთოდები: მგრძნობელობის ანალიზი (იკვლევენ როგორ ახდენს სხვადასხვა ფაქტორების ცვლილება ზეგავლენას V-ზე) და სცენართა ანალიზი (განიხილება პროექტის სარგებლიანობის ოპტიმისტური, პესიმისტური და ნეიტრალური ვარიანტი), მოსალოდნელი სარგებლიანობა (სხვადასხვა ალბათობის გათვალისწინებით გამოითვლება მოსალოდნელი შემოსავლიანობა).

მგრძნობელობის ანალიზი (სენსიტივიტყ ანალყსის) მოიცავს ძირითადი მონაცემების განხილვას, რომელიც ზემოქმედებს პროექტზე და გვაძლევს საშუალებას დავინახოთ თუ როგორ შეიძლება თითოეულმა ამ პარამეტრმა გავლენა მოახდინოს კონკრეტული წინადადებების შემოსავლიანობაზე.

მგრძნობელობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ პროექტის შესრულებას. თითოეული, იდენტიფიცირებული, ფაქტორი უნდა იყოს შეფასებული მისი მაქსიმალურად დაშვებული ცვლილების თვალთახედვიდან, რომლიც პროექტის NPV-ს მნიშვნელობას ნულს გაუტოლებს.

სცენართა ანალიზი (სცენარიო ანალყსის) ცოტათი განსხვავებული მიდგომაა, რომლის მეშვეობითაც ხდება ერთადერთი ცვლადის პრობლემის გადაწყვეტა. ამ მიდგომის შედეგად რიგი ცვლადები ერთდროულად იცვლება, იმისათვის რომ აღიწეროს კონკრეტული "სამყაროს მდგომარეობა" ან სცენარი, რომლის მიხედვითაც მენეჯერები იმოქმედებენ. სცენართა ანალიზის პოპულარული ფორმას წარმოადგენს სამი სხვადასხვა "სამყაროს მდგომარეობა", ანუ ის სცენარები, რომლებიც განსაზღვრავენ:

სავარაუდო მომავალ მოვლენებზე ოპტიმისტური შეხედულება ს;

სავარაუდო მომავალ მოვლენებზე პესიმისტურ შეხედულებას;

მომავალ მოვლენებზე უფრო რეალური შეხედულებას.

რისკის შეფასების შემდეგი მიდგომაა სტატისტიკური ალბათობის მეთოდის გამოყენება. ხანდახან მიზანშეწონილია სხვადასხვა შესაძლო შედეგებიდან თითოეულის ალბათობის განსაზღვრა. მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, მოსალოდნელი ღირებულების (ეხპეცტედ ვალუე) განსაზღვრა, რომელიც შესაძლებელი შედეგების საშუალო მნიშვნელობა ა.

ხარჯისა და სარგებლის ანალიზის ბოლოს მზადდება დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური დასაბუთებას და მოიცავს: პროექტის მიზნების დასაბუთებას; შინაარს; ტექნიკურეკონომიკურ დასაბუთებას, რაც ასევე მოიცავს ალტერნატიულ ვარიანტებს და შეზღუდვებს; ყველა ვარიანტების ფინანსური შეფასება; ყველ ვარიანტების ეკონომიკურ შეფასებას (რაშიც შედის: 1. მეთოდოლოგია: ვარაუდები; დისკონტირების განაკვეთი; ხარჯებ ისა და სარგებლის შეფასების მეთოდოლოგია; რელევანტური ხარჯებისა და სარგებლის შერჩევ ა, მათი ჩართვის ან არჩართვის მიზეზების მითითებით); არარაოდენობრივი (არამონეტარიზებადი) ელემენტების განსაზღვრით; გამოყენებული კრიტერიუმების დასაბუთებით; ანალიზის შედეგები; 2. ალტერნატივების ანალიზი); რისკების ანალიზს; დაგეგვისა და პროექტირების საკითხებს; შემოქმების და შეფასების გეგმას; რეზიუმესა და რეკომენდაციებს.

ამრიგად, სახელმწიფო ფინანსების მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია

სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას.[8]

საზღვარგარეთ აპრობირებული სისტემებისა და კრიტერიუმების მიხედვით, ქართული საჯარო ფინანსების მართვის პრაქტიკა მოწმობს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები პროექტების ხარჯების როგორც ეფექტიანობის, ასევე ეფექტურობასთან დაკავშირებით. ამიტომ, შეფასების სისტემების სწრაფი დანერგვა და ამოქმედება წარმოადგენს საზოგადოების პრიორიტეტულ ინტერესს,

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Amartya Kumar Sen, CH (an Indian philosopher and economist who was awarded the 1998 Nobel Memorial Prize in Economic Sciences for his contributions to welfare economics and social choice theory, and for his interest in the problems of society's poorest members.

2. Financial and Economic Analysis of Development Projects. Luxembourg: Office for Official Publications of the EuropeanCommunities, European Commision, 1997.

3. Little I. M. D., Mirrless J. A. Project Appraisal and Planning for Developing Countries. L.: Heinemann, 1974. P. 28.

4. Chervel M. L'evaluation economique des projects: Calcul economique publique et planifica-tion: les methods d'evaluation de projects, nuova edizione. P.: Publisud. 1995. Petit guide de l'evaluation des politiques publiques. P.: La Documentation Francaise, Con-seil scientifique de l'evaluation, 1996.

5. Commission on Third Airport / 1991 Annual Review. L.: BAA, 1992.

6. sajaro investiciebis marTva municipalur doneze. Gzamkvlevi adgilobrivi TviTmmarTvelobis moxeleTaTvis. The Network of Institutes and Schools of Public Administration in Central and Eastern Europe, www.nispa.org.

7. ბოლო ორი ფორმულა გამოიყენება რისკების შესაფასებლად.

8. სახელმწიფო ფინანსების 2011 წლის მართვის რეფორმის სამოქმედო გეგმა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**Public projects and programs evaluation possibilities for public finance effective management**

**Tamar Gamsakhurdia**
**Full professor of Business and Management School**
**Grigol Robakidze University, Doctor of Economic Sciences**

State public service to the increasingly difficult financial and economic environment. In order to ensure a high quality of service, the state must manage its resources, which may be a special analytical tools, such as the costs and benefits (CBA) and economic analysis. It is used for state transportation programs, as well as water supply, education, health care, environmental protection, etc. Evaluation of projects. Costs and benefits (CBA) is an analysis of strategies, programs and projects are selected, whose revenues exceed expenses

# ფირმის სტეიკჰოლდერის თეორია



ვასილ ხიზანიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

სტეიკჰოლდერის თეორია არის ბიზნესის ეთიკის თეორიული მიმართულება, რომელიც ეხება მორალსა და ფასეულობებს ორგანიზაციის მართვაში. ის აყალიბებს და განმარტავს განვითარების სტრატეგიას სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებით. სტეიკჰოლდერის მიდგომა ფოკუსირდება იმ განსხვავებულ ჯგუფებზე ანუ სტეიკჰოლდერებზე, რომელთა მიმართაც კორპორაციას გააჩნია პასუხისმგებლობა და რომელთაც კორპორაციაში ასევე აქვთ ლეგიტიმური ინტერესი.

ამგვარად, სტეიკჰოლდერის თეორია წარმოადგენს კორპორაციის თანამედროვე მიდგომას, რომელიც გულისხმობს სოციალურ კონტრაქტს ფირმასა და საზოგადოებას შორის. ეს არის ზოგადი ხედვა ბიზნესის ფუნქციონირებისა და მისი ეფექტურად მართვის შესახებ და ეხება ჰუმანური ფასეულობების შექმნას კორპორაციულ ურთიერთობებში.

სტეიკჰოლდერის ანუ დაინტერესებულ მხარეთა თეორია არის ბიზნესის ეთიკის ერთ-ერთი თეორიული მიმართულება, – თეორია, რომელიც ეხაება მორალისა და ფასეულობების საკითხებს ორგანიზაციის მართვაში [1]. ასევე, ის აყალიბებს და განმარტავს ფირმის განვითარების სტრატეგიას ე.წ. სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებით. [6].

თეორიის საფუძვლების ფორმირება იწყება XX საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში. აღნიშნული თეორიის თანხმად კომპანია არის არა მხოლოდ ეკონომიკური მთლიანობა და ინსტრუმენტი მოგების მისაღებად, არამედ იმ გარემოს ელემენტიც, რომელშიც ის მოქმედებს. ის წარმოადგენს სისტემას, რომელიც გავლენას ახდენს თავის გარემოზე * და ასევე, მისგან განიცდის ზემოქმედებას.

თანამედროვე სახით << სტეიკჰოლდერის თეორია >> გავრცელებას პოულობს XX საუკუნის ოთხმოციანი წლების შუაში, როდესაც დღის შუქზე ჩნდება ამერიკელი პროფესორის რობერტ ედვარდ ფრიმენის ნაშრომი <<სტრატეგიული მენეჯმენტი: დაინტერესებულ მხარეთა მიდგომა>> [2]. მასში ავტორს შემოაქვს <<დაინტერესებულ მხარეთა>> (stakeholder) განმარტება, იძლევა მის განსაზღვრებას და განსახილველად გვთავაზობს ფირმის ორგანულ მოდელს. ფრიმენის იდეა მდგომარეობს ფირმის შიდა და გარე გარემოდ, როგორც ფირმის საქმიანობით დაინტერესებულ მხარეთა ერთობად წარმოდგენაში, რომელთა ინტერესების და მოთხოვნების მხედველობაში მიღება და დაკმაყოფილება მართებთ მენეჯერებს.

სტეიკჰოლდერის თეორიის მიხედვით, ორგანიზაციის მიზნების მიღწევისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული ინტერესები, რომლებიც არაფორმალური კოალიციის ტიპს წარმოადგენენ. სტეიკჰოლდერებს შორისაც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული დამოკიდებულება, რაც ყოველთვის არ ხასიათდება თანამშრომლობით, ინტერესთა თანხვედრით, და პირიქით, ხშირად კონკურენტული ხასიათის მატარებალია. შესაბამისად, ყველა სტეიკჰოლდერი შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერთიანი წინააღმდეგობრივი მთლიანობა, როგორც ტოლქმედ ინტერესთა ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების ტრაექტორიას. ამგვარი მთლიანობა იწოდება ორგანიზაციის <<გავლენის კოალიციად>> ან <<ბიზნესში მონაწილეთა კოალიციად>>[7] .

კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომისაგან განსხავებით, რომელიც მკაცრად ფოკუსირდება კორპორაციაზე და მის პასუხისმგებლობაზე, სტეიკჰოლდერული მიდგომა აქცენტს აკეთებს იმ განსხვავებულ ჯგუფე-

ბზე, რომელთა მიმართაც კორპორაციას გააჩნია პასუხისმგებლობა. ძირითადი საწყისი წერტილი არის ის მოთხოვნა, რომ კორპორაციები არა მხოლოდ მათივე აქციონირების (სჰარეჰოლდერს) ინტერესების მიხედვით უნდა იმართებოდნენ, არამედ არსებობს მთელი რიგი წყება ჯგუფებისა, ანუ სტეიკჰოლდერებისა, რომელთაც ასევე გააჩნიათ ლეგიტიმური ინტერესი კორპორაციაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტეიკჰოლდერის ცნების მრავალრიცხოვანი ურთიერთგანსხვავებული განმარტება, ფრიმენის [2, .46] ორიგინალური დეფინიცია ყველაზე უფრო ცნობილი და გავრცელებულია:

* კომპანიის გარემოს მიეკუთვნება -- ადგილობრივი გაერთიანებები, მომხმარებლები, მიმწოდებლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ინვესტორები და აქციონერები.

სტეიკჰოლდერი ორგანიზაციაში არის ჯგუფი ან ინდივიდი,რომელიც ზემოქმედებს ან განიცდის ზემოქმედებას ორგანიზაციის მიზნის მიღწევის პროცესში.

მაგრამ,რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში „ ზემოქმედებს" ან „განიცდის ზემოქმედებას"? მის გასაგებად ევანი და ფრიმენი [3] გვთავაზობენ ორი მარტივი პრინციპის გამოყენებას. პირველი, კორპორაციული უფლებების პრინციპი,რომელიც მოითხოვს,რომ კორპორაციას აქვს ვალდებულება არ დაარღვიოს სხვათა უფლებები. მეორე კორპორაციული ეფექტის პრინციპი, რომლის მიხედვით კომპანიები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ქმედებების შედეგებზე სხვებთან მიმართებაში. ამ ორი ძირითადი პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია სტეიკჰოლდერის ცნების მეტი სიზუსტით განმარტება:

კორპორაციის სტეიკჰოლდერი არის ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც

კორპორაციიდან იღებს ზარალს ან სარგებელს,

ან

ვისი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ან იქნეს პატივცემული კორპორაციის მიერ.

ეს დეფინიცია ნათელყოფს იმას, რომ სტეიკჰოლდერებს შორის არსებული ზღვარი იცვლება კომპანიიდან კომპანიამდე, სწორედ მსგავს კომპანიათა სხვადასხვა სიტუაციებში, მიზნებსა თუ ამოცანებში. ამიტომ, ვსარგებლობთ რა ამ განსაზღვრებით, შეუძლებელია შესაფერისი სტეიკჰოლდერების საბოლოო ჯგუფის გაიგივება რომელიმე მოცემულ კორპორაციასთან რაიმე მოცემულ სიტუაციაში. ქვემოთ გთავაზობთ ფირმის სტეიკჰოლდერის თეორიის სქემატურ რეპრეზენტაციას [4]

(ა) ტრადიციული მენეჯმენტის მოდელი




(ბ) სტეიკჰოლდერული მოდელი




ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

(გ) ქსელური მოდელი




ნახ.1. ფირმის სტეიკჰოლდერის თეორია

ა. სამოქალაქო საზოგადოებაში იგულისხმება გავლენის ჯგუფები, ადგილობრივი თემები არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.

ნახ. 1 (ა) გვიჩვენებს მართველობითი კაპიტალიზმის (მანაგერიალ ცაპიტალისმ) ტრადიციულ მოდელს, სადაც კომპანია მხოლოდ ოთხ ჯგუფთან არის დაკავშირებული. მიმწოდებლები, თანამშრომლები და აქციონერები უზრუნველყოფენ ძირითად რესურსებს კორპორაციისათვის, რომელიც შემდეგ მათ იყენებს მომხმარებლის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად. აქციონერები არიან ფირმის „მფლობელები" და ამიტომ ისინი დომინანტური ჯგუფია, რომელთა ინტერესის გამტარებელია ფირმა.

ნახ. 1 (ბ) გვიჩვენებს სტეიკჰოლდერულ მოდელს, სადაც აქციონერები წარმოადგენენ ცალკე ჯგუფს რამდენიმე სხვა ჯგუფს შორის; სადაც კომპანიას გააჩნია ვალდებულებები არა მხოლოდ ერთ ჯგუფთან, არამედ ასევე ყველა დანარჩენთან, რომელებზეც მისი ქმედება ახდენს ზემოქმედებას. ამგვარად, კორპორაცია მდებარეობს ურთიერთდამოკიდებულ ორმხრივ ურთიერთობათა ცენტრში.

ნახ. 1 (გ) გვიჩვენებს ქსელურ მოდელს, სადაც სტეიკჰოლდერულ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული ვალდებულებები როგორც სტეიკჰოლდერთა საკუთარ წრეში (ჯგუფში) ისე კორპორაციის სხვა სტეიკჰოლდერებთან.

სტეიკჰოლდერის თეორიასთან მიმართებაში არსებობს მის წიაღში აღმოცენებული თეორიის სრულად განსხვავებული ფორმები. ტომას დონალდსონი და ლი პრისტონი [5] გვთავაზობენ სტეიკჰოლდერის თეორიის სამ ფორმას:

სტეიკჰოლდერის ნორმატიული თეორია – ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ის მიზეზები, თუ რატომ შეიძლება გაითვალისწინონ კორპორაციებმა სტეიკჰოლდერების ინტერესები.

სტეიკჰოლდერის დესკრიპციული თეორია – ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს იმ კონკრეტული სტეიკჰოლდერების დადგენას, რომელთა ინტერესებიც შეიძლება იქნას კორპორაციების მიერ გათვალისწინებული მოცემულ მომენტში.

სტეიკჰოლდერის ინსტრუმენტალური თეორია – ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს გასცეს კითხვას პასუხი, თუ რამდენად სასიკეთოა კორპორაციისათვის სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინება.

სტეიკჰოლდერის თეორიის დამატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული მართვის თეორია. სტრატეგიული მართვა, როგორც მოქმედების სფერო მიმართულია ორგანიზაციის მყარი კონკურენტული უპირატესობის ფორმირებასა და შენარჩუნებაზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მრავალრიცხოვან ჯგუფებთან და ინდივიდებთან აქტიური ურთიერთქმედებებით, რამდენადაც მათი მხარდაჭერა აუცილებელია სტრატეგიის რეალიზაციის დროს. ახორციელებს რა ამგვარ სტრატეგიას, ორგანიზაცია იღებს მყარ კონკურენტულ უპირატესობას, რაც ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობასა და მოგების მიღების საშუალოზე მაღალ დონეს [8].

ამგვარად, სტეიკჰოლდერის თეორია წარმოად-

გენს კორპორაციის თანამედროვე მიდგომას, რომელიც გულისხმობს სოციალურ კონტრაქტს ფირმასა და საზოგადოებას შორის. ფართო გაგებით, აღნიშნული თეორია არის ზოგადი ხედვა ბიზნესის ფუნქციონირებისა და მისი ეფექტურად მართვის შესახებ, და ეხება ჰუმანური ფასეულობების შექმნას კორპორაციულ ურთიერთობებში რაც ერთი მხრივ, ნაციონალური ეკონომიკების დამოკიდებლობის მკვეთრი შეზღუდვისა და ფაქტობრივი დაკარგვის, და მეორე მხრივ ტრანსკონტინენტური კორპორაციების დომინანტურ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.


### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Stakeholder theory, From wikipedia, the free encyclopedia., en.Wikipedia.org/wiki/Stakeholder __theory
2. reeman R.Edward, Strategic Management: A Stakeholder Appraach., Boston: Pitman, 1984
3. van, W.M., and Freeman, R. E., „A stakeholder theory of the modern corporation: Kantian capitalism". In W.M. Hoffman and R.E. Frederick (eds.) Business Ethics : Readings and Cases in Corporate Morality, 3rd edn., New York: McCraw-Hill., 1993, P.145-154.
4. Andrew Crane., Dirk Matten., Business Ethics: A EUROPEANPERSPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainibility in the Age of Globalization)., Oxford, New York, 2004. P.51
5. Donaldson, T. and Preston, L.E., „The stakeholder theory of thecorporation: concepts, evidence, and implications". Academy of Management Review, 20/1; 1995, P.65- 91.
6. Теория стеикхолдеров, Материал из Википедии – свободной енциклопедий, ru.wikipedia.org/wiki/ Теория_стеикхолдеров.
7. Зуб А.Т. стратегический менеджмент. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА . М.: АСПЕК ПРЕСС, 2002 ,С. 415
8. Солодухин К.С. Проблемы применения теории заинтересованных сторон в стратегическом управлении организацией. **http: www.m-ekonomy.ru/art.php 3?arId=23057.**, рус. // проблемы современной экономики: журнал. № 4(24).


## Stakeholder theory of the firm


**Vasil Khizanishvili**
**PhD in Ekonomics**
**Asistent Profeessor of Telavi State University**



**Stakeholder theory is a theorethical direction of the business ethis, which concerns with a moral and values of organization management. It forms and explains the strategy of the firm development to take into account the stakeholders interests. Stakeholder approach focuses on these different groups or stakeholders, towards which also have the legitimate interest in the corporation.**

**Hence, stakeholder theory represents the modern approach of thecorporation, what means the social contract between the firm and society. This is a general view-point about the business function and its effective management, and deals with the creation of human values in the corporative relations.**

# საკვანძო კომპეტენციების თავისებურებები საცალოდ მოვაჭრე მაღაზიებში

მანანა ხარხელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

სტატიაში – „საკვანძო კომპეტენციების თავისებურებები საცალოდ მოვაჭრე მაღაზიებში“ დასმულია ერთი ფუნდამენტალური კითხვა – რა არის ის ფენომენი, რომლის მეშვეობითაც ერთი კომპანია აღწევს წარმატებას, მეორე კი – უფრო მაღალი პოტენციალის მქონე – ხელმოცარულია? და ორ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაზე დაკვირვებით პასუხიც არის ამ კითხვაზე გაცემული.

სტატიაში ჩამოთვლილია ის 10 კომპეტენცია, რომელიც გააჩნია მეორე მაღაზიას, და, რომელთაგანაც მან შექმნა ძლიერი კონკურენტული სივრცე და ამით დაჯაბნა პირველი მაღაზია.

სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ განსხვავებით ტრადიციული გაგებისგან, რომლის მიხედვით საკვანძო კომპეტენციების ჯამი ეს არის ტექნოლოგიის, მართვის პროცესის და კოლექტიური სწავლების ნამრავლი, საცალო ვაჭრობაში მის ჯამურ სიდიდედ უნდა განისაზღვროს საქონლის გაყიდვის და გაყიდვის შემდგომი მომსახურების ახალი ფორმების შეჯერება-შეჯამებით მყიდველთა ფსიქოლოგიის გამოცნობასთან.

თავისი მოსაზრება სტატიის ავტორმა დაასაბუთა ხილ-ბოსტნეულის ორი მაღაზიის კომპეტენციების გამოკვლევით, შეჯერებით და შეჯამებით.

ბაზარზე მოქმედ კონკურენტ-ფირმების საქმიანობის შეფასებისას, ანდა უბრალოდ, მათ საქმიანობაზე დაკვირვებისას, ყოველთვის იბადება ერთი ფუნდამენტალური კითხვა: რა არის ის ფენომენი, რომლის მეშვეობითაც ერთი კომპანია აღწევს წარმატებებს, მეორე კი – უფრო მაღალი პოტენციალის მქონე – ხელმოცარულია? ასეთი მაგალითები კი ჩვენ თვალწინ ბევრია. თუ არაფერს ვიტყვით მსხვილ კომპანიებზე, უბრალოდ ქ. თბილისში, გვერდი-გვერდ მდებარე ერთი პროფილის მაღაზიებზე დაკვირვებითაც ნათელი ხდება, რომ ერთ მათგანში მუდმივად ხალხმრავლობაა, მეორეში კი, რომელიც საქონლის ასორტიმენტითაც, მომსახურების დონითაც და სხვა ნიშნებითაც არ ჩამოუვარდება მას, მყიდველთა მნიშვნელოვანი ნაკლებობაა.

ამ ფენომენის გამოსარკვევად ჩავატარეთ დაკვირვება ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში მდებარე ორ მეზობელ (მათ მხოლოდ ერთი კედელი ყოფთ) ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებზე. პირველი სამი წლის გახსნილია, მეორე კი მხოლოდ 6-7 თვის. იმის მიუხედავად, რომ 3 წლის წინ გახსნილ პირველ მაღაზიას თავისი კლიენტურა უკვე ჰყავდა, მის გვერდით მეორე მაღაზიის გახსნიდან, სულ რაღაც, ერთ-ორი კვირის განმავლობაში ყველა მისი კლიენტი მეორე მაღაზიაში გადავიდა. ცხადია, დაიწყო ორ მაღაზიას შორის კონფლიქტი და ორი-სამი ხელჩართული „ბრძოლაც“ გაიმართა.

პირველი მაღაზია მეორეს ედავება იმაში, რომ მას, მისგან ასე ახლოს, ასეთივე პროფილის მაღაზია არ უნდა გაეხსნა, მეორე კი თავს იმით იმართლებს, რომ საქართველოში მოქმედი არცერთი კანონი არ კრძალავს ამას. მართლაც, საზღვარგარეთ, მაღაზიათა შორის დისტანციის ნორმებია დადგენილი და მისი დარღვევა კანონით ისჯება. საქართველოში ბიზნესის მარეგულირებელ ორგანოებს (საერთოდ კი გვყავს ასეთი ორგანო?) ამ საკითხზე ჯერ არ უფიქრიათ.

ასეთ პირობებში, ორივე მაღაზია მართალია – პირველი მორალურად, მეორე იურიდიულად. მაგრამ ჩვენი სტატიის დაწერის მიზანი მათ შორის მტყუან-მართალის გარჩევა არ არის. ადრე თუ გვიან, როგორც კი საქართველოში შეიქმნება ბიზნესის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანაშია შექმნილი, ჩვენთანაც ეს ვითარება დარეგულირდება. ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ რა ფენომენმა, რა ხიბლმა, გადმოიყვანა პირველი მაღაზიის კლიენტები მეორე მაღაზიაში. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სტატიის მკითხველი იმავე წამს იფიქრებს, რომ ეს ალბათ, ფასების სიმცირის მიზეზით მოხდა. ასე გვეგონა ჩვენც, მაგრამ 10 დღიანი დაკვირვების პერიოდში, დავადგინეთ, რომ მოვტყუვდით, თანაც, გვარიანად მოვტყუვდით.

ალმოჩნდა, რომ ამ მეორე მაღაზიაში ხილ-ბოსტნეულის ფასები არა თუ იაფი, არამედ

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ძვირია, თანაც არა ერთი ან ორი პროცენტით, არამედ 20-30 პროცენტით. გაგიკვირდათ ხომ? ჩვენც გაგვიკვირდა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექეცით. გაგვიკვირდა იმიტომ, რომ ქალაქის ეს უბანი არ არის მდიდრების უბანი. ეს არის ე. წ. „ხრუშჩოვკა" საცხოვრებელ სახლებში დასახლებული მოსახლეობა. აღნიშნულ სახლებში კი მდიდარი მოსახლეობა არ ცხოვრობს. მაშ რა მოხდა, რასთან გვაქვს საქმე?

ამის გასარკვევად ჩვენ ჩვეულებრივ მყიდველებად მოვევლინეთ ამ მაღაზიას და 10 დღის განმავლობაში ყოველ დღე ფარულად ვაკვირდებოდით მაღაზიის გამყიდველების მუშაობასაც და მყიდველების ქცევასაც. შიგა და შიგ შეკითხვებსაც ვაძლევდით მათ ისე, ვითომდა უბრალო ცნობისმოყვარეობის მიზნით (ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ ოფიციალურ ინტერვიუებს და გამოკითხვებს ყველა უფრთხის). ერთი სიტყვით, გამოკვლევა ჩავატარეთ.

ასეთი გამოკვლევით დავადგინეთ, რომ თურმე, როცა ეს მეორე ხილ-ბოსტნეულის მაღაზია იხსნებოდა, უბნის მოსახლეობას გაჰკვირვებია მისი მენეჯერის ასეთი გადაწყვეტილება, რადგან მისგან ერთ ნაბიჯში უკვე ფუნქციონირებდა ასეთივე პროფილის მაღაზია, რომელიც საკმაოდ დიდი მოწონებით სარგებლობდა მოსახლეობაში (მისაღები ფასები, ფასის დაკლება, ნისიად ვაჭრობა, სრული ასორტიმენტი და ა. შ.).

დავადგინეთ ისიც, რომ თავდაპირველად უბნის მოსახლეობა ცნობისმოყვარეობის წადილს დაუძლევია და ამ მაღაზიაში დასათვალიერებლად შესულან, თანაც ისე, რომ პირველი მაღაზიის მენეჯერს (თუ გამყიდველს) ეს არ დაენახა და მათი ქცევა „ღალატად" არ შეეფასებინა. მერე კი, თვითონაც ვერ ხსნიან რა მოხდა, რატომ გადმოინაცვლეს თანდათან ამ მაღაზიაში, მით უფრო, რომ პირველი მაღაზია მეორის საპირისპიროდ კიდევ უფრო უკეთეს პირობებს სთავაზობდა მყიდველებს და ამასთან, მეორე მაღაზიაში ფასები 20-30%-ით ძვირიც იყო.

იმ „მიზიდულობის ძალას", იმ ხიბლს, რომლის მეშვეობითაც მეორე მაღაზიამ პირველს კლიენტურა წაართვა, ჩვენ კომპეტენციები დავარქვით და სწორედ ის 10 დღე ამ ახალი კომპეტენციების გამოვლენას მოვახმარეთ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ორივე მაღაზია ერთნაირ პირობებშია: ორივე პირველ სართულზეა, ფართობი ერთნაირი, რემონტი ერთნაირი, თანამშრომელთა რაოდენობაც თითქმის ერთნაირი, პროდუქტების მრავალფეროვნება ერთნაირი, ორგანვე შეიძლება შევაჭრებაც, ნისიად წაღებაც. განსხვავებები, რომლებიც ჩვენ აღმოვაჩინეთ, შემდეგია:

1. მეორე მაღაზია ვაჭრობს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის საქონლით (პირველი ყველანაირით). იქ მხოლოდ თვალისმომჭრელი სუპერსაქონელია დაწყობილი. მათი დანახვა თვალსაც უხარია და გულსაც. საკვები პროდუქტების საყიდლად შესული ადამიანისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იწვევს მადის აღძვრას, რასაც საქონლის რეალიზაციისთვის დიდზე-დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს პირველი კომპეტენცია.

2. საქონელი მაღაზიაში დაწყობილია მსხვილგაბარიტიან ტარაში. საქონელი გასუფთავებულ-გაწმენდილია და ზოგიერთი პროდუქტი ცვარმოსხმულიც კი (კიტრი, პომიდორი, მწვანილი). დაგვეთანხმებით, რომ მყიდველის წასაქეზებლად ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მეორე კომპეტენცია.

3. საქონელი დაწყობილია პარალელურ ზოლებში – ერთ ზოლში მხოლოდ კარტოფილი, მეორეში – მხოლოდ სხვადასხვა სახის ვაშლი, მესამეში – სხვადასხვა ჯიშის პომიდორი და ა. შ. მათი ფერების შეხამებასაც კი აქვს ყურადღება მიქცეული. დაგვეთანხმებით, ესეც კლიენტის მოსაზიდად არის გაკეთებული. ესეც კომპეტენციაა, ამჯერად – მესამე.

4. ცოცხალი თევზის აკვარიუმთან დალაგებულია ბუკლეტები, რომელიც თევზის მყიდველს ამცნობს თუ რა ჯიშის თევზი იყიდა და როგორ სჯობია მისი მომზადება. ასეთივე ბუკლეტებია დალაგებული საზამთროდ მომზადებული ტყემლის და პომიდორის წვენის, აჯიკის და სხვა პროდუქტების თაროებზე. ეს მეოთხე კომპეტენცია.

5. სავაჭრო დარბაზში გამოდის მხოლოდ იმ დილით შემოტანილი ხილ-ბოსტნეული. ცხადია, ეს არ ეხება ისეთ საქონელს, როგორიცაა მჟადის ფქვილი, და ღერღილი, ხმელი ლობიო, ნიგოზი და სხვა არამალფუჭებადი საქონელი. ეს მეხუთე კომპეტენცია.

6. მომსახურე პერსონალი არის ზომიერად ყურადღებიანი. ისინი არ აბეზრებენ თავს მყიდველებს. მყიდველთა თანდასწრებით არ საუბრობენ პირად თემებზე და მყიდველებთან ურთიერთობებში არიან საკმაოდ კორექტულნი. ეს მეექვსე კომპეტენცია.

7. მაღაზიის გამყიდველები მეტად მობილურად ცვლიან ერთმანეთს. როგორც კი რომელიმე უბანზე (საქონლის არჩევაში, აწონვისას თუ ფულის გადახდისას) ხალხმრავლობა და თუნდაც მცირე რიგი გაჩნდება, იქ მაშინვე მიდის დამატე-

ბით გამყიდველი. ეს მეშვიდე კომპეტენცია.

8. დანერგილი აქვთ სახლში მიტანით მომსახურება – შორს მანძილზე მანქანით, უბანში ფეხით. ამ საქმეს ერთი ადამიანი ემსახურება. მყიდველი ყიდულობს პროდუქტებს, იხდის ღირებულებას, ტოვებს ტელეფონს და მისამართს და მიდის. მას 1 საათის განმავლობაში ნაყიდ პროდუქტებს ბინაზე მიართმევენ. ამაში იგი არავითარ დამატებით ფასს არ იხდის. დაგვეთანხმებით, რომ ეს მომსახურება მეტად ღირებულია მყიდველებისთვის, რადგან მყიდველები ძირითადად დიასახლისები არიან და თანაც ასაკშემოპარულები. . . ეს მერვე კომპეტენცია.

9. ნისიად საქონლის ყიდვისას არავინ არც თქვენ გვარ-სახელს იწერს, არც ტელეფონს და არც ხმამაღლა ახდენენ მის აფიშირებას. უბრალოდ მყიდველს ეუბნებიან, რომ მას თვითონ ახსოვდეს ამის შესახებ. ეს მეცხრე კომპეტენცია.

10. მალფუჭებადი ხილ-ბოსტნეულის ფასები დღის განმავლობაში იცვლება – საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე ფასები 20%-ით იკლებს. ამის შედეგად დილით შემოტანილი საქონელი თითქმის მთლიანად იყიდება. ეს მეათე კომპეტენცია.

როგორც ავღნიშნეთ, პირველ მაღაზიასთან შედარებით მეორე მაღაზიაში აღმოჩენილი ეს განსხვავებები წარმოადგენენ იმ კომპეტენციებს, რომლებმაც მეორე მაღაზიას შეუქმნა ახალი კონკურენტული სივრცე და ამით დაჯაბნა პირველი მაღაზია.

კომპეტენცია ახალი ფენომენი არ არის. არის მოსაზრება, რომ ბიზნეს-სუბიექტისთვის კომპეტენცია, კერძოდ კი საკვანძო კომპეტენცია, ეს არის ტექნოლოგიის, მართვის პროცესის და კოლექტიური სწავლების ნამრავლი [1, გვ. 365]. ასეთი მიდგომით კომპეტენციის გაანგარიშება ალბათ, მაღალტექნოლოგიური საწარმოებისთვის არის მისაღები, რაც შეეხება პროდუქტების მაღაზიებს, მათში კომპეტენციების ჯამური სიდიდე ჩვენის აზრით, უნდა განისაზღვროს გაყიდვის შემდგომი მომსახურების ახალი ფორმების შეჯერება-შეჯამებით მყიდველთა ფსიქოლოგიის გამოცნობასთან. ჩვენს მიერ მოყვანილი მაღზიის მაგალითით, რომელსაც 10 ასეთი კომპეტენცია გააჩნია, ეს დასტურდება. ამ მაღაზიის მენეჯერმა გამოიცნო თავისი მყიდველების ფსიქოლოგია,– რომ მათ უნდათ ყიდულობდნენ მხოლოდ იმ დღით შემოტანილ პროდუქტებს, თანაც სუპერპროდუქტებს (თუნდაც მაღალ ფასად), რომ მათ არ მოსწონთ როცა ნისიად ყიდვის შემთხვევაში მათ გვარებს და ტელეფონებს ბლოკნოტში იწერენ და ა. შ. და, ეს ყველაფერი მან დააკმაყოფილა. შედეგიც სახეზეა. მაღაზია იხსნება დილის 9 საათზე და საღამოს 9 საათამდის არ ილევა მყიდველთა ნაკადი და თითქმის არ რჩება გაუყიდავი მალფუჭადი საქონელიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. М. Портер, Д. Самплер, С. Прахлад и др. Курс МВА по стратегическому менеджменту, М., 2007, с. 9; 365.

**Key Features of Competence in Retail Stores**

**Manana Kharkheli**
**Associated Professor of Georgian Technical University**

**Manana Karkheli's Article "Key Features of Competence in Retail Stores" raises a fundamental question: what is the phenomenon by which one company archives success and the other with higher potential loses? Observation of two greengroceries gives the answer.**

**The article lists the 10 competence, which has a second shop and through which it created a strong competitive environment and thus caused disadvantage of the first store.**

**The author believes that unlike the traditional concept according to which the key competency is the sum of the technology, product management and collective learning, in retail trade its sum total should be determined by the summary and collection of goods sale and new forms of service after sale with the customers psychology prediction.**

**The author justified the viewpoint by survey, combination, and summary of two greengrocery competences.**

# ნავთობის მსოფლიო მარაგები, მოპოვება და ფასები

## (თეორია და ანალიზი)



პაატა აროშიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

ნავთობის მოპოვების ზღვარი – ეს არის დროის მონაკვეთი, როცა მსოფლიო მასშტაბით მოიპოვება ნავთობრესურსების მაქსიმალური რაოდენობა. რომლის შემდეგაც მოპოვება მცირდება. თუ ნავთობმოპოვების პიკის წერტილამდე მოთხოვნა არ მცირდება, შესაძლებელია მივიღოთ ენერგეტიკული კრიზისი, რადგან მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება ფასები. კინგ ჰუბერტმა 1956 წელს პირველად გამოიყენა თეორია, რომელიც ასახავდა აშშ-ს მიერ ნავთობმოპოვების პიკის მიღწევას 1965–1970 წლებში. ეს თეორია იწოდება „ჰუბერტის პიკის თეორიად". თეორია გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების მიერ და სხვა შეზღუდული რესურსების დარგებშიც. „ჰუბერტის მოდელის" თანახმად, ნავთობმოპოვების მრუდს სიმეტრიული ზარის ფორმა გააჩნია.

XX საუკუნის ბოლო მესამედში, მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები ეტაპობრივად გადადიოდნენ პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებრივ მეურნეობაზე. ეს პროცესი არ შეიძლებოდა არ ასახულიყო სხვა ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაზე, რომლებიც წარმოადგენდნენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელმაც უარყოფითი ასახვა ჰპოვა ეკონომიკის თითქმის ყველა დარგზე არის ნავთობსა და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა.

ნავთობის მარაგების განლაგებაში შეიძლება გამოიყოს 2 ძირითადი თავისებურება: 1. მარაგების უმთავრესი ნაწილი თავმოყრილია მცირე რაოდენობის საბადოებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან გიგანტურ და ზეგიგანტურ საბადოებს. დანარჩენი ნავთობსაბადოები უმნიშვნელოა ეკონომიკური გამოყენებადობის თვალსაზრისით. 2. ნავთობზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე, მენავთობეები და გეოლოგები პოულობენ სულ უფრო მცირე მარაგის შემცველ საბადოებს.

1956 წელს, ამერიკელმა მეცნიერმა კინგ ჰუბერტმა ჩამოაყალიბა თეორია, რომელიც ასახავს ნავთობის მოპოვების მაქსიმალურ შესაძლებლობასა და მის მიწოდებას. ამ თეორიის მიხედვით, ნავთობის საბადოების აღმოჩენისას დგება პიკის მომენტი, რომელიც გვიჩვენებს ნავთობის მოპოვების მაქსიმალურ წერტილს. ნავთობის მოპოვების ზღვარი – ეს არის დროის მონაკვეთი, როცა მსოფლიო მასშტაბით მოიპოვება ნავთობრესურსების მაქსიმალური რაოდენობა. რომლის შემდეგაც მოპოვება მცირდება. თუ ნავთობმოპოვების პიკის წერტილამდე მოთხოვნა არ მცირდება, შესაძლებელია მივიღოთ ენერგეტიკული კრიზისი, რადგან მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება ფასები. კინგ ჰუბერტმა 1956 წელს პირველად გამოიყენა თეორია, რომელიც ასახავდა აშშ-ს მიერ ნავთობმოპოვების პიკის მიღწევას 1965–1970 წლებში. ეს თეორია იწოდება „ჰუბერტის პიკის თეორიად". თეორია გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების მიერ და სხვა შეზღუდული რესურსების დარგებშიც. „ჰუბერტის მოდელის" თანახმად, ნავთობმოპოვების მრუდს სიმეტრიული ზარის ფორმა გააჩნია. (იხ. ნახ. 1)




საწყის ეტაპზე, ნავთობსაბადოების აღმოჩენა ნელი ტემპით ხდება, მრუდის ეს მონაკვეთი გვიჩვენებს ნავთობსაბადოების ექსპლუატაციის საწყის ეტაპს. დღეისათვის მსოფლიოში აღმოჩენილია დაახლოებით 40 ათასი ნავთობსაბადო. მათგან დაახლოებით 90% შეიცავს ნავთობის უმნიშვნელო რაოდენობას. ნავთობმოპოვებითი მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი საბადოების აღმოჩენას. ზეგიგანტურად მიიჩნევა საბადო, რომელშიც ნავთობის საწყისი რაოდენობა აღემატება 700 მლნ. ტონას, ხოლო დანარჩენი საბადოები, სადაც ნავთობის რაოდენობა მერყეობს 70-700 მლნ. ტონამდე, მიეკუთვნება გიგანტურს. დღეისათვის აღმოჩენილია 37 ზეგიგანტური საბადო, რომელზეც მოდის მთლიანად აღმოჩენილი ნავთობის 51%. ამ საბადოებიდან 26 მოთავსებულია სპარსეთის ყურის რეგიონში. თუკი დავაჯამებთ ნავთობის რაოდენობას 37 ზეგიგანტურ და 300 გიგანტურ საბადოებზე, მივიღებთ, რომ მათ წილად მოდის მთელი ნავთობის მარაგის 80%. გარდა ამისა, ცნობილია ათასამდე საბადო, სადაც ნავთობის რაოდენობა მერყეობს 70-დან 7 მლნ.ტონამდე, მათზე მოდის მთლიანი ნავთობის 15%. შეიძლება დავასკვნათ, რომ ნავთობის მსოფლიო მარაგის 95% მოდის გამოვლენილი ნავთობსაბადოების მხოლოდ 5%-ზე.

ნახ. 2.



ჰუბერტის მრუდი გვიჩვენებს ნავთობის მოქმედი საბადოებისა და ნავთობის მოპოვების ურთიერთდამოკიდებულებას. საწყისი პერიოდისათვის ნავთობსაბადოების აღმოჩენის ტემპი მაღალია, დროთა განმავლობაში კი პროცესი ნელდება, რადგან სულ უფრო მცირდება დაუზვერავი ნავთობსაბადოების რაოდენობა. მოქმედი საბადოების აღმნიშვნელი გრაფიკი სიმეტრიულია და ზარის ფორმა გააჩნია. მას „ჰუბერტის ზარსაც" უწოდებენ. ნავთობის მოპოვების მრუდი, დროის სკალაზე გადანაცვლებულია მარჯვნივ, ვიდრე საბადოების აღმოჩენის მრუდი. ეს განპირობებულია იმით, რომ საჭიროა ჯერ საბადოების აღმოჩენა, მისი საექსპლუატაციოდ მომზადება და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ნავთობის ამოღების სამუშაოების ჩატარება.

რეალური ურთიერთდამოკიდებულება ნავთობსაბადოების აღმოჩენასა და მის ექსპლუატაციას შორის სულაც არ არის ისეთი სიმეტრიული, როგორიც „ჰუბერტის მრუდის" მიხედვითაა.

ნახ. 3




ნავთობის მარაგების 2/3 თავმოყრილია ახლო აღმოსავლეთში და ეს 10–ჯერ აღემატება სხვა ნავთობსაბადოების წარმადობას. არსებული პროგნოზების მიხედვით, 2030 წლისათვის ამ რეგიონში, დღიურ ნავთობმოპოვებას უნდა მიეღწია 50–51 მლნ. ბარელისათვის. მაგრამ პროგნოზები არ მართლდება. კერძოდ: ირანმა თავის დღიური ნავთობმოპოვების პიკს (6მლნ. ბარელი) მიაღწია 1978 წელს და დღეისათვის ცდილობს ეს მაჩვენებელი შეინარჩუნოს 3–3,5 მლნ. ბარელამდე. ქუვეითი მოიპოვებს 2,5 მლნ. ბარელს დღეღამეში. ჯამური დღიური ნავთობმოპოვება ახლო აღმოსავლეთში დღეისათვის შეადგენს 15 მლნ. ბარელს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ უკანასკნელი გიგანტური საბადოები აღმოაჩინეს 1967 წელს – ალიასკაზე, 1968 წელს – ციმბირში და 1969 წელს – ჩრდილოეთის ზღვაში, ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ჰუბერტის მრუდის ტრანსფორმირება.

ნახ. 4

**ჰუბერტის მრუდის ტრანსფორმაცია - ჩვენეული ვერსია**



ტრანსფორმაციის მიხედვით მრუდი „ზარის" ფორმის კი არ იქნება, არამედ მკვეთრად დაღმავალ მონაკვეთზე გადავა. გასული საუკუნის 50–60–იან წლებში იმედოვნებდნენ, რომ ახალი საბადოების მოპოვება ჰარმონიულად გაგრძელდებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ ტექნოლოგიებს, პრაქტიკულად ახალი ზეგიგანტური და გიგანტური საბადოების აღმოჩენის ალბათობა ძალიან დაბალია, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ „ჰუბერტის მრუდი" ტრანსფორმირებული სახით წარმოგვედგინა.

ნავთობის მიწოდების შემცირების კვალობაზე იზრდება მოთხოვნა ენერგეტიკულ რესურსებზე. მოთხოვნა ენერგიაზე იმაზე მეტად იზრდება, ვიდრე 5 წლის წინ ფიქრობდნენ. იმისათვის, რომ ნავთობის მიწოდებამ გააკომპენსიროს მოთხოვნა, საჭიროა დღიურად 80 მლნ. ბარელი ნავთობის მიწოდება 2030 წლისათვის გაიზარდოს 120 მლნ ბარელამდე. ამისათვის კი საჭიროა ახალი გიგანტური საბადოს აღმოჩენა, საიდანაც შესაძლებელი იქნება დღიურად 200 მლნ. ბარელი ნავთობის მიღება, რაც როგორც ავღნიშნეთ, პრაქტიკულად გამორიცხულია.

ნავთობსაბადოების ექსპლუატაციის პიკზე (გასული საუკუნის 70–იანი წლები), პლანეტის მსახლეობის ნახევარი ნავთობს თვისობრივად არ გამოიყენებდა. ძირითადი მომხმარებლები იყვნენ ევროპა, აშშ, კანადა და ყოფილი საბჭოთა კავშირი. აფრიკა საერთოდ არ მოიხმარდა ნავთობს, აზიაში ძირითადი მომხმარებელი იყო იაპონია. დღეისათვის სურათი შეცვლილია. მხოლოდ პაპუა–ახალი გვინეა თითქმის არ მოიხმარს ნავთობს. დანარჩენ სამყაროში ნავთობის მოხმარება დღითი დღე იზრდება. რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორით:

ყველა ქვეყანა ცდილობს მიაღწიოს ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებს. მოთხოვნა ენერგეტიკულ რესურსებზე გაიზრდება მხოლოდ ინდოეთის ცხოვრების სტანდარტების ზრდის კვალობაზე. მისი ეკონომიკა სულ უფრო მრავალფეროვანი და დინამიური ხდება. ის ცდილობს ცხოვრების დონით მიუახლოვდეს მოწინავე ქვეყნებს. ჩინეთი ყოველდღიურად ზრდის ენერგომოხმარებას. 2005 წლის მონაცემებით ჩინეთში ნავთობის იმპორტი გაიზარდა 25 %–ით. ის მეორე ადგილზეა ნავთობმოხმარების მაჩვენებლით. ჩინეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 10 %–ით იზრდება. აქედან გამომდინარე, მას ესაჭიროება სულ უფრო მეტი ენერგეტიკული რესურსები.

დისჰარმონია ნავთობპროდუქტების მოთხოვნა–მიწოდებას შორის გავლენას ახდენს მის ფასზე. მსოფლიო სანავთობო ბირჟებზე დაფიქსირებულ ნავთობის ფასებზე დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან ნავთობმომპოვებელი და ნავთობიმპორტიორი ქვეყნების ბიუჯეტი დაგეგმილია ნავთობის ფასის მიხედვით. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ რუსეთი ფედერაციის 2010-2012 წლები ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ნავთობის 100 დოლარიან ფასზე 1 ბარელზე. ფასის მკვეთრი შემცირება ერთის მხრივ ნავთობის მომპოვებელ-იმპორტიორ ქვეყნებში იწვევს ეკონომიკურ კრიზისებს. ხოლო მომხმარებელ ქვეყნებში, პირიქით, მაღალი ფასია კრიზისის გამომწვევი. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს ნავთობის ოპტიმალური ფასი, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც მომპოვებელ, ისე მომხმარებელ ქვეყნებს.

რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სცენარი კრიზისის სხვადასხვა მასშტაბების დროს. რუსეთის ფედერაციისათვის ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს საბიუჯეტო შემოსავლების ნახევარს. ამიტომ ნავთობზე ფასები შემცირება გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან შემცირებას და შესაბამისად, კრიზისის გაღრმავებას. მაგრამ, შესაძლო სცენარის გათვალისწინებით, რუსეთის ბიუჯეტი იმაზე მეტს დაკარგავს, ვიდრე დაიკარგებოდა ნავთობის ფასის უმნიშვნელო შემცირებით. ნავთობის ფასის სემცირება აისახება არა მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტზე, არამედ მოსახლეობაზე, რომელსაც მოუწევს იცხოვროს 12 %-იანი ინფლაციისა და დოლართან მიმართებაში 46 რუბლის ფარგლებში.

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით:

- ევროპა შეეცდება შეამციროს რეცესია და არ გააღრმავოს კრიზისი;
- ამისათვის აუცილებელია ევროკავშირის ქვეყნებმა შეამცირონ ბიუჯეტის დეფიციტი, რათა ერთის მხრივ შეამცირონ დანახარჯები, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა;
- ევროკავშირის ყველა ქვეყანა უნდა მოქმედებდეს შეთანხმებულად;
- ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიღწეულ იქნება ეკონომიკის წლიური 4%-იანი ზრდა, ხოლო ნავთობის ფასი 1 ბარელზე შენარჩუნდება 100 §-ის ოდენობით.

"მსუბუქი კრიზისის" სცენარის მიხედვით, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს ვარიანტი À:

- ხანგრძლივი კრიზისის შეჩერება ვერ ხერხდება. ხან ერთი, ხან მეორე ქვეყანა რე-

ცესიის გავლენით განიცდის სირთულეს ვალების გადახდისას. საბიუჯეტო კონსოლიდაციის მცდელობა (ბიუჯეტების დეფიციტის შემცირება) აღრმავებს რეცესიას. ზარალდება არა მხოლოდ ევროპის სამხრეთი ქვეყნები, არამედ განვითარებული ეკონომიკური ცენტრები და ევროპის ჩრდილოეთი ნაწილი;

- მიუხედავად ამისა, ევროპელი ლიდერებ აღწევენ წარმატებას გადაარჩინონ ევროპის ცენტრალური ბანკი, შეამცირონ სავალო პრობლემები და მხარი დაუჭირონ მოთხოვნის ზრდას;

- ზოგიერთ ქვეყნებში გაგრძელდება ეკონომიკური ზრდის პროცესი, რაც ევროპისათვის იქცევა გარდამტეხ პროცესად და შეაჩერებს კრიზისის არაკონტროლირებად პროცესად ქცევას;

- ევროკავშირის ეკონომიკაში დაიწყება სტაგნაციის პროცესი (ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპი 0,3-0,7%-ის ფარგლებში,2014 წლის შემდეგ). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დაზარალდებიან საბანკო დაფინანსების შემცირებით გაზრდილი მოთხოვნის ფონზე. ნავთობის ფასი შემცირდება 75 §-მდე 1 ბარელზე;

- რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირდება 0,5-1,2 %-მდე;

მესამე სცენარის - "მძიმე კრიზისის" - მიხედვით (პირობითად 2):

- ევროკავშირის ჩამორჩენილი ქვეყნები, მიუხედავად ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისა, ვერ შეძლებენ აღადგინონ გადახდისუნარიანობა, ხოლო ევროპელი ლიდერები მოილაპარაკებენ, რათა გადაარჩინონ ერთიანი ევროპული ვალუტა;

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულება ეცემა, რაც იწვევს საბანკო სისტემის მწვავე კრიზისს. კრიზისი ვრცელდება ევროკავშირის ქვეყნებზე;

- ევროპის ცენტრალური ბანკი და ანტიკრიზისული ფონდები ხანგრძლივი და უსაფუძვლო მოლაპარაკებების შედეგად პარალიზებულია, ევროპის მდიდარი ქვეყნები მოილაპარაკებენ ახალი მონეტარული კავშირის ჩამოყალიბების შესახებ ღარიბი ქვეყნების მონაწილეობის გარეშე. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ ერევა სიტუაციაში და აკვირდება ევროპის დაცემას.

- აშშ-სა და იაპონიის ბანკების დანაკარგები მნიშვნელოვანია. მსოფლიო ეკონომიკა იზრდება მხოლოდ 1,2%-ით. ევროკავშირის ეკონომიკური ზრდა მცირდება 2,8%-ით და დიდი ხნით ვერ ახერხებს აღდგენას. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იწყება რეცესია;

- ფასები ნავთობზე მკვეთრად ეცემა, რაც განპირობებულია ერთის მხრივ იმით,რომ მცირდება მოთხოვნა აშშ-ს, ჩინეთის, ინდოეთისა და ევროპის მხრიდან, ხოლო მეორეს მხრივ - ნავთობის ბაზარზე მოქმედი ფასიანი ქაღალდების ინვესტორების, ისეთების როგორიცაა – ორგან შტანლეჲ და ოლდმან შაცჰს, ქცევით. მათ დაკარგეს რა თანხები ევროპაში, აღარ აბანდებენ ნავთობის ფასიან ქაღალდებში. ეს კი იწვევს ფასების დაცემას;

- 1 ბარელი ნავთობის ფასი მცირდება 60 §-მდე;

- რუსეთის ფედერაციაში იწყება ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღა. საექსპორტო პოტენციალი მცირდება. შესაბამისად, შემოსავლები ექსპორტიდან მცირდება 31%-მდე (2009 წელს დაეცა 36%-მდე). იწყება დევალვაცია. ეკონომიკა მკვეთრად ეცემა. იზრდება უმუშევრობა, მოსახლეობის რეალური შემოსავლები მცირდება, მასთან ერთად მცირდება სამომხმარებლო მოთხოვნა და ვაჭრობა. რუსული რუბლის დევალვაციიდან გამომდინარე, მოსახლეობა შეეცდება დანაზოგი გააკეთოს დოლარებში, ეს კი გამოიწვევს ქვეყ-

**ნავთობის ფასების დინამიკა ლონდონის ბირჟაზე**
**2010 წლის აგვისტო - 2011 წლის ოქტომბერი**



ნიდან კაპიტალის გადინებას.

2010-2011 წლებში მსოფლიო სანავთობო ბირჟებზე (ძირითადად აღებულია ლონდონის ბირჟის მონაცემები) ნავთობის ფასების დინამიკა შემდეგნაირია:

ნავთობზე ფასების ზრდა და შესაბამისად, სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდა, განვითარებულ ქვეყნებში იწვევს ინფლაციურ პროცესებს, რაც ნიშნავს ვაჭრობის არახელსაყრელ პირობებს და პირადი შემოსავლების შოკს. თუკი ნავთობის ფასების ზრდა გაგრძელდება, მისი შედეგი შესაძლებელია იყოს ხელახალი ეკონომიკური კრიზისი და რეცესია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **Matutinovich Igor - Oil and the political economy of energy I. Matutinoviæ // Energy Policy. – 2009**
2. **Влад Рутус - По ком звонит колокол Хуберта? интернет-газета"Единый мир"**
3. **http://www.encharter.org/**


### World oil reserves, production and prices


**Paata Aroshidze**

doctor of economic, associated professor of Batumi state university


Yield production - the length of time when the whole world reaches the maximum volume of oil, after which this volume is approaching its final fall. If the segment to a peak of global oil consumption is not reduced, the energy crisis could erupt, as the level of production will drop and prices will rise to a dramatic peak. King Hubert first used the theory in 1956 to accurately predict that the peak of oil production in the U.S. will be in 1965-1970 yy His model, now called "Hubert peak theory" was then repeatedly used by many countries to determine the time of peak oil production, and has been applied in other areas with limited resources. According to the model of Hubert, the volume of scarce resources will be on the chart look like a symmetrical bell, based on market demand, and produced these resources.

# ინვესტიციური პროექტების ანალიზი და შეფასება ვარიაციის კოეფიციენტით

ზაირა ღუდუშაური
ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რუსუდან პაპასკირი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფერსორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მალხაზ ფარცვანია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

საინვესტიციო საქმიანობა გარკვეულ რისკებს უკავშირდება და მათი ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. იგი სპეციალური მეთოდებისა და მათემატიკური აპარატის გამოყენებას მოითხოვს. საზღვარგარეთ ამ საქმეში ფართოდ იყენებენ მათ. მათემატიკური მეთოდების მრავალფეროვნებიდან უპირატესად გამოყენებულია თამაშთა თეორია და ალბათობის თეორია.

ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების დროს ნებისმიერი მათგანის გამოყენება ოთხ ეტაპად მიმდინარეობს. ესენია:

1. ამოცანის დასმა;
2. გადაწყვეტილების ფორმირება;
3. გადაწყვეტილების არჩევა;
4. გადაწყვეტილების შესრულება;
5. კონტროლი.

რისკების მართვის მათემატიკური მეთოდის გამოყენება ხდება ამ პროცესის მესამე ეტაპზე, კერძოდ, როცა ხდება კრიტერიუმების არჩევა. რისკმენეჯერის გადასაწყვეტია თუ მომავალი პირობების გაურკვევლობის დროს რომელი კრიტერიუმები აირჩიოს. ეს კრიტერიუმებია:

1. ვალდას კრიტერიუმი (ამ კრიტერიუმის არჩევა ნიშნავს იმას,რომ რისკმენეჯერი ყველაზე ფრთხილ (გადაჭარბებულად ფრთხილ) სტრატეგიას ირჩევს, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალურ წარმატებაზე უარესი პირობების ვარიანტის წარმოშობის დროს:

$$j = \max_{l} \min_{k} fk$$

2. ლაპლასის კრიტერიუმი ორიენტირებულია საშუალოდ მაქსიმალურ წარმატებაზე. ამ კრიტერიუმით აირჩევა სტრატეგია, რომელიც იძლევა მაქსიმალურ წარმატებას შესაძლო სიტუაციების მთელი ნაკრებისთვის საშუალოდ:

$$j = \max \frac{1}{n} \sum_{k=1}^{n} fk$$

3. მინიმალური სინანულის კრიტერიუმის დროს აირჩევა სტრატეგია, რომელსაც გააჩნია უმცირესი სხვაობა შესაძლო სიტუაციების წარმატებების შეფასებებს შორის:

$$j = \min\left( \max_{kj} fk - fkj \right)$$

4. გურევიჩის კრიტერიუმი კომპრომისზეა ორიენტირებული:

$$j = \left\lfloor a \min_{k} fkj + (1-a) \max_{k} fkj \right\rfloor$$

5. მათრემატიკური მოლოდინის კრიტერიუმი:

$$j = \max_{j} \sum_{k} PKJ \cdot FKJ$$

ამის გარდა, გამოიყენება ბაიესის, კოფმანის, ხოჯეს-ლემანის და სხვათა კრიტერიუმები.

საქართველოს პირობებში საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს ეს მეთოდები მათი სირთულის გამო არ გამოიყენება. მეტწილად გამოყენებაშია ინვესტიციური პროექტების შეფასების ეკონომიკური მეთოდები – გამოსყიდვის

ვადის, შემოსავლების წმინდა დაყვანილი ღირებულების, რენტაბელობის ინდექსის და მომგებიანობის შიგა ნორმის ანგარიში. მაგრამ ამ მაჩვენებლების ანგარიშში რისკის ფაქტორი არ არის ჩართული, ამდენად, მარტო ამ მაჩვენებლებით საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება არ არის დაზღვეული საშიშროებისაგან. ამიტომ საინვესტიციო პროექტის შეფასება აუცილებლად უნდა მოხდეს რისკის გათვალისწინებით. ამის ყველაზე მარტივი და გასაანგარიშებლადაც იოლი მეთოდია ვარიაციის კოეფიციენტის ანგარიში.

ვარიაციის კოეფიციენტი რისკის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა მაშინ, როდესაც ინვესტიციური ოპერაციის განხორციელებისაგან მოსალოდნელი შემოსავლები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. იგი იანგარიშება [1, გვ. 482]:

$$B_k = \alpha : \overline{R}$$

ფორმულაში:

$B_k$ – არის ვარიაციის კოეფიციენტი.

$\alpha$ – არის საშუალო კვადრატული გადახრა.

$\overline{R}$ – არის შემოსავლების მოსალოდნელი საშუალო მნიშვნელობა.

სხვადასხვა ინვესტიციურ პროექტებს შორის ვარიაციის მეშვეობით არჩევანის გაკეთების გასაადვილებლად ნიმუშის სახით ვიხილავთ მაგალითს:

გვაქვს ორი საინვესტიციო პროექტი, რომელთაც ურთიერთგანსხვავებული მოსალოდნელი შემოსავლები, მაგრამ ერთნაირი საბაზრო კონიუნქტურა აქვთ. საჭიროა ვიანგარიშოთ ორივე ვარიანტისთვის ვარიაციის კოეფიციენტები და მისი მნიშვნელობით გადავწყვიტოთ თუ რომელ პროექტში დავაბანდოთ კაპიტალი, დასაბანდებელი კაპიტალის მოცულობა 1 მლნ ლარია. ვიანგარიშოთ შემოსავლების საშუალო კვადრატული გადახრა (ცხრილი 1) და ვარიაციის კოეფიციენტი (ცხრილი 2).

ცხრილი 1

შემოსავლების საშუალო კვადრატული გადახრა ორივე პროექტისთვის

| საბაზრო კონიუნქტურა | მოსალოდნელი შემოსავლები (ათასი ლარი) (Ri) | მოსალოდნელი შემოსავლები (ათასი ლარი) $(\overline{R_i})$ | გადახრა საშუალოდან $(R_i - \overline{R_i})$ | გადახრის კვადრატი $(R_i - \overline{R_i})^2$ | შემოსავლის მიღების ალბათობა $(\overline{P_i})$ | $(R_i - \overline{R_i})^2 \cdot p_i$ | $\sqrt{(R_i - \overline{R_i})^2 \cdot p_i}$ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I ვარიანტი | | | | |
| მაღალი | 900 | $\frac{900+800+500}{3}$ = 734 | +167 | 27889 | 0.25 | 6972 | – |
| საშუალო | 800 | 734 | +67 | 4489 | 0.5 | 2244 | – |
| დაბალი | 500 | 734 | -233 | 54289 | 0.25 | 13572 | – |
| | | 734 | – | – | 1.0 | 22788 | 151 |
| | | | II ვარიანტი | | | | |
| მაღალი | 700 | 383 | +317 | 10049 | 0.20 | 2010 | – |
| საშუალო | 350 | 383 | -33 | 1089 | 0.60 | 653 | – |
| დაბალი | 100 | 383 | -283 | 80089 | 0.20 | 16018 | – |
| | | 383 | – | – | 1.0 | 18681 | 136 |

ცხრილი 2

ვარიაციის კოეფიციენტი ორივე პროექტისთვის

| | საშუალო კვადრატული გადახრა $(\alpha)$ | მოსალოდნელი საშუალო შემოსავალი $(\overline{R})$ | ვარიაციის კოეფიციენტი $B_k = \frac{\alpha}{\overline{R}}$ |
|---|---|---|---|
| 1. №1 პროექტი | 151 | 734 | 0.21 |
| 2. №2 პროექტი | 136 | 383 | 0.35 |
| | | | |

რადგან საინვესტიციო გადაწყვეტილება ვარიაციის დაბალი დონით აირჩევა, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ინვესტორმა განსახორციელებლად უნდა აირჩიოს №1 ვარიანტი, რადგან მისი ვარიაციის კოეფიციენტი დაბალია (0,21), რის გამოც ამ პროექტში დაბანდებულ 1 მლნ ლარს აქვს 66.7%-ით ნაკლები რისკი, მეორე პროექტთან შედარებით

$$\left(\frac{0.35-0.21}{0.21}\cdot 100 = 66.6\%\right)$$

ამასთან, პირველ პროექტს შემოსავლებიც მეტი აქვს, ვიდრე მეორე პროექტს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ცააგა, თ. აბრამია, დ. ცააგა, რისკოლოგია, თბ., 2007, გვ. 482.

## Investment Project's Analysis And The Estimation By the Ratio of Volatility

**Zaira Gudushauri**
**Full Professor of St.Grigol Peradze Teaching University**
**Rusudan Papaskiri**
**As. Professor of Sukhumi State University**
**Malkhaz Partsvania**
**As. Professor of Tbilisi State University**

**In the article:" Investment Project's Analysis And The Estimation By The Ratio Of Volatility " is discussed the best project from the different alternatives of investment activities by the ratio of volatility for investors which has a definite risk.**

**Two projects are discussed as examples in the article and the best one is the project which ratio of volatility has a minimal size.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელების საზღვარგარეთული გამოცდილება და საქართველო



ლევან მიქავა
თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი

სტატიაში განხილულია აგილობრივი თვითმმართველობის საზღვარგარეთული მოდელები: ანგლოსაქსონური (ბრიტანული), კონტინენტალური (ფრანგული) და „შერეული". ადგილობრივი ხელისუფლების თვითმმართველობის გზით განხორციელება დემოკრატიის პრინციპების რეალიზების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სახელმწიფოს დემოკრატიული განვიარებისათვის აუცილებელია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სწორად შერჩეული მოდელის დამკვიდრება და სახელმწიფოს სტრუქტურული დონეების დეცენტრალიზება. ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოსგან განუყოფელ რგოლს წარმოადგენს. ამავდროულად მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაში სრულიად დამოუკიდებელია. სხვადასხვა სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობის განსხვავებული ინსტიტუციური მოდელები ფუნქციონირებს. ერთნაირი მოდელის მქონე ქვეყნებშიც კი, ისევე როგორც მსგავსებები, თავიანთი სპეციფიკიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე ბევრი განსხვავებები არსებობს. შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის მოდელის კოპირება და საქართველოში დანერგვა. თვითმმართველობის განვითარება უპირველეს ყოვლისა უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის ბუნებრივ მდგომარეობას, მოსახლეობის ინტერესებს და მეცნიერული კვლევების შედეგად მიღებულ დასკვნებს. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს ფინანსური რესურსების გამჭვირვალე და ეფექტიანი მართვა წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობა აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ცნება „ადგილობრივი თვითმმართველობა" საზღვარგარეთის ქვეყნებში მოიცავს ორგანოების მმართველობის ორ სახეობას: ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა და აღმასრულებელი ორგანო მერის/გამგებლის ხელმძღვანელობით. წარმომადგენლობითი ორგანოს ძირითადი ფუნქციაა ადგილობრივ, ძალზედ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო აღმასრულებელ ორგანოს ევალება ამ გადაწყვეტილებების აღსრულება. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ მმართველობას და ზოგიერთ, სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ ფუნქციებს.

თანამედროვე პერიოდში საზღვარგარეთის ქვეყნებში ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობის სამი მოდელი: ანგლოსაქსონური (ბრიტანული), კონტინენტალური (ფრანგული) და „შერეული". განსხვავება ამ მოდელებს შორის უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს ადგილობრივ ორგანობს შორის და მათი სახელმწიფოსთან ურთიერთობებში.

ანგლოსაქსონური მოდელი გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები ფორმალურად წარსდგებიან თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ზემდგომ ორგანოებზე არაპირდაპირი დაქვემდებარებით. ამ მოდელისთვის დამახასიათებელია ის, რომ ადგილზე არ არიან ცენტრალური ხელისუფლების უფლებასილილი პირები, რომლებიც მეურვეობას გაუწევენ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს. წარმომადგენლობითი

ორგანოების გარდა ამ ქვეყნებში პირდაპირი არჩევნებით ხდება ზოგიერთი თანამდებობის პირის არჩევაც. მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვთ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიებს ან კომიტეტებს, რომლებსაც დიდი როლი აქვთ ცალკეული გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებაში.

ამ ქვეყნებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოღვაწეობაზე კონტროლი ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების, სამინისტროების მეშვეობით. ასეთი ქვეყნების ადგილობრივი ორგანოების პოლიტიკურ სისტემაში როლისა და ადგილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ფაქტობრივად სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელი ნაწილები არიან. რაც შეეხება ტერმინს „ადგილობრივი თვითმმართველობა", გამოიყენება ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისა და ორგანიზაციის აღნიშვნის (დანიშნულების) მიზნით და მიუთითებს მხოლოდ ერთ-ერთ კრიტერიუმზე - მათ ადგილობრივ (ლოკალურ) ხასიათზე, რომლითაც განსხვავდება სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან.

კონტინენტალური ევროპის ქვეყნებში, ფრანკოფონურ აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და ახლო აღმოსავლეთში ვრცელდება მმართველობის კონტინენტალური (ფრანგული) მოდელი. მისი განსხვავება ანგლოსაქსონურთან მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში ადგილებზე და ადგილობრივ თვითმმართველობებში ხორციელდება პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა. ეს მოდელი ბუნებრივია, რომ თავდაპირველად ჩაისახა საფრანგეთში.

კონტინენტალური მოდელი არის იერარქიული სტრუქტურა, სადაც დირექტივების გადმოცემა ხდება ზემოდან, ხოლო ქვედა დონეებიდან მიეწოდება ინფორმაცია, და სადაც სახელმწიფო ორგანოებს ჰყავთ ადგილზე მყოფი წარმომადგენლები. მოცემული მოდელი ასევე ხასიათდება თვითმმართველობის სტრუქტურაში ქვემდგომი ადგილობრივი ორგანოების ზემდგომ ორგანოებზე გარკვეული დაქვემდებარებით.

ასეთი მოდელის ჩარჩოებში ხშირად წარმომადგენლობითი ორგანოები იქმნება მხოლოდ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში. ცალკეულ დონეებზე შესაძლებელია წარმომადგენლობითი ორგანოები საერთოდ არ არსებობდეს (მაგალითად საფრანგეთის რაიონები და კანტონები). სამ ძირითად დონეზე საფრანგეთში (კომუნა, დეპარტამენტი, რეგიონი) ტერიტორიული თვითმმართველობის სუბიექტებად გვევლინება მოსახლეობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

საფრანგეთში, 80-იან წლებში გატარებული რეფორმის შედეგად, ადგილობრივი ორგანოების სხვადასხვა დონეებს შორის დაქვემდებარების ხარისხი იქნა შესუსტებული. ამ პერიოდში მიღებული კანონების შესაბამისად არც ერთ ტერიტორიულ დონეს არ შეუძლია მეურვეობა გაუწიოს სხვა დონეს, გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ რიგი მკაცრად განსაზღვრული საკითხები. სოციალურ, ჯანდაცვისა და სასოფლო საკითხებში, დეპარტამენტებისა და კომუნების მაღლა დგას რეგიონული დონე. გარდა ამისა შემსუბუქდა ცენტრის ადმინისტრაციული კონტროლი ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებზე.

განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებები ამ ორ მოდელს შორის ჩვეულებრივ არ ატარებს პრინციპულ ხასიათს, ისინი გარკვეულ სიახლოვეში არიან ერთმანეთთან, განსაკუთრებით კი საფრანგეთში და დიდ ბრიტანეთში 80-იან წლებში გატარებული რეფორმების შემდეგ. ორივე მოდელის ფუნქციონირება იგება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ჩვეულ, ბევრ მსგავს პრინციპებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძირითადი სისტემა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ფორმირდება უშუალოდ მოსახლეობის მიერ თავისუფალი, შეჯიბრებითი არჩევნების შედეგად.

რიგ განვითარებად ქვეყნებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ანგლოსაქსონური ან კონტინენტალური მოდელი დეკორაციულ სახეს ატარებს. თავისი არსით ავტორიტარული პოლიტიკური სისტემისთვის, რომლის ჩარჩოებშიც მოსახლეობის ნების გამოვლენა არჩევნებზე არ არის დამოუკიდებელი და აქვს წინასწარ ორიენტირებული ხასიათი, ასეთი ადგილობრივი თვითმმართველობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი.

გერმანიის, იაპონიის, ავსტრიის და სხვა ზოგიერთ ქვეყნებში ადგილობრივ თვითმმართველობას ორივე მოდელთან აქვს მსგავსება, ამასთან ფლობენ ზოგიერთ თავიანთ სპეციფიკურ თვისებებს. ეს კი განაპირობებს „შერეული" ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელის ცალკე გამოყოფას.

თანამედროვე განვითარების ქართულ საზოგადოებაში იზრდება საკითხების პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ამ მხრივ მაღალ აქტუალურობას ინარჩუნებს პოლიტი-

კური გამოცდილების შესწავლისა და გამოყენების პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. 90-იანი წლების შემდეგ, საზოგადოებაში კარდინალური პოლიტიკური ცვლილებების გავლენის შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობისადმი ინტერესი აშკარად იზრდება. ამას ადასტურებს სხვადასხვა სამოქალაქო და ბიზნეს სექტორების ჩართულობა და გააქტიურება.

90-იანი წლებიდან საქართველოში ყალიბდება პრინციპულად ახალი პოლიტიკური სისტემა. ადგილობრივ თვითმმართველობას, რომლის განსხვავებული ფორმები კულტივირდებოდა რევოლუციამდელ და საბჭოთა საზოგადოებაშიც, არსებითი და დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ დამოკიდებულებაში. მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები, ხაზს უსვამს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობას. 1998 წლიდან თბილისის თვითმმართველობისათვის მიღებული იქნა „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" კანონი, რომელიც განსაზღვრავს თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსს, თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებებს და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლებს. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის მეშვეობით.

თვითმმართველობის ზემოთ აღნიშნული ფორმა არც საბჭოთა და არც მონარქიულ სახელმწიფოებში არ არსებობდა. ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია დასავლური განვითარების ქვეყნებისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურაში შემოღებული იქნა ახალი რგოლი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. აღნიშნული ფორმა მიუთითებს ორდონიან მმართველობაზე.

მიზანშეწონილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისადმი კონსტიტუციური მიდგომის საფუძვლად უნდა იდოს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და ერის კულტურულ-ტრადიციული მახასიათებლები.

ადგილობრივი თვითმმართველობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის ინტერესები. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიითა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრება და მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მოხდება თვითმმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. აღნიშნული საკითხები დაკავშირებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფასთან. ამასთან შეიძლება გამოიყოს საკითხთა ნუსხა, რომლებიც ადგილობრივ პრობლემას წარმოადგენს მაგრამ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე (მაგ: ფინანსური) მოითხოვს რამოდენიმე თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კოორდინაციას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ადგილობრივმა ხელისუფლებებმა მიმართონ ურთიერთთანამშრომლობას. ამ მიზნით უნდა დაიხვეწოს საქართველოს კანონმდებლობაც. ასეთი მიდგომა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას უფრო მოქნილს გახდის.

2005 წლიდან საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულია ახალი კანონები: საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ"; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ"; საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზნებსა და წესებს, განსაზღვრავს ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, მათ უფლება-მოვალეობებს ზედამხედველობის სფეროში, ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივ გარანტიებს. სახელმწიფო ზედამხედველობა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმი-

ანობის კანონიერებას და მიზანშეწონილობას. ზედამხედველობის სახეებია: სამართლებრივი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობა.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის რეგულირების სფეროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების კატეგორიების, მისი შექმნის წესისა და ქონებრივი უფლებების (გარდა ბუნებრივი რესურსებისა,რომლებით სარგებლობა და რომელთა ფლობა და განკარგვა რეგულირდება საქართველოს სპეციალური კანონმდებლობით) განსაზღვრა. ასევე არეგულირებს თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე, საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. საბიუჯეტო კოდექსი ხაზს უსვამს ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობას, ამასთნ, შენარჩუნებულია ერთიანობის პრინციპები. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები 2013 წლიდან ბიუჯეტს ადგენენ პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის,რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

აღნიშნული კანონების მიღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და აამაღლა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ხარისხი.

გასულ წლებში ჩატარებული რეფორმების შედეგად ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ".

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, საქართველოში თვითმმართველობის საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ უთანაბრდება საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახოს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც საერთაშორისო გამოცდილებაზე, ისე ადგილობრივ კულტურულ-ტრადიციულ მახასიათებლებზე. აუცილებელია თვითმმართველობის სისტემის უფრო მეტი დეცენტრალიზაცია, შემდგომში მოსახლეობის თანაბარი და ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად. დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა,ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და სწორად შერჩეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ხელს შეუწყობს საქართველოში რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:\

1. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";
2. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ";

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

3. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ";
4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
5. А.А.Васильев, Модели местного самоуправления в зарубежных странах, 17.06.2013г;
6. В.Т. Батычко, Муниципальное право, Конспект лекций, 2010 г.;
7. Бутенко В.А. Муниципальный менеджмент. 2003 г.;
8. www.parliament.ge;
9.www.mof.ge.

## Foreign models of local self-government and Georgia

**Levan Mikava**
Head of division of Financial Management
Office of Tbilisi City Hall

The article deals with foreign models of local self-government: Anglo-Saxon (British), Continental (French) and "Mixed". When local government has a form of self-governance, it is a strong base for democratic values' implementation in life. Development of democracy in the country requires that model of administrative-territorial system should be chosen properly and levels of governing should be decentralized.

Local self-government is integral part of the state. Meanwhile, taking into consideration interests of local inhabitants, local self-government is completely independent in execution of its authority.

Different countries use different institutional models of local self-government. But even if some countries use the same model, along similarites there are differences according to their peculiarities and traditions.

For Georgia it is impossible to fully imitate working model of some other country. Development of self-governance should be based on natural circumstances of the country, concerns of local population and scientific investigations of the issues. The main part of self-governance execution is transparent and effective financial management.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინერალური წყლის მოსაკრებლის ახალი ტარიფები



თამთა ფეტელავა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლის IV კურსის სტუდენტი

ნაშრომში განხილულია მინერალური წყლის მოხმარების მოსალოდნელი ტარიფები საქართველოში. ასევე, მთავრობის, მინერალური წყლების კომპანიებისა და მომხმარებლების მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ჩატარებულია კვლევაც, რომელიც მომხმარებლების პოზიციის ასახვას ემსახურება.

ბუნებრივია, მინერალური წყლის მწარმოებელი კომპანიები მინერალურ წყალზე დაწესებულ მოსაკრებლებს იხდიდნენ და დღემდე იხდიან, თუმცა ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო საუბარი მოსაკრებლების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით. დღევანდელმა მთავრობამ მინერალური წყლის მოსაკრებელი ძალიან იაფად მიიჩნია და მაგალითისთვის აღნიშნა, რომ კომპანია „ბორჯომი" ტონა წყალში მხოლოდ 10 ლარს იხდის, ერთ ბოთლს კი ლარად ყიდის და რომ ეს ყველაფერი კომპანიის მხრიდან ასმაგ მოგებაზე მიუთითებს. შესაბამისად, წამოვიდა ინიციატივა წყალზე მოსაკრებლის გაზრდასთან დაკავშირებით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მინერალურ წყალზე მოსაკრებელი სამჯერ, ხოლო მტკნარ წყალზე ორჯერ გაიზრდება. „ვფიქრობ, მინერალური წყალი უფრო ძვირი უნდა ღირდეს, ვიდრე მტკნარი წყალი. რაც შეეხება ბრენდის მოსაკრებელს, „ბორჯომის" შემთხვევაში 10 ლარის ნაცვლად 30 ლარი იქნება, „ნაბეღლავის" - 6-ის ნაცვლად 18, „საირმის" – 6-ის ნაცვლად 18, ხოლო „უწერას" 4-ის ნაცვლად 12 ლარი. კომპანიებს ამის დასაფარად დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებათ, რადგან ხარჯების ოპტიმიზაციის საკმაოდ დიდი რესურსი აქვთ. ვიმედოვნებ, რომ მოსაკრებლის ზრდას კომპანიები სამომხმარებლო ბაზარზე არ ასახავენ. გაზრდილი მოსაკრებლით მობილიზებული თანხა კი იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გადაირიცხება, საიდანაც ბუნებრივი რესურსის მოპოვება ხდება" - აცხადებს მინისტრი.

მთავრობის ახალ ინიციატივას უკმაყოფილებით შეხვდნენ წყლის მწარმოებელი კომპანიები. ნაწილმა გააჟღერა მოსაზრება, რომ მუშაობას გააჩერებდა. მაგალითად, კომპანია „ფლატეს" დირექტორის განცხადებით, წყალზე ბუნებრივი მოსაკრებლის გაზრდის შემთხვევაში მწარმოებელ ქარხანაში სამასზე მეტი ადამიანი დარჩება უმუშევარი და კომპანია გაკოტრდება.

კომპანია „საირმეს" მწარმოებლები აქცენტს კონკურენტუნარიანობის შემცირებაზე აკეთებენ და საექსპორტო შეთანხმების გაუქმებას არ გამორიცხავენ. დახურვის საფრთხის წინაშე დგას კომპანია „რაჭის წყალიც".

ახალ მოსაზრებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა კომპანია სს „წყალი მარგებელი"-ს მხრიდანაც. „გვინდა განვმარტოთ, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩვენს კომპანიას არავინ დაკავშირებია. შემთხვევით გაგებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციის ოფიციალურად გამოცხადებამდე ორი დღით ადრე, ჩვენი ინიციატივით გაიმართა შეხვედრა და კონსულტაცია გარემოს დაცვის სამინისტროში, თუმცა სხვა შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის ინიციატორიც მთავრობის ეკონომიკური ჯგუფები იქნებოდა, არ შემდგარა" - აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები.

5 წლის წინ კომპანია სს"წყალი მარგებელმა" აუქციონზე შეიძინა ნაბეღლავისა და ბახმაროს წყლების მოპოვების 25 წლიანი ექსკლუზიური ლიცენზია. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ გადასახადის გაზრდით ხდება ამ ლიცენზიის პირობების გადახედვა. ეს კი ნეგატიურად აისახება როგორც კონკრეტულ საწარმოზე, ისე ბიზნეს გარემოზე. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედებს ექსპორტზე, რადგან უცხოელ პარტნიორებთან გრძელვადიანი კონტრაქტების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერმა თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო

ცვლილებამ შესაძლოა ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი წარმოშვას. ამასთან, ბუნებრივი რესურსის სარგებლობის მოსაკრებლის გაზრდით „წყალი მარგებელი"-ს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრენდს უწევს გაცილებით მეტის გადახდა, ვიდრე მსოფლიოში არსებულ ცნობილ ბრენდულ მინერალურ წყლებს, რომლებსაც ასწლიანი ისტორია გააჩნიათ.

კომპანიაში აცხადებენ, რომ ანალოგიური ტიპის წყლებში შეუძლებელია განვითარებაზე საუბარი, თუ სისტემურად არ ხდება ბურღილებისა და საბადოების კვლევა, რადგანაც სწორედ კვლევებისა და ექსპერიმენტების მეშვეობით ხდება შესაძლებელი საბადოებში მინერალური წყლის რაოდენობის ზრდის პოტენციალის დადგენა და ხარისხობრივი მაჩვენებლების სტაბილურად შენარჩუნება. წყლის რესურსებზე გადასახადის გაძვირებით კი ექსპერიმენტის ჩატარების ყოველგვარი ფინანსური შესაძლებლობა მოისპობა. კომპანიისთვის შემდეგი და მნიშვნელობით არანაკლები პრობლემაა გადასახადის გაზრდის გავლენა მტკნარი (ე.წ. უგაზო) წყლის კონკურენტუნარიანობასა და საექსპორტო პოტენციალზე, რაც ფაქტობრივად კანონის შემოღებასთან ერთად არაკონკურენტუნარიანს გახდის ექსპორტს და ქართულ კომპანიებს პრობლემებს შეუქმნის შიდა ბაზარზეც.

„აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დროში ემთხვევა ბუნებრივი რესურსის სარგებლობის გადასახადის 200%-ით გაზრდა არა აქციზური საქონლის ელექტრონული მარკირების შესახებ კანონის ამოქმედებას, რაც ძლიერ ფინანსურ დარტყმას აყენებს ქართულ კომპანიებს. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობაში ასეთი ცვლილებები კომპანიებისთვის გონივრული დროით ადრე უნდა ხდებოდეს ცნობილი, რათა მოვახდინოთ გრძელვადიანი გეგმების სიტუაციისადმი მორგება და კომპანიის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენი კომპანია ახორციელებს სისტემატიურ და მნიშვნელოვან ინვესტიციას სოფლის მეურნეობის სფეროში და უზრუნველყოფს ინოვაციური საწარმოების - „მარნეულის სასურსათო ქარხანა", „მარნეული აგრო" და თელეთის „ფერმა მარგებელში" - განვითარების მხარდაჭერას. სტაბილური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, აღნიშნული საწარმოები, მომდევნო წლებშიც საჭიროებს უწყვეტ ფინანსურ დახმარებას ფეხზე დასადგომად. ამ გადასახადების შემოღებამ კი შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის სფერო ქვეყნისთვის, ნომერ პირველ პრიორიტეტადაა გამოცხადებული. იმედს ვიტოვებთ, რომ შესაძლებელი იქნება შეხვედრა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მთავრობასა და პარლამენტში, რათა გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრებები და უფრო დეტალურად განვუმარტოთ ჩვენი პოზიცია. აგრეთვე, მივიღოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, არის თუ არა წინასწარ გათვლილი, რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ზემოაღნიშნული კანონების ამოქმედებამ და როგორი იქნება გარდაუვალი ფასების მატებასთან ერთად ფისკალური ეფექტი ქართული კომპანიებისა და ქვეყნის ბიუჯეტისთვის" - ნათქვამია განცხადებაში.

მთავრობის ინიციატივით კმაყოფილი არც კომპანია „ბორჯომი" აღმოჩნდა. „ბორჯომი" კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას, კომპანიისთვის ისედაც ყველაზე მაღალი გადასახადის არსებობაზე აკეთებს აქცენტს და აცხადებს, რომ მისი ძირითადი შემოსავალი ექსპორტზეა დამყარებული და გაძვირება სერიოზულად იმოქმედებს უცხოურ ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობაზე. ამასთან, იმასაც აღნიშნავს რომ კომპანიამ ბრენდის განვითარებისთვის დიდი ძალისხმევა დახარჯა და ათეულობით მილიონის ინვესტიცია განახორციელა. მთავრობის ახალი ინიციატივის გამო კი „ბორჯომის" დღევანდელი პოზიციები საექსპორტო ბაზრებზე რისკის ქვეშ დადგება და სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მისი მომავალი განვითარების პერსპექტივებს. „ბორჯომის"-თვის ბუნებრივ რესურსებზე მოსაკრებელი ბაზარზე ისედაც ყველაზე მაღალი იყო და 5,9 ევროს შეადგენდა 1 მ/3-ზე, მაშინ როცა საქართველოში არსებული მინერალური წყლის სხვა კომპანიებისთვის მოსაკრებელი მხოლოდ 1 მ/3 -ზე 4,1 ევრო იყო.

თუ მთავრობის ინიციატივა დაკანონდა, მაშინ ახალი მოსაკრებელი დსთ-სა და ევროპის მასშტაბით მეორე იქნება სიდიდით. ერთადერთი ქვეყანა, სადაც კომპანიებს უფრო მეტი გადასახადი აქვთ არის საფრანგეთი, თუმცა საფრანგეთში მინერალური წყლის მწარმოებელი კომპანიები შეღავათიან რეჟიმში იხდიან დღგ-ს (დამატებითი ღირებულების გადასახადი) გადასახადს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ქვეყანაში დღგ 19%-ია, წყლის მწარმოებლებისთვის ის 7%-ით განისაზღვრება. დსთ-სა და ევროპის სხვა ქვეყნებში კი მოსაკრებლის დონე 1 მ/3 -ზე 0,1 - დან 5,7 ევრომდე მერყეობს.

ერთი შეხედვით რთულია ყველაფერ იმის განსაზღვრა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მო-

საკრებლის მოცულობის ცვლილებას. თუმცა ცხადია, შემოდგომაზე კანონში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, მინერალური წყლისთვის დადგენილი მოსაკრებელი 3-ჯერ გაიზრდება და „ბორჯომის" წყლისთვის 1 კუბ.მ-ზე - 30 ლარი „ნაბეღლავისთვის" კი – 18 ლარი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ"
2. http://www.for.ge/view.php?for_id=22592&cat=1
3. http://www.commersant.ge/?page=news&id=548
4. http://www.weeknews.ge/?p=13991
5. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00—off-0period—00-1—0-10-0—0—0prompt-10—4———0-0l—11-ka-50—20-help—00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.7&d=HASH265c48428995a99fceaeae.4.3
6. http://www.epn.ge/?p=144663
7. http://www.epn.ge/?p=144701
8. http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=14229%3A2013-05-25-17-22-03&catid=945%3A2011-12-20-02-05-02&Itemid=126&lang=en
9. http://www.kvirispalitra.ge/economic/16641-zemogeba-thu-vai-mosakreblisgan.html
10. http://nabeghlavi.com.ua/
11. https://www.facebook.com/Nabeghlavi/info
12. http://www.sairme.ge/geo/company.php?key=2
13. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00—off-0period—00-1—0-10-0—0—0prompt-10—4———0-0l—11-ka-50—20-help—00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.7&d=HASH265c48428995a99fceaeae.4.3
14. http://www.shovi.ge/index.php?cid=36&lang=geo
15. http://moe.gov.ge/index.php?sec_id=42&lang_id=GEO
16. http://naloglib.net/004/nalogooblozhenie-prirodnykh-resursov-v-razvitykh-stranakh?page=0,0


**Mineral water consumption new tariff**


**Tamta Fetelava**
**Fourth year student of Ilia State University Business School**



**This article is about natural water resources consumption tax in Georgia. There are described present and "possible future" prices of mineral water consumption tax. Also, there are stated government, companies and customers views about "possible future" prices. There is made a survey which shows customers satisfaction with the situation on mineral water market and their possible behaviors.**

# კომერციული ბანკების რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში

თათია ქოქუაშვილი
ანა დიასამიძე
ანა ლაგაზიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და მართვის სკოლის
მე-2 კურსის სუდენტები

ტატიაში მიმოხილულია ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სისტემის განვითარება, რომელმაც გაიარა განითარების გრძელი გზა და საინტერესო ისტორია. ის საბოლოო, დღევანდელი სახით ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის ბოლოსთვის. აშშ-ს ფინანსურ ინსტიტუტებში არსებულ მნიშვნელოვან მოთამაშეებს შორის დიდ როლს თამაშობენ ცენტრალური ბანკები. ცენტრალური ბანკები ადგენენ საპროცენტო განაკვეთს, კრედიტების რაოდენობას, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, ინფლაციის დონეს, ყველაფერს რასაც აქვს გავლენა არა მარტო ფინანსურ ბაზრებზე, არამედ მთლიანად ეკონომიკაზე.

დღესდღეობით ამერიკული საბანკო სისტემის მოდელი ფასდება როგროც ერთ – ერთი სრულყოფილი მსოფლიოში და ბევრი ქვეყანა მისგან მაგალითს იღებს. მთავარი როლი ამ სისტემაში უკავია ფედერალურ სარეზერვო სისტემას, რომლის კონტროლის ქვეშ არის ათასობით ბანკი, ასევე სხვადასხვა საშტატო ფედერალურ ორგანო, რომლებიც ყოველწლიურად ატარებენ აუდიტს ყველა კომერციულ ბანკში.

ფინანსურ ინსტიტუტებში არსებულ მნიშვნელოვან მოთამაშეებს შორის დიდ როლს თამაშობენ ცენტრალური ბანკები. ცენტრალური ბანკები ადგენენ საპროცენტო განაკვეთს, კრედიტების რაოდენობას, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, ინფლაცისს დონეს, ყველაფერს რასაც აქვს გავლენა არა მარტო ფინანსურ ბაზრებზე, არამედ მთლიანად ეკონომიკაზე.

როდესაც ცენტრალურ ბანკებზე გვაქვს ლაპარაკი, შეუძლებელია არ განვიხილოთ აშშ – ს ცენტრალური ბანკი ანუ ფედერალური სარეზერვო სისტემა რადგან მას როგორც უდიდეს ცენტრალურ ბანკს აქვს დიდი გავლენა მთლიანად მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე. ყველა ცენტრალურ ბანკს შორის ფედს აქვს ალბათ ყველაზე უჩვეულო სისტემა.

ფედერალური სარეზერვო სისტემა ეს პირველ რიგში არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი, მეორე – ეს არის ბანკი ბანკებისთვის და მესამე ეს არის ამერიკის სახელმწიფოს ბანკი.

პირველი ცენტრალური ბანკის გახსნის მცდელობა იყო ჯერ კიდევ 1791, მაგრამ სამწუხაროდ ამ ბანკს თითქმის არ ჰქონდა ძალაუფლება და ის ვერ აკონტროლებდა დიდ კომერციულ ბანკებს, მეორე ცენტრალური ბანკი შეიქმნა 1816 წელს, მაგრამ ეს მცდელობაც არ იყო წარმატებული, რადგან ვერ აკონტრეოლებდა ბანკების საქმიანობას და იმის გამო რომ ბანკებს აქვთ დიდი ზეგავლეა ამერიკის ეკონომიკაზე, „გლას – სტიგალი"-ს აქტის მიხედვით ამერიკაში ბანკები იყოფიან კომერციულ და საინვესტიციო ბანკებად. მაგრამ ამის მიუხედავად ფედერალური სარეზერვო სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ აკონტროლებს კომერციული ბანკების საქმიანობას და იყოფს ამ ფუნქციას განსაკუთრებულ ფედერალურ და შტატის კონტროლის ორგანოებთან. 1913 წელს აშშ – ს პრეზიდენტმა უდრო უილსონმა მიიღო კანონი ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე, რომლის საფუძველზე შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა, ეს იყო კლასიკური მაგალითი, კომპრომისის - სახელმწიფოსა და დამოუკიდებელ ცენტრალურ ბანკს შორის. დიდი რეფორმები ჩატარდა 1933 და 1935 წლებში, დიდი დეპრესიის პერიოდში როდესაც რუზველტმა მოახდინა ამერიკული კაპიტალიზმის „სოციალიზაცია", იმავე პერიოდში შეიქმნა მმართველთა საბჭო, რომლის ხელში მოხდა ისეთი ინსტრუმენტების კონტროლი, როგორიცაა ოპერაციები ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო ნორმა და დისკონტის განაკვეთი.

ფედერალური სარეზერვო სისტემა შედგება:

1. მმართველთა საბჭო – საბჭოს 7 წევრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ და მტკიცდება სენატში 14 – წლიანი ვადით. საბჭო ახორციელებს კონტროლს ფედერალურ ბანკებზე და გადაწყვეტილების მიღების დროს მათ მონაცემებს ემ-

ყარება. ეს საბჭო ამტკიცებს ფედის ბიუჯეტს და ირჩევს ყოველი ფედერალური ბანკის პრეზიდენტს და ვიცე- პრეზიდენტს.

2. ფედერალური სარეზერვო ბანკები – აშშ – ის ფედში შედის 12 ფედერალური ბანკი, რომლების ფილიალები განლაგებული სახელმწიფოს 25 ქალაქში.

ყოველ ფედერალურ ბანკს ჰყავს საბჭო რომელიც შედგება 9 წევრებისგან. საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ამ ბანკის ყოფილი პრეზიდენტი.

ფედერალური ბანკები ძირითადად შემოსავალს იღებენ ვალუტაში და ფასიან ქაღალდებში კაპიტალდაბანდებებიდან ასევე პროცენტებიდან გაცემულ კრედიტებზე, ეს შემოსავლები იხარჯება ფედისთვის გადასახადის გადახდისთვის. ყოველწლიურად ბანკების საქმიანობას ამოწმებს აუდიტი, ხოლო დარჩენილი შემოსავალი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკები – ყოველი სარეზერვო ბანკი არის სააქციო საზოგადოება, რომლის აქციები ეკუთვნის ამ ოლქის წევრ ბანკებს. აქციების შესყიდვა სავალდებულოა და ინვესტიციების რაოდენობა განსაზღვრულია კანონით: კაპიტალის სამი პროცენტი. ამ აქციების გაყიდვა აკრძალულია. წევრი ბანკის სტატუსი იმით არის კარგი, რომ ის ასეთ ბანკს საშუალებას აძლევს აიღოს სესხი თავისი ოლქის ფედერალური სარეზერვო ბანკისგან და ასევე მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

4. ღია ბაზარზე ოპერაციების ფედერალური კომიტეტი – ღია ბაზარზე ოპერაციები არის ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფულად – საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი. ეს კომიტეტი დაკავებულია აშშ – ს ფასიანი ქაღალდების ყიდვა – გაყიდვით. კომიტეტის თავმჯდომარედ ირჩევენ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო მის მოადგილედ ნიუ-იორკის სარეზერვო ბანკის პრეზიდენტს.

ფედერალური სარეზერვო სისტემა ფუნქციონირებს როგროც აშშ–ს ფედერლური მთავრობის დამოუკიდებელი ორგანო. კანონმდებლობაში მითითებულია რომ ფედი არის კონგრესის სამუშაო ორგანო, და იმის მიუხედავად რომ პრეზიდენტი ნიშნავს მმართველთა საბჭოს წევრებს, მისი გადაწყვეტილება მაინც მტკიცდება სენატში. ფედერალური სარეზერვო სისტემა წარმოადგენს კონგრესის ერთ–ერთ ორგანოს და მარტო ამით არის დამოკიდეული სახელმწიფოზე, სხვა მხრივ, ის თავის ქმედებებში დამოუკიდებელია. იმის გამო რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა წარმოადგენს აშშ–ს კონგრესის ორგანოს ის მას ყოველწლიურად წარუგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ის ასევე ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში კონგრესის მოთხოვნით გადასცემს მას ნებისმიერი ინფორმაცია. 1975 წლიდან კონტროლი ფედ-ზე გამკაცრდა და მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს კონგრესის წევრებთან ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების წინ, ასევე 1978 წელს მიღებული „ჰემფრი – ჰოუკინსის" კანონი აიძულებს ფედერალურ სარეზერვო სისტემას წარუდგინოს ანგარიში აშშ–ს კონგრესს და ყოველ ნახევარ წელიწადში აცნობოს მას თავისი ძირითადი პოზიციები ფულად–საკრედიტო პოლიტიკასთან მიმართებაში.

აშშ–ს საბანკო სისტემა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. კერძოდ, არსებობს როგორც ფედერალური ბანკები, ასევე საშტატო დონეზე მომუშავე ბანკები. აშშ–ში ფუნქციონირებს როგორც კომერციული, ასევე საინვესტიციო ბანკები და ასევე ფედერალური სარეზერვო სისტემის 12 ბანკი. აშშ–ში არსებული ბანკების რაოდენობა 15 ათასამდეა.

თანამედროვე საბანკო სისტემა შეიქმნა 1980 წელს, როდესაც თავისი საბოლოო სახე მიიღო კანონმა ფედერალური სისტემის შესახებ და ასევე შემუშავდა რიგი სხვა კანონი, რომელიც არეგულირებდა საბანკო სისტემას და განიხილავდა მას როგროც საერთო ერთიან სისტემას.

პირველი კომერციული ბანკი გაიხსნა 1811 წელს და არსებობდა 20 წლის მანძილზე, შემდეგ ბანკები გაიხსნა რამდენიმე განვითარებულ შტატში. იმ დროს არ იყო დარეგულირებული საბანკო სისტემა, ეს იყო გამოწვეული იმითაც რომ არ არსებობდა ძლიერი ცენტრალური ბანკი, ამიტომ ბანკი რეგულირდებოდა მხოლოდ შტატების დონეზე და ერთმანეთთან კავშირიც არ გააჩნდათ.

განსაკუთრებით ბანკების რაოდენობა გაიზარდა 1815 წლისთვის, როდესაც ბანკების რაოდენობამ მიაღწია 120-ს. თუმცა, ამ პერიოდის მთავარ პრობლემად რჩებოდა ფედერალური სისტემის არარსებობა რაც ხელს უშლიდა კლირინგს. 1913 წელს მიიღეს კანონი „სარეზერვო სისტემის შესახებ", რომელმაც გააერთიანა ქვეყნის ყველა ბანკი და დაარეგულირა ფულად – საკრედიტო პოლიტიკა.

აშშ – ში არის ბანკების რეგულირების რამდენიმე დონე, რეგულირება სახელმწიფო დონეზე და საშტატო დონეზე. ბანკებს შეუძლიათ აირჩიონ ან დაემორჩილონ ფედერალურ კანონმდებლობას ან შტატების კანონმდებლობას. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მათ შორის განსხვავება არის შეუმჩნეველი მომხმარებლისთვის, თუმცა დიდი

მნიშვნელობა აქვს ბანკებისთვის და მათ რეგულირებისთვის.

შტატის ბანკები იღებენ თავის ჩარტერს და რეგულირდებიან თავისი შტატის ორგანოების მიერ. ბანკებს ასევე აქვთ უფლება მიეკუთვნონ ფედერალურ სარეზერვო სისტემას, ანუ აირჩიონ სახელმწიფო კონტროლი, რის არჩევის მერე ისინი თავისუფლდებიან თავისი შტატის რეგულირებისგან და ხდებიან ნაციონალური ბანკები. საბოლოოდ კი უმეტეს შემთხვევაში ისინი ხდებიან ფედერალური სარეზერვო სისტემის შემადგენლობაში.

კანონი „ფინანსური მოდერნიზაციის შესახებ" ასევე ცნობილი თავისი ინიციატორების გვარებით „გრემი–ლიჩ–ბლაილის" აქტი, რომელიც მიღებულ იქნა აშშ–ს კონგრესიის მიერ 1999 წლის 4 ნოემბერს და ხელმოწერილი აშშ–ს რეზიდენტის მიერ იმავე წლის 12 ნოემბერს.

კანონმა გააუქმა მნიშვნელოვანი შეზღუდვები ფინანსურ სფეროში, რომელიც შეტანილ იქნა „გლა–სიგალი"–ს აქტით 16 ივნისს 1933 წელს, რითაც მთლიანად შეცვალა საბანკო სისტემა და ასევე დაუშვა საბანკო კონგლომერატების წარმოქნა.

ამ კანონის მიღებით წარმოიქმნა ფინანსურ სფეროში სამი დიდი კომპანიის შექმნის შესაძლებლობა:

1. საბანკო საჰოლდინგო კომპანია (კომერციული, საინვესტიციო ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიის გაერთიანება);
2. ფინანსური საჰოლდინგო კომპანია (კომერციული და საინვესტიციო ბანკების გაერთიანება);
3. უნივერსალური ბანკები (ითავსებს ყველა ბანკის ფუნქციას და მომსახურებას).

ამ კანონის შედეგია ის რომ 2005 წლისთვის აშშ–ში არსებობდა 469 ფინანსური ჰოლდინგი და 15 საბანკო ჰოლდინგი, რომლების საერთო აქტივების რაოდენობა შეადგენდა 9 ტრილიონი აშშ დოლარს.

აშშ–ს საბანკო სისტემის განვითარებამ გაიარა დიდი ისტორია და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა მე–20 საუკუნის ბოლოსთვის. ფინანსურ ინსტიტუტებში არსებულ მნიშვნელოვან მოთამაშეებს შორის დიდ როლს თამაშობენ ცენტრალური ბანკები. ცენტრალური ბანკები ადგენენ საპროცენტო განაკვეთს, კრედიტების რაოდენობას, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, ინფლაციის დონეს, ყველაფერს რასაც აქვს გავლენა არა მარტო ფინანსურ ბაზრებზე, არამედ მთლიანად ეკონომიკაზე.

დღესდღეობით ამერიკული საბანკო სისტემის მოდელი ფასდება როგორც ერთ – ერთი სრულყოფილი მსოფლიოში და ბევრი ქვეყანა მისგან მაგალითს იღებს. მთავარი როლი ამ სისტემაში უკავია ფედერალურ სარეზერვო სისტემას, რომლის კონტროლის ქვეშ არის ათასობით ბანკი, ასევე სხვადასხვა საშტატო ფედერალური ორგანო, რომლებიც ყოველწლიურად ატარებენ აუდიტს ყველა კომერციულ ბანკში.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://www.federalreserve.gov/
2. http://www.federalreserve.gov/faqs/about_12594.htm
3. http://www.federalreserve.gov/bankinforeg/reglisting.htm
4. http://www.federalreserve.gov/bankinforeg/
5. http://www.federalreserveeducation.org/about-the-fed/structure-and-functions/banking-supervision/
6. http://www.federalreserveeducation.org/about-the-fed/structure-and-functions/


**Commercial banks regulation in Unites States**


**Tatia Qoquashvili**
**Ana Diasamidze**
**Ana Lagazidze**
second steps students of Grigol Robaqidze Universiti



U.S. - has a long history of development of the banking system and finally formed in the - end of the 20th century. Central Banks are important players among financial institutions. Central banks set the interest rate, loan amount, the quantity of money in circulation, inflation level, everything that has an impact not only on the financial markets but also on the entire economy. Currently, the American banking system model is evaluated as a perfect and a lot of countries take an example from it. The Federal Reserve System has the main role in this system. There are thousands of banks under its control, also federal agencies, which conduct an annual audit of all commercial banks.

# ბუნებრივი მონოპოლიის არსი და მისი რეგულირება საქართველოში (სემეკ-ის მაგალითზე)



ნინა ხომერიკი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის მე-3 კურსის სტუდენტი

ნაშრომში გაანალიზებულია ბუნებრივი მონოპოლიის არსი, შესაბამისად აღნიშნულია, რომ წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბუნებრივი მონოპოლიის დროს ბაზარზე ერთი მეწარმე სუბიექტია, რადგან საწარმოო დანახარჯები უფრო ნაკლებია.

ამასთან კრიტიკულადაა მიმოხილულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის საქმიანობა საქართველოში, სადაც აღნიშნულია, რომ:

- სემეკი არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი ხარჯები იფარება რეგულირების საფასურის გადამხდელთა მეშვეობით. ნებისმიერე მეწარმე სუბიექტი, რომელიც დააპირებს ბიზნესის დაწყებას კომისიის მიერ დაქვემდებარებულ საქმიანობის სფეროში ვალდებულია გადაიხადოს ზემოთხსენებული საფასური. აქედან გამომდინარე საჭიროა შეიცვალოს არსებული დაფინანსების მოდელის შეცვლა. ეს დაფინანსების სისტემა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კომისიის შემოსავალს, ეჭვის ქვეშ აყენებს რეგულირების დამოუკიდებლობის პრინციპს. ამ შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო სახელმწიფოს ნაცვლად დამოკიდებულია მსხვილი გადახდისუნარიან კომპანიაზე, რომელიც ყველაზე დიდ როლს თამაშობს კომისიის ბიუჯეტში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მარეგულირებელი დიდ და პატარა კომპანიებს შორის გამართულ რაიმე სახის დავის დროს პატარა კომპანიის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას;
- მარეგულირებელ კომისიას მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები არ რჩება შემოსავლებში და ამის მიუხედავად წლების განმავლობაში არ ხდება რეგულირების საფასურის შემცირება;
- წყლის სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები აშკარად მიმართულია ამ სფეროს „დერეგულირებისკენ" და შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლების მიდგომა ამ ობიექტების პრივატიზებას ითვალისწინებს. თუმცა არ მომხდარა ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება. საქართველოს უმეტეს რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის პრივატიზება შეუძლებელია, რადგან იგი არაა მიმზიდველი კერძო ინვესტორთათვის.

საბაზაზრო ეკონომიკის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულება ბაზარზე კონკურენციის განვითარება-მხარდაჭერაა. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს სამეწარმეო საქმიანობის ისეთი სახეობები, სადაც კონკურენცია ობიექტური გარემოებების გამო არაეფექტური ან საერთოდ შეუძლებელიცაა. ასეთი მდგომარეობა საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს და მას უნივერსალური ეკონომიკური ხასიათი გააჩნია. ამის კარგი მაგალითია ბუნებრივი მონოპოლიის სფერო. ბუნებრივი მონოპოლია, ესაა მდგომარეობა, როდესაც:

- წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბაზარზე ერთი მეწარმე სუბიექტია;
- მოქმედებს „მასშტაბის ეკონომიის პრინციპი". ამ შემთხვევაში ერთ მეწარმეს (ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტს) შეუძლია საქონლისა თუ მომსახურების მოცემულ ბაზარზე მიწოდება უფრო მცირე დანახარჯებით, ვიდრე ორ ან მეტ ფირმას კონკურენციის პირობებში. ასეთ პირობებს ადგილი აქვს, ეგრეთწოდებული, საზოგადოებრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებისას, რომელსაც შესაძლოა ურთიერთშემცვლელი საერთოდ არ ჰყავდეს. ამასთან პროდუქციის ნებისმიერი მოცემული რაოდენობისას, ფირმების რაოდენობის ზრდა იწვევს თითოეული ფირმის წარმოების მოცულობის შემცირებას და საშუალო მთლიანი დანახარჯის ზრდას;
- პროდუქციაზე მოთხოვნა სხვა სახის საქონელზე მოთხოვნასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე;
- მთელს მსოფლიოში აღიარებულია, რომ

ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების ფუნქციის შესრულება ყველაზე რაციონალურად დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია. ყველაზე დიდი გამოცდილება ამ მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია, სადაც დამოუკიდებელ მარეგულირებლებს ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების ასწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

მაინც რაში მდგომარეობს დამოუკიდებელი მარეგილირებელი ორგანოს ეფექტიანობა?

- უკეთესი შესაძლებლობები იქმნება ეკონომიკის კონკრეტულ სფეროში პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისთვის. საფუძველი ეყრება დარგის თვითდაფინანსებას; კონკრეტულ სექტორში სტიმულირდება კერძო ინვესტიციების განხორცილება, დგინდება გამოკვეთილი და სამართლიანი თამაშის წესები ამ სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისთვის;
- ეკონომიკის კონკრეტული სექტორი თავს იზღვევს პოლიტიკური ჩარევისაგან. კერძოდ, ასეთი გავლენისაგან უკეთ იქნება დაზღვეული ტარიფები, აგრეთვე დარგში განსახორციელებელი სხვა ხასიათის მარეგულირებელი ღონისძიებები;
- ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხდება (ცალკევდება) სახელმწიფოს კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები;
- იქმნება ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები, იზრდება მათგან მეტი დახმარების მიღების შესაძლებლობა, რაც ასე მიშვნელოვანია საქართველოსთვის;

საქართველოს კანონმდებლობამ მარეგულირებელი ორგანოს სტატუსი განსაზღვრა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არცერთ სხვა სახელმწიფო უწყებას და ორგანიზაციას არ ექვემდებარება. იგი მოქმედებს კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, იქმნება ვალდებულებაც რომ კომისიამ, როგორც სსიპ-მა თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს.

მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) :

- გასცეს ლიცენზიები და ნებართვები, შეაჩეროს, გააგრძელოს ან გააუქმოს მათი მოქმედების ვადა; ამასთან მოახდინოს მათი მოდიფიცირება საჭიროების შემთხვევაში;

ტარიფების დადგენა და რეგულირება;

- საჯარო განხილვების მოწყობა სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე;

მარეგულირებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება აქვთ მხოლოდ სასამართლო ორგანოებს.

მაგალითისთვის განვიხილოთ საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების ეროვნული კომისია. ის ყველა დანარჩენი მარეგულირებლის მსგავსად, ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, შეიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს და ატრებს თავისი ხარჯების და ბუღალტერიის ანგარიშების ფინანსურ აუდიტს. ამასთან, ის არაა დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე. ამ სფეროს რეგულირების მიზანია კონკურენციის განვითარების საფუძველზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების ტარიფების სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა.

კომისიის დაფინანსების წყაროა რეგულირების საფასური და საქრთველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვანი შინაარსისაა. ე.ი ვასკვნით რომ კომისიის დაფინანსების წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი ნამდვილად არ წარმოადგენს. ელექტროენერგეტიკულ სექტორში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 19 ლიცენზიატი.

ვინ არის რეგულირების საფასურის გადამხდელი?

- ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, განაწილების და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიატები;
- ელექტროენერგეტიკული სექტორის კომერციული ოპერატორი (ესკო), მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები; ასევე ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის მიმწოდებლები;

ამგვარი დაფინანსების მოდელი ბევრისთვის ობიექტურ ეჭვს ბადებს იმის თაობაზე იქნება თუ არა კომისიის მიერ სადავო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები მიკერძოებული შედარებით „მსხვილი გადამხდელების" სასარგებლოდ.

აღვნიშნოთ ის გარემოებაც რომ ენერგეტიკის და წყალმომატეგების მარეგულირებელი კომისიის მიერ რეგულირების საფასური ცალ-ცალკე არის განსაზღვრული რეგულირებადი სფეროების ათვისებისათვის და ისინი შესაბამისი პროდუქტისა თუ მომსახურების ტარიფში აისახება. ასევე, როგორც წესი, მარეგულირებელ კომისიებს მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები არ რჩე-

ბათ და შესაბამისად წლების განმავლობაში არ ხდება რეგულირების საფასურის შემცირება. 2012 წლის კომისიის წლიური ფინანსური მაჩვენებლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ დაგეგმილი ხარჯვითი ნაწილის უმეტეს მუხლებში მიღწეულია ეკონომია, რომელმაც საერთო ჯამში 1231837 ლარი შეადგინა. 2012 წლის განმავლობაში კომისიას არც საბანკო სესხით არ უსარგებლია.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ'' კანონის მიზნების განსახორციელებლად ადგილი აქვს გარკვეულწილად ფუნქციების გამიჯვნასაც, რადგან ელექტროენერგიის და გაზის სფეროში სახელმწიფო საკუთრების განკარგვის უფლება გადაცემული აქვს სამინისტროს, ხოლო მარეგულირებლის ფუნქციები- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიას. ამავე კანონის მიხედვით წყალმომარაგება არ წარმოადგენს ელექტროენერგეტიკისა და გაზის მომიჯნავე სფეროს. აქ მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები მხოლოდ წყალმომარაგების ტარიფის დადგენით შემოიფარგლება. ეს კი გამომდინარეობს წყალმომარეგების სფეროს „დერეგულირების'' მიზნიდან. უნდა ღინიშნოს რომ წყალმომარაგება იყო და რჩება სახელმწიფოს მხრიდან დოტაციურ სფეროდ, თუმცა, ამის უფლება არც ერთი დონის ხელისუფლებას არ გააჩნია. არ მომხდარა ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებაც, რადგან საქართველოს უმეტეს რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის პრივატიზება შეუძლებელია.

მთლიანობაში 2013 წლის პირველი იანვრისთვის, ლიცენზირებულია წყალმომარაგების 15 საწარმო. გასულ ზაფხულს საგრძნობლად გახშირდა მოქალაქეთა საჩივრები ქ. თბილისის ცალკეული უბნების სასმელი წყლით მომარაგების შეფერხებასთან დაკავშირებით, რის გამოც კომისიამ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი'' სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სამგერ დააჯარიმა, ჯამში 65 000 ლარის ოდენობით. ასევე, 2012 წლის მონაცემებით სასმელი წყლის მიწოდებამ ქვეყნის მასშტაბით შეადგინა, დაახლოებით, 400 მლნ მ3, რაც 4.8 %-ით ნაკლებია 2011 წლის მაჩვენებელზე.

რაც შეეხება ბუნებრივი გაზის სექტორს 2012 წელს კომისიას ამ სფეროში ლიცენზია არ გაუცია; პირიქით ორ საწარმოს გაუუქმდა განაწილების ლიცენზია. ამჟამად, სულ მოქმედებს 56 ლიცენზია და მაგისტრალური სისტემა კი მოიცავს 10 გაზსადენს. 2012 წელს გაზის სექტორში კომისიაში შემოსული 189 სადავო საკითხიდან 130 ანუ 68,78 % ეხებოდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს''.

ნათელია, რომ საქართველოში ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირებასთან და მითუმეტეს სემეკის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება გავამახვილოთ მარეგულირებელი ორგანოს მოვალეობაზე, დაიცვას როგორც მომხმარებლების, ისე ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების უფლებები, განსაკუთრებით ტარიფების და მომსახურების ხარისხის კუთხით.

საბოლოოდ დასკვნის გვინდა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

ბუნებრივ მონოპოლიას თავისი არსით დიდი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის, რასაც მარეგულირებელი კომისია უწყობს ხელს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

მნიშვნელოვანია შეიცვალოს კომისიის არსებული დაფინანსების მოდელი, რომელიც აღმოფხვრის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას „რეგულირების საფასურის მსხვილი გადამხდელების'' სასარგებლოდ; კერძოდ, შესაძლებელია შეიქმნას კომბინირებული დაფინანსების მოდელი, რომელშიც სახელმწიფოც იქნება ჩართული და ეს კომისიის საქმიანობას უფრო ეფექტიანს გახდის;

საჭიროა აუთვისებელი სახსრების შესაბამისად მოხდეს რეგულირების საფასურის შემცირება და ნათლად განისაზღვროს თუ რომელი ხარჯების რა რაოდენობით გაწევა შეუძლია მარეგულირებელს;

წყლის სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები აშკარად მიმართულია ამ სფეროს „დერეგულირებისკენ'' და შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლების მიდგომა ამ ობიექტების პრივატიზებას ითვალისწინებს. თუმცა არ მომხდარა ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება. საქართველოს უმეტეს რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის პრივატიზება შეუძლებელია, რადგან იგი არაა მიმზიდველი კერძო ინვესტორთათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.gnerc.org/index.php?m=572(( saqarTvelos energetikisa da wyalmomaragebis maregulirebeli erovnuli komisia, wliuri angariSi, 2012 weli);

2. http://www.gnerc.org/uploads/eleqtroenergetikisa_da_bunebrivi_gazis_shesaxeb.pdf(saqarTvelos kanoni eleqtroenergetikisa da bunebrivi gazis Sesaxeb);

3.http://www.gnerc.org/uploads/damoukidebeli%20erovnuli%20maregulirebeli%20organos%20shesaxeb.pdf(saqarTvelos kanoni damoukidebeli erovnuli maregulirebeli organoebis Sesaxeb);

4. http://www.gnerc.org/uploads/wy._lic_sia.pdf (wyalmomaragebis kompaniebi);

5. http://www.gnerc.org/uploads/gaz._lic_sia.pdf (bunebrivi gazis transportirebis da ganawilebis licenziatebi);

6. http://ern.org.ge (rubrika: semekis informaciebi);

7. ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი, ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება საქართველოში, 2009 წელი;

8. საქართველოს კანონი „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" (30.04.99 წ. №1934);

9. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ";

10. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის №95 ბრძანებულება.

## The essence of natural monopolies and its regulation in Georgia (on the example of SEMEK, (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission))

**Nina Xomeriki**

St. Andrew the first-called Georgian University of Patriarchy of Georgia

Economics and Business Administration Faculty (Junior)

natural monopoly occurs when the type of industry makes it financially impractical, if not impossible, for multiple companies to engage in the business.

problems and issues regarding An independent authority ( Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission):

- An independent authority is not financed from the state budget. Its expenses are covered from the regulation fee as well as other kinds of revenues according to Georgian legislation . Any person who carries out or intends to carry out any activity in an authorized field is obliged to pay the regulation fee. Therefore it is important to change the system. Such a mechanism of funding, which has a direct link with the company's income, does not in fact maintain the independence of an authority. In this case, such a regulatory organ does not rely uponthe government but depends upon a largescale company whose assistance usually comprises the major part of its budget. It's less likely that the commission will make a decision against such companies in case hearings on disputes between big and rather small companies.
- As a rule, there are not any unspent funds of an independent authority during a current year and, appropriately, there are no reductions in any regulatory fees.
- Fields of Regulation of Water Supply

In accordance with Georgian legislation about energy and natural gas and the statute of the Georgian National Energy and has not been considered as a peculiarity in this field. In most Georgian regions, the privatization of such an infrastructure is impossible because it is not appealing for a private investor.

# მიწაზე მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტის წევრებს, ბატონებს: ზურაბ ტყემალაძეს გიგლა აგულაშვილს

ქართველი ერის წარსული და მომავალი განპირობებულია და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის სიძლიერე მიწასთან მარადიულ ურთიერთობაშია; მიწათმოქმედ ერს მუდამ უნდა ახსოვდეს ეს.

გზა, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ, არ არის გამოსავალი. საერთოდ, ყოველგვარ აკრძალვებს და მსგავს ღონისძიებებს უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. ამ იდეის ავტორებს (ზ. ტყემალაძე, გ. აგულაშვილი) ბოლომდე არა აქვთ გათვითცნობიერებული, რას გვთავაზობენ. მსოფლიო გამოცდილება სხვა გზაზე მიგვითითებს. ვთქვათ გამოცხადდა მორატორიუმი, მერე რა? მოვიდა 2015 წლის პირველი იანვარი, რა უნდა ვქნათ? როგორ უნდა მოვიქცეთ? ეს არა აქვთ გათავისებული, უბრალოდ იციან, რომ ქვეყანაში არის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება, ხალხი დიდ გულისტკივილს გამოთქვამს. ხალხის დაკვეთა არის ის, რომ უცხოელების მიმართ სახელმწიფომ დააწესოს გარკვეული რეგულაციები (შეზღუდვები) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით. სწორედ ამ გზას ადგანან მსოფლიოს მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მან ბლანკეტური, ანუ სრული აკრძალვა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებისა, გააუქმა, მაგრამ იქვე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პირდაპირ წერია, რომ სრული აკრძალვის გაუქმება არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ დააწესოს შეზღუდვები და რაც პირდაპირ არის ჩაწერილი საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლში, ეს აძლევს კანონმდებელს იმის უფლებას, რომ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის უძრავ ქონებას როგორიც არის მიწა, მიუდგეს სხვაგვარად. ეს არ არის ჩვეულებრივი ნივთი ან საქონელი, რომელსაც როგორც გინდა ისე მოეპყრობი, მიწას, გარდა დიდი საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობისა, დიდი პოლიტიკური და კულტურული დანიშნულება აქვს ნებისმიერი ერისთვის.

სხვათა შორის ასეთი რამ ჩაწერილი აქვთ სხვადასხვა ქვეყნებს თავიანთ კონსტიტუციებში. როდესაც იგივე საკითხები იხილებოდა უცხოელებთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლოებში, სწორედ ეს ჩანაწერები გაჩნდა იქ. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაწერილია ზუსტად ეს სიტყვები, რაც ეხლა გითხარით, ასევეა, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და ა.შ. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, ჩვენც მსგავსი რეგულაციები უნდა დავაწესოთ, იმიტომ, რომ ამას უკვე არაფერი არ ეშველება, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, ამ გადაწყვეტილებამდე ის მიიყვანა იმ არასახელმწიფოებრივმა და არასწორმა ნაბიჯებმა, რომელსაც დგამდა სააკაშვილი და მისი მთავრობა სასოფლო-სამეურნეო მიწასთან მიმართებაში. ეს ისედაც არასრულყოფილი კანონი იყო. პრაქტიკულად იმ მომენტში და იმ სიტუაციაში მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, როდესაც აგებდნენ არჩევნებს და იმ სიტუაციაში გავიდა ქართული მიწა მსოფლიო ღია ბაზარზე, სადაც პრაქტიკულად არცერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არის.

ჩვენ სხვა მოწყობის ქვეყანა ვართ, გლეხი დიდი ფუნქციის მატარებელი ადამიანია, იგი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია. ქართული სოფელი ქართული სახელმწიფოს საძირკველია. მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მეწარმე ინდივიდის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მო-

შლასაც. ამიტომ დაუშვებელია, რომ ქართული გლეხობა მოწყდეს მიწას, არ იყოს მისი მესაკუთრე და პროდუქციის მთავარი შემქნელი.

აი ასე ყალიბდებოდა გლეხი, როგორც მცველი, პატრონი, დარაჯი ამ ქვეყნისა და ამ მიწის. ქართველი გლეხი თავის საკუთარ მამულს, ქართული სახელმწიფოს სახელით იცავდა. ეს არ ესმით ამათ. 16 მაისს, როდესაც საქართველოს პარლამენტი იხილავდა ჩემი და ჩემი მეგობრების საკანონმდებლო წინადადებას ამ საკითხთან დაკავშირებით, დავინახე ტრაგედია, რომ მათ არა აქვთ ასეთი სამართლებრივი ცოდნა და საერთოდ, უსუსურები იყვნენ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, ორი პატარა ბავშვი, გოგო და ბიჭი, უვიცები ამ სიტყვის სრული გაგებით, დამახინჯებულები ბენდუქიძის ფსევდოლიბერალური ხედვებით. ნახეთ, რა ხდება მთელ მსოფლიოში, შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, აქვს კანონი, რომლის თანახმადაც შეიძლება უცხოელმა მიწა იყიდოს, არც ჩვენ უნდა ავკრძალოთ. მაგრამ იქ არის გარკვეული მოთხოვნები. მას უნდა ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლად ცხოვრების გამოცდილება, აგრარული შრომის გამოცდილება, მას უნდა ჰქონდეს სათანადო კაპიტალი მიწის დამუშავებისათვის, ინდოელები რომ დარბიან სოფლის მეურნეობის სამინისტროში და შეღავათიანი კრედიტები ჩვენ მოგვეცითო, შენ ამას თუ ყიდულობ, კეთილი უნდა ინებო და შენი ფული მოიტანო კაპიტალდაბანდების სახით, ეს პრაქტიკულად კაპიტალდაბანდება არ არის და ეს ხელისუფლებამ უნდა გაიგოს და გაითავისოს. ჩვენ სასწრაფოდ, ახლავე გვაქვს დასაწყები მუშაობა რა უნდა გავაკეთოთ, აღსადგენი გვაქვს კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ, იქ შესატანია ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებები, მიწის საბაზრო სისტემაში მოქცევის არა ერთი, არამედ ორი გზა არსებობს, ერთი, არის მიწის კერძო საკუთრება და მეორე, მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა, ჩვენ ეს უნდა შემოვიტანოთ და უცხოელებთან ძირითადად ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ გადასახედი გვაქვს კიდევ ისეთი საკითხი, როგორიც არის გაუქმებული მუხლი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე, აბა რისთვის ყიდულობს უცხოელი ამ მიწას, რომ მერე პროფილი შეუცვალოს? ბენდუქიძის მოსაზრებებით უნდა ვიაროთ? მსოფლიოში მოსახლეობის მატებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება (საქონელი)".

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავის რჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის მეოთხე მუხლი 2012 წლის 26 ივნისის ეხებოდა. შესაბამისად აკრძალვა უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე კანონის დღევანდელი რედაქციით, მე-4 მუხლის 1 პრიმა პუნქტით შემდეგნაირია:

„საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული არიან თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე".

კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტი კი მხოლოდ ამავე მუხლის 1-პრიმას ფარგლებში აძლევს უფლებას უცხოელს რომ ჰქონდეს საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწა. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-4 მუხლი მთლიანობაში ძალიან ბუნდოვანია, და იძლევა მრავალგვარი განმარტების საფუძველს. იგი კანონმდებლის მიერ დახვეწას საჭიროებს.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა (ზ. ტყემალაძე, გ. აგულაშვილი) სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისებაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ, იმავდროულად ითვალისწინებს, რომ კანონის მე-4 მუხლი 2015 წლიდან სხვაგვარი რედაქციით უნდა ამოქმედდეს. აღნიშნული ინიციატივით დღევანდელი კანონის მოქმედ რედაქციას ემატება პირთა ახალი წრე, და ეს არის საზღვარგარეთ რეგისტრირებული (უცხო ქვეყნის) იურიდიული პირები, რაც დაუშვებელი და მიუღებელია საქართველოს ინტერესებისათვის.

**P.S.** ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, დანიაში იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას.

აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მსგავსი დამოკიდებულებაა მსოფლიოს სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც მოქმედებს ასეთივე კანონები. იქ მთავრობის მიერ შექმნილია მიწის ტრიბუნალი ან სპეციალური მიწის კომისია, რომლებიც განიხილავენ მიწის ყიდვის მსურველთა ან ინვესტორთა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საქმიანობის შესახებ წინადადებებს და მკაცრი ფილტრაციის შემდეგ ღებულობენ შესაბამის გადაწყვეტილებას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში მიწის ფონდის 1%-ზე ნაკლებია გასხვისებული უცხოელებზე. საქართველოც ვალდებულია ასევე მოიქცეს.

ზოგადად, დასავლეთის კანონმდებლობა უარყოფითადაა განწყობილი უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე მიწის გასხვისების საკითხისადმი. უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ. ამასთან, მიწის შესყიდვის მსურველის ან ინვესტორის სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებთან (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია და ა.შ.). დაბოლოს, გამოსავალი ერთია, საქართველომ მიწათსარგებლობის ახალი კანონი უნდა მიიღოს.

პაატა კოღუაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

# „ჩვენი ხუთი ძირითადი ფასეულობაა: პროფესიონალიზმი, კარგი მმართველობა, მრავალფეროვნება, სტაბილურობა და ერთიანობა.“



ინტერვიუ საინვესტიციო და საკონსულტაციო ჯგუფის, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ აღმასრულებელ დირექტორთან, ბატონ აიეტ კუკავასთან.

ბიზნესის წარმართვა ზოგადად, და მით უმეტეს საქართველოში, არც თუ ისე ადვილია. ზოგიერთი „გამართლებას“ არქმევს წარმატებას, ხოლო წარუმატებლობას – ასევე მოუძებნის რაიმე გამამართლებელ სიტყვას. ჩვენ კი გვგონია, რომ საჭიროა, როგორც გალაკტიონი ბრძანებდა, „ნიჭი ძამიკო, ნიჭი“. დღეს ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის ცნობილი რუბრიკის - „ბიზნესის გარშემო“, - სტუმარია საინვესტიციო და საკონსულტაციო ჯგუფის, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ აღმასრულებელი დირექტორი, ერთ-ერთი წარმატებული და უფრო დიდი წარმატებების პერსპექტივების მქონე, ახალგაზრდა ბიზნესმენი, ბატონი აიეტ კუკავა. რომელიც ნამდვილად გამორჩეულია თავისი ნიჭიერებით, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულ საქმეებში, კერძოდ ბიზნესში. დღეს ჩვენ სწორედ ამის დემონსტრირებას ვაკეთებთ ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის. ატონი აიეტი ისაუბრებს ჰოლდინგისა და მისი შვილობილი კომპანიების შესახებ, როდის და როგორ შეიქმნა, რა სერვისები აქვთ დღეისათვის, რა გეგმები აქვთ მომავალში და ასე შემდეგ. ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ჩვენი საუბარი არა მხოლოდ საინტერესო, არამედ, მაგალითის მიმცემი და სასარგებლო იქნება ბევრი ინიციატივიანი, შემოქმედებითი, კრეატიული ადამიანებისთვისაც, განსაკუთრებით კი სტუდენტებისა და დამწყები ბიზნესმენებისათვის.

- ბატონო აიეტ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება როგორც კომპანიის შესახებ ინფორმაცია, ასევე, თქვენი პიროვნული დამოკიდებულება ბიზნესისადმი. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ამერიკაში (აშშ) მიიღეთ განათლება. იქნებ მოგვიყვეთ სად, როდის და რა მიმართულებით.

- თითქმის 20 წელია საქართველოს საფინანსო სექტორში ვეწევი საქმიანობას. ჩემი კარიერა ამ სფეროში ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო „აბსოლუტბანკში“, რომელიც იმ დროს, ერთ–ერთ წამყვან ბანკს წარმოადგენდა. შემდეგ, გავაგრძელე პროფესიული განათლება, რაშიც ამერიკული ე. მასკის (**EDMUND S. MUSKIE**) სახელობის სტიპენდია დამეხმარა და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მივიღე ამერიკულ უნივერსიტეტში, მასაჩუსეტსის შტატში. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, „პეპსი–კოლა ბოთლერს საქართველოს“ ფინანსური მენეჯერი გახლდით. 2004 წლიდან კი, საკუთარი ბიზნესის მშენებლობას მოვკიდე ხელი. პირველი წარმატებული პროექტი, საქართველოს ოთხ წამყვან ბანკთან ერთად, პირველი საკრედიტო ბიუროს დაარსება იყო. როგორც მოგეხსენებათ, „კრედიტინფო საქართველო“ დღესაც რჩება წამყვან საკრედიტო ბიუროდ საქართველოში. საკრედიტო ბიუროს დაარსებამ, დიდი წვლილი შეიტანა ქვეყანაში საბანკო და საფინანსო სექტორის განვითარების საქმეში.

- როგორ აღმოჩნდით ბიზნესში, თანაც წარმატებულ ბიზნესში, რომელიც სისტემატურად განაგრძობს ზრდას?

- პირველი პროექტის წარმატებულად განხორციელების შემდეგ, გადავწყვიტე ჩემს ამერიკელ და ევროპელ პარტნორებთან ერთად, ჩამომეყალიბებინა კომპანია, რომელიც ბაზრის ჯერ კიდევ აუთვისებულ სეგმენტზე იქნებოდა ორიენტირებული. ასეთ სეგმენტად კი, საშუალო და მცირე ბიზნესი მივიჩნიეთ, რაც განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. საქართველოში კი, ეს სექტორი საკმარისად განვითარებული არ არის. სწორედ ამიტომ, ჩვენი ჯგუფის სერვისები სწორედ ამ სეგმენტის მომსახურებაზეა ორიენტირებული. ჩვენ ვცდილობთ, შევთავაზოთ მათ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტები, დაფინანსების ალტერნატიული საშუალებები, ასევე,

მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურებით, დავეხმაროთ მათ საკუთარი ბიზნესის განვითარებაში.

**- როდის შეიქმნა „ალიანს ჯგუფი" და რამდენი ფირმაა (მიმართულებაა) გაერთიანებული ამ ჯგუფში?**

- სს „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი" დაარსდა 2005 წელს, ქართველი, ამერიკელი და ევროპელი აქციონერების მიერ. ის წარმოადგენს საინვესტიციო და საკონსულტაციო ჯგუფს, რომელიც ამჟამად მართავს ფინანსურ სფეროში დივერსიფიცირებულ შვიდ შვილობილ კომპანიას. აქედან, სამი საფინანსოა: სალიზინგო, მიკროსაფინანსო და საინვესტიციო, ხოლო საკონსულტაციო კუთხით გვაქვს ქონების შეფასებისა და მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ენერგეტიკისა და ბიზნეს ინფორმაციის სექტორებში.

ჩვენი მიზანია, კომპანიისა და მომხმარებლების ინტერესები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ფილოსოფიის ქვაკუთხედს კი მათთან სანდო და ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ჩვენი გამორჩეული კორპორატიული კულტურა და ბიზნესის ეთიკური წარმოება – ის მორალური კომპასია, რის გამოც ირჩევენ ჩვენთან თანამშრომლობას პარტნიორები და მომხმარებლები, თანამშრომლებს კი, გუნდში გაწევრიანებისა და დარჩენის სურვილი უჩნდებათ. ჩვენი ხუთი ძირითადი ფასეულობაა: პროფესიონალიზმი, კარგი მმართველობა, მრავალფეროვნება, სტაბილურობა და ერთიანობა. ნებისმიერ დროს ვისწრაფვით, ვიყოთ გულისხმიერნი, კრეატიულები და საიმედო. ყველაფერ ამას კი, ხაზად გასდევს ეთიკური ბიზნესის წარმოება.

ასეთი მიდგომით, დაარსებიდან მოკლე დროში, კომპანიამ მოახერხა გამხდარიყო საქართველოს ფინანსური სექტორის სწრაფად მზარდი, საიმედო პარტნიორი. ფინანსურ და საკონსულტაციო სექტორებში მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებით, ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კონკრეტულ მოთხოვნებზე მორგებული კომპლექსური მიდგომით.

**- მოკლედ აღვწეროთ თითოეული შვილობილი კომპანიის საქმიანობა:**

- ამ წლების განმავლობაში, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგს" განხორციელებული აქვს ინვესტიციები მაღალ–რენტაბელურ და პერსპექტიულ პროექტებში, რომელიც უქმნის ღირებულებას არა მხოლოდ ჩვენს მომხმარებლებს, არამედ მთელ საზოგადოებას. დღემდე, კომპანიის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ფინანსური სექტორის განვითარებაში.

როგორც ავღნიშნე, ამჟამად, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი" მართავს შვიდ შვილობილ კომპანიას, რომლებიც საფინანსო და საკონსულტაციო სფეროში მოღვაწეობენ. თითოეული კომპანია ინოვაციური სერვისებითა და მაღალ–ხარისხიანი მომსახურებით გამოირჩევა.

1) „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალიანს ჯგუფი" საქართველოს მოქალაქეებს ადვილად ხელმისაწვდომ, მრავალფეროვან და მაღალი ხარისხის ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს. ხუთი ფილიალის (თბილისი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, წალკა) დახმარებით, აფინანსებს ქალაქებსა და რეგიონებში არსებულ როგორც ფიზიკურ პირებს, ისე მიკრო, მცირე და საშუალო ზომის მეწარმეებს. 2013 წლისათვის, კომპანია უკვე 7000–მდე მომხმარებელს მოემსახურა. ამ ეტაპზე კომპანია სამი სახის საკრედიტო პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს: ბიზნეს, აგრო და სამომხმარებლო სესხებს.

კომპანიის ძირითადი მისიაა აქტიურად შეუწყოს ხელი მცირე ბიზნესისა და აგრო სექტორის განვითარებას საქართველოში, რაც დასაქმებულთა რაოდენობისა და ცხოვრების დონის ზრდას განაპირობებს. ვაცნობიერებთ იმასაც, რომ მდგრადი განვითარება საზოგადოების ყველა წევრისათვის, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების გარეთ მცხოვრები მოსახლეობისათვის, ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფას მოითხოვს.

2) „ალიანს ჯგუფი ლიზინგი" პირველი დამოუკიდებელი, არასაბანკო სალიზინგო კომპანიაა საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს ფინანსურ, საოპერაციო და უკუ–ლიზინგის მომსახურებას სთავაზობს. 2006 წელს დაარსების შემდეგ, ის უკვე მოემსახურა 4000–ზე მეტ კლიენტს და დააფინანსა 16 მლნ. ა.შ.შ დოლარის მოცულობის ტრანზაქცია. კომპანიის სალიზინგო მომსახურება თბილისის გარდა, შემდეგი რეგიონებისთვისაცაა ხელმისაწვდომი – ქუთაისი, ბათუმი ზუგდიდი და წალკა. „ალიანს ჯგუფი ლიზინგი" მჭიდროდ თანამშრომლობს ქვეყნაში მოქმედ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რათა სალიზინგო პროდუქტები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს რეგიონებში, განსაკუთრებით კი, სოფლის მოსახლეობისათვის.

3) „ალიანს ჯგუფი კაპიტალი" - 2006 წელს დაარსებული კერძო საკონსულტაციო და საფინანსო კომპანიაა, რომელიც ჯერ კიდევ განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარების სტადიაში მყოფ კომპანიებს საფინანსო და საკონსულტაციო მომსახურებას, კაპიტალის მოზიდვისა და დაფინანსების შესაძლებლობებს სთავაზობს. დაარსების დღიდან, კომპანიამ მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა წამყვან ქართულ ბანკებთან და საინვესტიციო ფონდების,ფინანსური ინსტიტუტებისა და კერძო ინვესტორებისათვის საიმედო და მყარი პარტნიორის სახელი მოიპოვა.

„ალიანს ჯგუფი კაპიტალის" მისიაა უზრუნველყოს ისეთ მზარდ კომპანიებსა და პროექტებში ინვესტირება, რომელთაც რეალური პოტენციალი აქვთ, გახდნენ არსებული ბაზრის ლიდერები. ექსპერტთა და პროფესიონალთა გუნდი უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, გრძელვადიანი განვითარებისათვის. ყოველი პროდუქტი მომხმარებელთა საჭიროებებსა და მოთხოვნებზეა მორგებული. "ალიანს ჯგუფი კაპიტალი" წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლს კომპანიებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის.

4) „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო", პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც ბიზნეს ინფორმაციის შექმნას, დამუშვებას, გამოცემასა და გავრცელებას ემსახურება. კომპანიამ ლიდერისა და სანდო ბიზნეს ინფორმაციის მომწოდებლის პოზიცია დაიკავა ქართულ ბაზარზე, რაც საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად აჩქარებს და შესაბამისად, ახალი ბიზნეს ინვესტიციების მოზიდვის მყარ საფუძველს ქმნის.

2013 წელს, კომპანიამ დააარსა შვილობილი კომპანია, სააქციო საზოგადოება "ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო" (ბია), რომელიც მართავს ყველაზე დიდ და მუდმივად განახლებად მონაცემთა ბაზას და ფლობს ბიზნეს ინფორმაციას საქართველოში აქტიურ 10,000–მდე კომპანიაზე. უკვე 10 წელზე მეტია, ეს ბაზა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია უცხოელი ბიზნესებისათვის, საქართველოში არსებულ კომპანიებზე პერსპექტივების შეფასებაში. დღეს, მისი მომხმარებლები ადგილობრივი კომპანიებიც გახდნენ.

5) „ალიანს ენერჯი" - 2011 წელს დაარსებული,მზარდი ენერგო პროექტების მართვის კომპანიაა, რომელიც ქართულ ენერგო სექტორში მომგებიანი და მდგრადი პროექტების პორტფელის გაზრდას ემსახურება. კომპანიის მიზანია, ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენება წყლის, ქარის, მზისა და თერმო ენერგიის საწარმოებლად.

„ალიანს ენერჯი" მომხმარებელს პროდუქტებისა და მომსახურების ფართო არჩევანს სთავაზობს, მათ შორის, მიკრო, მცირე, საშუალო და დიდი ჰიდრო ელექტრო სადგურების მშენებლობა და ოპერირება (ექსპორტი) და ენერგო სექტორში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ამჟამად, „ალიანს ენერჯი" აშენებს მცირე ჰიდრო ელექტროსადგურს ნაბეღლავში, რომლის სიმძლავრე 2.00 მგვტ–ს შეადგენს.

6) „ალიანს ჯგუფი ფროფერთი" - დაარსდა 2011 წელს, მომხმარებლისათვის უძრავი და მოძრავი ქონების შესახებ პროფესიონალური სერვისისა და კონსულტაციის გაწევის მიზნით. კომპანია საბანკო–საფინანსო ინსტიტუტებს ინტეგრირებულ სერვისებსა და კონსულტაციას სთავაზობს, უძრავ და მოძრავ ქონებაში ინვესტიციის განხორციელების ნებისმიერ საკითხზე. „ალიანს ჯგუფი ფროფერთი" რამდენიმე წამყვანი საფინანსო ორგანიზაციის პარტნიორია უძრავი და მოძრავი ქონების შეფასების საკითხში. კომპანიის სერვისები მოიცავს აქტივების მართვას, შეფასებას, კაპიტალის გაუმჯობესების დაგეგმვას, უძრავი ქონების ბაზრის ანალიზს, საბროკერო გაყიდვებსა და უძრავი ქონების ყიდვა/გაყიდვის ტექნიკურ დახმარებას.

7) „ალიანს ჯგუფი ინფორმაციული ტექნოლოგიები" – 2011 წელს დაარსებული, სწრაფად მზარდი Iთ კომპანიაა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო მომხმარებლებს ბიზნეს საქმიანობაზე ორიენტირებულ პროგრამულ უზურნველყოფას, ქსელის მართვას, ვებ გვერდების დიზაინსა და სხვადასხვა სახის Iთ მომსახურებას სთავაზობს. დაარსებიდან მოკლე დროში, კომპანიამ განახორციელა ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიცაა უნიკალური პროგრამა უძრავ–მოძრავი ქონების შესაფასებლად; უნივერსალური მონაცემთა ბაზა - ბიზნეს ინფორმაციის კატალოგი, ინოვაციური პორტალი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისთვის საქართველოში და სხვ.

**- ხომ არ იგეგმება ახალი ჯგუფის დამატება?**

- ჩვენი ჯგუფის მომსახურება საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც ერთის მხრივ, გვეხმარება ჩვენი საფინანსო და საოპერაციო რისკების შემცირებაში, ხოლო მეორეს მხრივ – საშუალებას გვაძლევს,ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სტრატეგიული და

დიდი პოტენციალის მქონე სექტორების განვითარებაში.

ჩვენ მუდმივად ჩვენი შეილობილების და პროდუქტების განვითარებაზე ვართ ორიენტირებული. ასევე, ვაკვირდებით ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და ამ მოვლენების შედეგად, წარმოქმნილ შესაძლებლობების ათვისებაზე ვართ მიმართულები.

- რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

- როგორც ავღნიშნე,„ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი" 2005 წლიდან ეწევა ბიზნესსაქმიანობას. ამ პერიოდის განმავლობაში, დავასაქმეთ ასეულობით ადამიანი და მოვემსახურეთ ათასობით კლიენტს. დაარსების დღიდან, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სახელმწიფო ორგანოებთან და ჩვენს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია მილიონობით ლარი. დამატებით, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული გვაქვს 100 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია.

ჩვენი კომპანიის ყველაზე ძლიერ აქტივს თანამშრომლების ნიჭიერება და ყველაზე გამომწვევ ეკონომიკურ პირობებშიც კი, მაქსიმალური შედეგისკენ სწრაფვა წარმოადგენს. ნებისმიერ საქმიანობაში, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, გამოცდილებასა და პარტნიორებისა და თანამშრომლების გუნდურ მუშაობას. ასეთი მიდგომა და მისწრაფება, პროფესიონალიზმზე, გამჭვირვალობასა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ კორპორატიულ კულტურასთან ერთად, „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგს" დინამიურ, მზარდ და საიმედო პარტნიორს ხდის, როგორც პარტნიორებისათვის, ისე მომხმარებლების, თანამშრომლებისა და ადგილობრივი ეკონომიკისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენს ჯგუფში 100–მდე ადამიანია დასაქმებული მთელი ქვეყნის მასშტაბით.

- ბუნებრივია, ზრდა გაგრძელდება. თუ საიდუმლო არ არის, რა გეგმები გაქვთ?

- როგორც მოგახსენეთ, ჩვენ მუდმივად ჩვენი არსებული სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე ვართ ორიენტირებული. ბოლო პროდუქტი, რომელიც 2013 წლის აპრილში ჩავუშვით, არის უნიკალური მონაცემთა ბაზა „ბიზნეს კატალოგი" (წწწ.ბცატ.გე), რომელიც 10 000–მდე კომპანიის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოიცავს.

ჩვენი მონაცემთა ბაზა ერთგვარი სახელმძღვანელო და ონლაინ პარტნიორია ქართველი მეწარმეებისათვის, საქმიანობის დაწყებამდე და მის შემდეგაც, კომპანიების განვითარების ყველა ეტაპზე, რადგან ის ხელს უწყობს მეწარმეებს რისკების შემცირებასა და ეფექტურობის ზრდაში, ბიზნესის სწორად დაგეგმვაში, პარტნიორების იდენტიფიცირება-შესწავლაში, პოტენციური მომხმარებლების, მიმწოდებლებისა და სხვა პარტნიორების შერჩევაში, და სხვა. ეს არის პროდუქტი რომელიც კომპანიებს დაზოგვინებს რესურსებს და, ამავდროულად, გაზრდის მათი საქმიანობის ეფექტურობას.

ჩვენი ძირითადი გეგმაა, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებითა და მომხმარებლებისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, „ბიზნეს კატალოგის" გაუმჯობესება და განვითარება. მინდა, მივმართო ყველა ბიზნესის წარმომადგენელს, შემოგვიერთდნენ საქართველოში ბიზნეს ინფორმაციის კულტურის დანერგვაში. ჩვენი აზრით, ეს არა მარტო ჩვენი, არამედ, თითოეული ბიზნესმენის პასუხისმგებლობა და ინტერესია.

- მინდა დამწყებ ბიზნესმენებს ურჩიოთ, როგორ დაიწყონ ბიზნესი. გვითხარით თქვენი აზრი.

- ნებისმიერი საქმის დაწყებას, მითუმეტეს, თუ ეს ბიზნესს ეხება, აუცილებელად ესაჭიროება მიზანმიმართულობა, მონდომება და მოტივაცია. თუ შენი საქმე არ გიყვარს და წარმატების ბოლომდე არ გჯერა, ალბათ, ჯობია თავიდანვე სხვა საქმეს მიჰყო ხელი. ბიზნესი დიდ შრომას, ნებისყოფას და უამრავი დაბრკოლების დაძლევას მოითხოვს, ეს კი შეუძლებელია, თუ არ გაქვს საკმარისი მოტივაცია და ენერგია. საქართველოში უმეტესობას ყველაფრის მიღწევა ერთ დღეში უნდა, ეს კი ბიზნეს სამყაროში ძალიან რთულია. საჭიროა დეტალური გათვლები, დაგეგმარება, შესაბამისი გუნდის მობილიზება და მხოლოდ დიდი შრომის შედეგად, შესაბამისი შედეგის მიღწევა.

- გვჯერა, თქვენი და თქვენი ბიზნესის წინსვლისა ბატონო აიეტ. დიდი მადლობა, რომ დრო დაგვითმეთ და ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდეთ. წარმატებებს გისურვებთ და ღმერთი გფარავდეთ.

- გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის"
მთავარი რედაქტორი ლოიდ ქარჩავა
01.07.2013წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეურნე ილიასეული გონების თვალით

## პაატა კოღუაშვილის წიგნის - „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით" შესახებ

გონების თვალი, ფიზიკური გარემოს აღმქმელისაგან განსხვავებით, სივრცისა და დროის უკიდეგანო ჭვრეტის ძალას ფლობს. მისი არე მით უფრო ფართოა, რაც უფრო ძლიერია გონება. დიდი ილიას გონების თვალი იმითაა განსაკუთრებული, რომ ის წარსულის თუ მომავლის მოვლენებს ძირში წვდება, უმთავრეს ტენდენციებს ნათლად ჭვრეტს. ამიტომაცაა, რომ მისი ნააზრევი დროის მიჯნებს სცდება და მძლავრი ძალის ჭეშმარიტებას არ კარგავს, თაობათა ცხოვრების წიგნად რჩება.

ილია განსაცვიფრებლად მასშტაბური, მრავალმხრივი მოაზროვნე იყო, რაც მისი მხატვრული ქმნილებებით, ბასრი პუბლიცისტური ნაშრომებით, ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტოლოგიური კვლევებით, პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობით ვლინდება. მათში მზის შუქივით ჩანს გენიალური პიროვნება, ბრძენი, ღრმა პატრიოტიზმთან ეროვნულობასთან შეწყვილებული, საკაცობრიო იდეების მოღადდადე გიგანტი მოაზროვნე, დიდ დემოკრატი, ყველა ადამიანის მეგობარი, თანამგრძნობი, მეჭირნახულე.

ილიას სიდიადე ნათლად გამოჩნდა ცხოვრების მიერ წამოჭრილი ყველა თემისადმი მის დამოკიდებულებაში, როგორიცაა: ცხოვრების საზრისი, ადამიანის თავისუფლება, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, ადამიანთა შორის ურთიერთობები, სოციალური ფასეულობები, ეკონომიკური, ყოფითი პრობლემები. ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს ილიას ნააზრევში და პრაქტიკულ მოღვაწეობაში იკავებს სოფლის მოწყობა, მისი ყოველმხრივი განვითარება, სოფლის მეურნეობის პროგრესი, ქართველი მეურნე კაცის ღირსებები და ხვედრი.

აგრარული ეპოქის შვილი, რომელიც ნათლად ხედავდა მის სამშობლოში, ახალი ინდუსტრიული ტალღის შემოტევას გარდამქმნელ როლს, გვასწავლის, რომ სოფელი უკვდავია, მისი ადგილი შეუძლებელია გაქრეს კაცობრიობის ცხოვრებიდან. ყველა ერი, ქვეყანა, მათ შორის საქართველო, იმდენად მოაწყობს ბედნიერ ცხოვრებას, რამდენად დროის შესაბამისად წელში გამართული, კეთილმოწყობილი, განვითარებული სოფელი ექნება. ისევე როგორც მუდამ დასჭირდებათ ადამიანებს საკვები, თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს სოფელი და სოფლის მეურნეობა. ილია გვმოძღვრავს, რომ სოფელი არაა მხოლოდ სასურსათო პროდუქტების წარმოება, ის ხალხის, საკაცობრიო ცხოვრების შენაკადია, ცხოვრების წესის, კულტურის ნაწილია.

სოფლისადმი დიდი ილიას დამოკიდებულება, მისი იდეების თანამედროვე ჟღერადობას, ნებისმიერი ჩვენგანი – ქალაქელი თუ სოფლელი, საქმიანობის ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი, მათ შორის ხელისუფლებისა, ღრმად უნდა აცნობიერებდეს. ამ მიზანს ემსახურება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიკოსის, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ პაატა კოღუაშვილის ახალი წიგნი.

ილიაზე, მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე იმდენად ბევრია დაწერილი, რომ ერთი ადამიანის ცხოვრება არც კმარა მათ წასაკითხად. თითქოს ძნელია ახალი სიტყვა ითქვას. სამწუხაროდ, ილიას სხვადასხვაგვარად გებულობენ, ხშირად საკუთარ შეხედულებებს გადმოგვცემენ მის აზრებად. ილიას ზოგიერთები წარმოგვიდგენენ მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწედ, დროის ჩარჩოში ან ქვეყნის ერთი კუთხის, თუნდაც ერთი ქვეყნის ფარგლებში მოქცეული მოაზროვნედ. ამართივებენ, სიღრმის გარეშე წარმოგვიდგენენ მის შეხედულებებს, მემკვიდრეობას. ამიტომ დღესაც მნიშვნელოვანია მართალი, დროის შესატყვისი ჟღერადობით გადმოცემული ილიას ნაფიქრალი და ნაღვაწი.

სწორედ ასეთია პროფესორ პაატა კოღუაშვილის წიგნი ილიაზე, რომელიც უმთავრესად ილიას სოფლისადმი, სოფლის მეურნისადმი დამოკიდებულებას ეძღვნება. მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება ამ ასპექტით და არც შეიძლებოდა სხვანაირად. ეს თემა გადმოცემულია ილიას, როგორც მოაზროვნისა და მოღვაწის, მთლიანობით კონტექსტში. პაატა კოღუშვილის ნაშრომის მთავარი ღირსება, ჩემი აზრით, ისაა, რომ ილიას აზრები და მოღვაწეობა ფართო ხედვით, სწორედ ილიასეული გააზრებითაა მკითხველისთვის მოწოდებული. ავტორის სტრიქონები დატვირთულია არა მარტო ილიასეული სიბრძნით, არამედ ემოციებით, განწყობით, გრძნობებით, რაც

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მათ ცოცხალ ენერგიას ანიჭებს და მკითხველზე ზემოქმედების ძალას მატებს. ჩვენ თვალწინ დგას ილია გონების თვალით დანახული ქართველი გლეხის ამაღლებული ფიგურა: „უბრალო გლეხობაა სული და გული ჩვენი ეროვნული იმედები". ილია გვმოძღვრავს: „გლეხია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალი", „ერის ფესვი და რეზერვი". ამაზე ღრმად, ამაზე ადამიანური სითბოთი ვინმეს წარმოუდგენია გლეხი კაცი სადმე?! რამდენად აუცილებელია ყველა – დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო აცნობიერებდეს ამას. ბატონი პაატა კი თავისი დამოკიდებულებით სოფლისადმი, ფართო ხედვით, გონებით და უფაქიზესი ადამიანური გრძნობით ნერგავს გლეხკაცის როლის ამ ღრმა გაგებას.

პაატა კოღუაშვილმა ილიას ნააზრევებიდან განსაკუთრებით გამოჰყო ის პრობლემები, რომლებიც თანამედროვე საქართველოს სოფლის განვითარების საკვანძო გამოწვევებთან უშუალო კავშირშია. მათი სწორად გადწყვეტის გარეშე სოფლისა და ქვეყნის განვითარება ვერ შედგება. ისინი ეხმიანება თანამანედროვე განვითარების ხარვეზებს და მწვავეს.

აქ პირველ რიგში უნდა ითქვას სოფლად სამართლიან საკუთრებით ურთიერთობათა დამკვიდრების შესახებ, რის გარეშე მუდმივი წინააღმდეგობები, დაბრკოლებები იარსებებს და ვერ შეიქმნება კეთილდღეობის საფუძვლები სოფლის მოსახლეობისა და მთელი ქვეყნისთვის. ცნობილია, თუ რა დიდი ზრუნვა და ამაგი გამოიჩინა, იდეური და სამათლებრივი ბატალიები გამართა ილიამ თავის დროზე გლეხის საკუთრებაში მიწის გადაცემასთან დაკავშირებით. მას ნათლად ესმოდა, რომ საკუთრების გარეშე არ არსებობს პიროვნება და პიროვნული თავისუფლება: „საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას". მიწის საკუთრების, როგორც ადამიანებისა და მთელი ქვეყნისათვის, ეროვნული ინტერესებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტის საფუძვლად ავტორი სავსებით მათებულად თვლის ილიას თვალსაზრისს. მიწა უნდა იყოს საერთო–ეროვნულ და ქვეყნის მაცხოვრებელთა, მიწის დამმუშავებელთა საკუთრებაში. ავტორი ააშკარავებს იმ ულტრალიბერალთა უნიადაგო შეხედულებას, რომლის მიხედვით ნებისმიერ უცხოელს კარი უნდა გაეხსნას ქვეყანაში შემოსასვლრლად და მიწის საყიდლად. მიწის დაცვა სამშობლოს დაცვის ტოლფასად უნდა გამოცხადდეს. არ კმარა ილიას სახელის ხშირი ხსენება, მის აზრების დეკლარირება, საჭიროა მისი იდეების ჭეშმარიტი გაგება და განხორციელება.

გასაოცარია ილიას ჩახედულობა სოფლის პრობლემებში, განვითარების საკითხებში, მათი მეცნიერული სიღრმით წვდომა, რაც პაატა კოღუაშვილმა მძაფრი ქღერადობითა და სიზუსტით წარმოადგინა ნაშრომში. ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას, ტექნოლოგიურ პროგრესს, კადრებით უზრუნველყოფას, სასოფლო–სამეურნეო წარმოების ორგანიზაციას, საფინანსო–საკრედიტო ურთიერთობებს, სასოფლო–სამეურნეო ნედლეულის, განსაკუთრებისთ ყურძნის გადამუშავებას, პროდუქციის გასაღებას, კვების პროდუქტების იმპორტს, ქართული სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. შთამბეჭდავი და საოცრად მიმზიდველია ილიას მიერ სოფლის პრობლემების გადმოცემა არა მარტო ქართული, არამედ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების მასალების ფართოდ და ღრმა ცოდნით, მდიდარი ინფორმაციის მოხმობით ევროპული წყაროებიდან და სხვ. ეს იმ ეპოქის ინფორმაციულობის დონის გათვალისწინებით, გაკვირვებასაც კი იწვევს. ილიას შესახებ პაატა კოღუაშვილის ამ ახალ წიგნში ყოველივე ეს დროის სულისკვეთების შესატყვისად აისახა.

ერთ–ერთი უმთავრესი საკითხია საზოგადოებრივი მოწყობის, სისტემის პროგრესულობა, რაზეცაა გამოკიდებული ქვეყნის გამძლეობა, მდგრადობა. ილიას მიხედვით იგი დროის შესატყვისი უნდა იყოს. ამან გადაარჩინა ქართველობა მრავალ გასაჭირს; „ჩვენი წყობა ისეთი ყოფილა, რომ იქიდამ ჰქონია ის ძალ–ღონაე, რომლითაც იგი გაძლოლია ამოდენა ვაი–ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში".

ინდივიდუალურად და განცალკევებულად, კარჩაკეტილად ადმიანები ვერ მოაწყობენ თავიანთ ცხოვრებას. ეგოისტური და და უხეში ინდივიდუალისტური მრწამსი ილიასთვის უცხოა. იგი ერთობისკენ, ადამიანური ურთიერთთანამშრომ–ლობისკენ მოუწოდებს: „ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე კარგად უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთლდღეობაში". ან კიდევ „ყველამ უნდა დააჩუმოს თავისი „მე", საცა სასახელო და სადიდებელი „ჩვენ" უნდა ჰღაღადებდს." ილიას ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება ცხოვრებაზე ერთობით, ურთიერთ თანადგომით გამსჭვალულ ცხოვრების ქართულ მსოფლხედვას, განსხვავებით საკუთარ ნაჭუჭში, ინტერესებში ჩაკეტვის მომხრეებისაგან (თუმცა

ასეთებიც, სამწუხაროდ, არიან).

უეჭველია, რომ ილიას მოძღვრების ღრმად ცოდნა და გააზრება დაეხმარა ავტორს ნაშრომის ბოლო ნაწილში მწყობრად, სისტემურად და დამაჯერებლად გადმოეცა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მთლიანობაში სოფლის თანამე-დროვე მდგომარეობა, ეპოქის კონტექსტში წარმოედგინა მათი განვითარების თანმიმდევრული და მეცნიერულ საფუძველზე განმტკიცებული ანალიზი და კონცეფცია. აქ არ შევუდგებით ავტორის ნააზრევის გადმოცემას, ძნელიც არის ამისი მოკლედ გაკეთება. მას მკითხველი თავად უნდა გაეცნოს. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ შემდეგი.

აუცილებელია ხაზი გაესვას ავტორის მიერ ილიას დიადი მოძღვრების გაცოცხლებას ქართული სოფლის დღევანდელი გამოწვევების ფონზე და მათი გადაჭრის გზების ძიებას ილიასეული სიბრძნის დახმარებით. პაატა კოღუაშვილის ნაშრომის ბოლო ნაწილი, რომელიც ეძღვნება ქართული სოფლის, საერთოდ, და აგრარული პროდუქციის წარმოების, კერძოდ, პრობლემებს, მათ უმწვავეს ხასიათს, ჩიხიდან, კრიზისიდან გამოყვანის გზებს, უთუოდ მრავალგზის აწონილ–დაწონილი, გააზრებული, პროგრამულია. სავსებით დასაბუთებულია ნაშრომში გადმოცემული ქართველ აგრარიკოსთა თვალსზრისი, რომ საქართველოს თავისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით შეუძლია 10–12 მლნ ადამიანის სამყოფი სასურსათო პროდუქცია აწარმოოს თანამედროვე ტექნოლოგიების, წარმოების ორგანიზაციისა და ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, მაშასადამე, იყოს ამ პროდუქციის წარმატებული ექსპორტიორიც. ამ ფონზე რაოდენ სავალალოა ქვეყანაში უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის არსებობა, სადაც ჩაბმული ერთი მუშაკი 2--3 ადამიანის სარჩენ პროდუქციას თუ იძლევა, მაშინ როცა აშშ–სა და ევროპაში დაახლოებით 90–ს არჩენს. სურსათზე ჩვენი მოთხოვნილების 80 პროცენტი იმპორტით რომ კმაყოფილდება, ეს მეტად საგანგაშოც კია.

პაატა კოღუაშვილის ნაშრომში წრმოდგენილი მეცნიერული კონცეფცია და კონკტერულ ღონისძიებთა სისტემა, რომელიც შეეხება აგრარული წარმოების განვითარების, არსებულ ყველა ძირითად ხარვეზს და ყველა მხარეს, ღონისძიებას, სახელმძღვანელოდ უნდა მიიღონ არა მარტო ხელისუფლების ყველა რგოლმა, არამედ აგრობიზნესის, მეურნეობის ყველა ტიპის წარმომადგენლებმა, რომელთა საქმიანობის ხარვეზების ერთობლივი შედეგია დღეს სოფლად არსებული სიტუაცია.

ავტორი არანაკლებ ყურადღებას აქცევს მთლიანობაში სოფლის განვითარების საკითხებს, მისი სოციალური ინფრასტრუქტურის, სოციალურ–ეკონომიკურ ურთიერთობათა, კულტურულ, პოლიტიკური მოწყობის საკითხებს. საგულისხმოა, რომ ეს ასპექტები განხილულია ფართო, სოციალურ–ფილოსოფიური რაკურსით, თანამედროვე აზროვნების დონეზე, ცხოვრების წესის, საერთო–საკაცობრიო ფასეულობათა კონტექსტში.

ავტორს ღრმად წამს კეთილდღეობის, ადამიანთა სიმდიდრის ილიასეული ბრძნული გაგება: „რა არის სიმდიდრე? ასში და ათასში ერთის ოქროში ჯდომა, თუ ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია და ეგ უკანასკკნელია, ჩვენი ფიქრით, ერთადერთი საწყაო ერის სიმდიდრისა." სწორედ ესაა ის, რისი გათავისება დღეს ბევრს აკლია და ჭირდება. ამ სულისკვეთებითაა დაწერილი პაატა კოღუაშვილის წიგნი, რაშიც ჩანს მის მიერ ქვეყნის მთავარი საზრუნავის სრულად გაცნობიერება.

ნაშრომის გაცნობა უთუოდ ადვილად მიგვიყვანს იმ აზრამდე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბრძენი წინამორბედის მოძღვრება, მეცნიერული აზრი ცხოვრების გამოწვევბის საპასუხოდ, მათ დასაძლევად და, ამასთანავე, თუ რამდენად საზიანოა, დიდი დანაკარგების შემცველია მათი უგულებელყოფა. აქ შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს აზრი იმის შესახებაც, თუ ვინ უნდა იდგეს საჭესთან ამგვარ პრობლემათა გადაწყვეტისას.

იმედია ჭეშმარიტება თავის გზას ოდესღაც მაინც იპოვის და თავის ადგილს დაიჭერს, თავის საქმეს გააკეთებს.

გიორგი მალაშხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

# უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

## საფრანგეთის პრეზიდენტმა მდიდრები ვერ დაბეგრას

ფრანსუა ოლანდი წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას ვერ ახერხებს. აპარაკია მდიდრებისათვის შემოსავლების დაბეგვრაზე. ის მთავრობაში მოვიდა დაპირებით, რომ ყველა, ვისი შემოსავალიც წელიწადში მილიონ ევროზე მეტს შეადგენს, 75%-იან დაბეგვრას დაექვემდებარებოდა. ეს დაპირება საგადასახადო კოდექსშიც ჩაიწერა, თუმცა საკონსტიტუციო საბჭომ ცვლილება არაკონსტიტუციურად ცნო. საბჭოს წევრებმა საფრანგეთის მმართველ კოალიციას - „სოციალისტებს“ განუმარტეს, რომ პერსონალური დაბეგვრის იდეა საოჯახო დაბეგვრის პრინციპს არ შეესაბამება. საფრანგეთში საოჯახო ბეგარას მეუღლეები ერთობლივად იხდიან; ამასთან, ეს კანონი ქვეყნის საქმიან იმიჯს დააზიანებს. ბევრი მდიდარი ფრანგი მზად არის, მოქალაქეობა შეიცვალოს და გადასახადები „ახალ სამშობლოს“ უხადოს. შემოდგომაზე საკონფისკაციო კანონს ფრანგების 60% უჭერდა მხარს, დღეს კი რიცხვი 53%-ია.

## §30 მილიონი 17 წლის ასაკში

„იაჰუმ“ 17 წლის სტუდენტისაგან §30 მილიონად შეიძინა აპლიკაცია, რომელიც „აიფონისათვის“ არის განკუთვნილი. ნიკ დალოიზიოს ფული აპლიკაცია შუმმლყ-ის სანაცვლოდ გადაუხადეს. ს აპლიკაცია ემსახურება სმარტფონებში ახალი ამბების ნაკადების მოხერხებულად წარმოჩენის პრობლემის გადაჭრას. მის მუდმივ მომხმარებელთა შორის არიან მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი და ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ონო, მსახიობი ეშტონ კუჩერი და ბიზნესმაგნატი ლი კა-შინგი. „თუ კარგი იდეა გაქვთ, ან თუ ფიქრობთ, რომ ბაზარზე თავისუფალი ნიშაა, უბრალოდ შეავსეთ ის. ბევრი ინვესტორ სწორედ ახლა ეძებს კომპანიებს დასაბანდებლად“ - განაცხადა აპლიკაციის გაყიდვისას ნიკ დალოიზიომ. ბრიტანელ-ავსტრალიელი ნორჩი მილიონერი ლონდონში დაიბადა, ცხოვრობდა ავსტრალიაშიც, 9 წლის ასაკში უყიდეს პირველი კომპიუტერი, ხოლო პროგრამების წერა 12 წლისამ დაიწყო.

## კომპიუტერებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა

მსოფლიოში პერსონალურ კომპიუტერებზე მოთხოვნა რეკორდულად შემცირდა. ანალიტიკური კომპანია Iნტერნატიონალ ატა ჩორპორატიონ-ის (I ჩ) ინფორმაციით, 2013 წლის პირველ კვარტალში, 2012 წლის იანვარ-მარტთან შედარებით, სტაციონარული და პორტატიული კომპიუტერების გაყიდვამ 13,9%-ით დაიკლო. გაყიდვების ასეთი მკვეთრი ვარდნა კომპიუტერების არსებობის ისტორიაში პირველია. ვარდნა სმარტფონებსა და პლანშეტებს უკავშირდება, რომლებიც პერსონალურ კომპიუტერებს პრაქტიკულად ბაზრიდან აძევებს. I ჩ-ის ექსპერტების გათვლებით 2013 წლის I კვარტალში მაღაზიებში 76,3 მლნ. პერსონალური კომპიუტერი იყო წარმოდგენილი, რაც 12,3 მლნ-ით ნაკლებია შარშანდელ იმავე დროის მაჩვენებელზე. პერსონალური კომპიუტერების გაყიდვა ზედიზედ მეოთხე კვარტალია იკლებს. განსაკუთრებით შესამჩნევად შემცირდა პერსონალური კომპიუტერების პოპულარობა აშშ-ში, სადაც გაყიდვაქ ერთ წელიწადში 18.3%-ით დაეცა.

## „შავი“ ეკონომიკა

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (მსოფლიო ბანკი, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვ.) ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა 2012 წლის მსოფლიო ჩრდილოვანი ეკონომიკის რეიტინგის შედგენა. სხვადასხვა საქონლით არალეგალური ვაჭრობის მონაცემების შედარებამ ცხადყო, რომ ყველაზე დიდი წვლილი „შავ“ ეკონომიკაში ნარკოტიკებით ვაჭრობას უჭირავს და მისი წლიური ბრუნვა, დაახლოებით, 320 მილიარდ დოლარს შეადგენს. ჩრდილოვანი ეკონომიკის რეიტინგში მეორე ადგილზეა კონტრაფაქტული პროდუქციით ვაჭრობა, რომლის ბრუნვა დაახლოებით 250 მილიარდი დოლარია, შემდეგ ადგილებზე მოდის: ადამიანის ტრეფიკინგი დაახლოებით 32 მილიარდი დოლარის ბრუნვით; გარეული ცხოველებითა

და ველური მცენარეებით ვაჭრობა – დაახლოებით 19 მილიარდი დოლარის ბრუნვით; ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა დაახლოებით 11 მილიარდი დიოლარის ბრუნვით; ხე-ტყით ვაჭრობა დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის ბრუნვით; ამდენივე ბრუენითაა შემდეგ ადგილზე წარმოდგენილი თევზით ვაჭრობა და ბოლო ადგილზე მოდის ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა დაახლოებით 0.6 მილიარდი დოლარის ბრუნვით.

### 650 აუტისტს პროგრამისტად აიყვანენ

პროგრამული უზრუნველყოფის გერმანული ფირმა **SAP**-ი სამსახურში აუტიზმით დაავადებულ 650 ადამიანს აიყვანს. სულ ამ გერმანულ კომპანიაში 64 ათასი ადამიანი მუშაობს. დაიქირავებენ აუტიზმით დაავადებულ პროგრამისტებსა და ხარისხის კონტროლის სპეციალისტებს. შ -ის თქმით, ამას მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის გამო კი არ აკეთებს, არამედ იმიტომ, რომ სურს სამსახურში მიიზიდოს უნიკალური ტალანტები, როგორებიც ხშირად არიან აუტიზმით დაავადებულთა შორის. შ -ი ახალ კადრებს დანიურ შპეციალისტერნე-თან ერთად მოძებნის, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, აუტისტების Iთ-სფეროში დასაქმებაზე მუშაობს.

### კრიზისი გემთსამშენებლო კომპანიებში

მსოფლიოში გემთსამშენებლო კომპანიებს სახარბიელო პეროდი ნამდვილად არ უდგათ. გამონაკლისთა რიგებში არ მოხვდნენ არც ჩინური კომპანიები და პრობლემების მოგვარებაში მთავრობის იმედი აქვთ. ამ კრიზისს შეიძლება ჩინეთის უდიდესი დამსაქმებელი კომპანია შეეწიროს. ჩჰინა ლონგსჰენგ ჰეავყ Iნდუსტრიეს როუპ ოლდინგ-მა განაცხადა, რომ მთელი ძალებით ცდილობს თანამშრომლებისთვის ანაზღაურების გადახდას და ისევ და ისევ მთავრობისგან ელის დახმარებას. ბუნებრივია, ეს სიტუაცია ბირჟის ფასების ინდექსზეც აისახა და კომპანიის აქციებმა 16%-ით დაიწია.

www.wsj.com

### ცვლილებები სმარტფონების ბაზარზე

გასულ წელს ჩინეთმა აშშ-ს გაუსწრო სმარტფონების ბაზრის სიდიდეში. დიდი ხნის მანძილზე სმარტფონების გლობალური ბაზარი გაყოფილი იყო ერთმანეთს დაპირისპირებული პპლე და შუმსუნგ ლეცტრონიცს-ის მიერ. მათი დამსახურებაა ის, რომ მდიდარი მომხმარებლისთვის ძვირადღირებული ტელეფონების ქონა "აუცილებლობა" გახდა. თუმცა, ამჟამად ბაზარზე სხვა მსხვილმა მოთამაშეებმაც გაიმყარეს პოზიციები. ჩინეთში შუმსუნგ სმარტფონების უდიდესი გამყიდველია და 2013 წლის I კვარტალის მონაცემებით, ბაზრის 20%-ს ფლობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთმა ჩინურმა კომპანიამ ჩამოიტოვა პპლე. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ჩინეთში არსებობს ასევე დაახლოებით 400 ნაკლებად ცნობილი მწარმოებელი, რომლებიც ჩინეთის, როგორც მწარმოებლის პოზიციებს კიდევ უფრო აძლიერებს.

www.nytimes.com

### იაპონიაში მწარმოებლობის ინდექსი გაუმჯობესდა

იაპონიაში ძირითადი მწარმოებლების ინდექსი წინა კვარტალთან შედარებით დადებითად შეიცვალა და გაუმჯობესება აჩვენა. იკკეი-მ 1.3%-ს მიაღწია, რაც უკანასკნელი თვის საუკეთესო მაჩვენებელია. გაუმჯობესდა ასევე ურთიერთობა მომსახურების სფეროში და არასაწარმოო კომპანიებისთვის მაჩვენებელი 6 პუნქტით გაიზარდა და შესაბამისმა იდექსმა 12-ს მიაღწია.

www.nytime.com

„უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები" სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის IV კურსის სტუდენტმა

თამთა ფეტელავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილოცვები

ამა წლის მაისში ეკონომიკურმა საზოგადოებამ აღნიშნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 85-ე წლისთავი.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის" სარედაქციო კოლეგიის სახელით ვულოცავთ ბატონ ლეოს დაბადებიდან 85-ე წლისთავს და ვუსურვებთ კვლავაც ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულია ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი ჟურნალის დაარსების პირველივე დღიდან, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე. ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის სახელით ვულოცავთ ბატონ ავთანდილს ამ დიდ წარმატებას და კვლავაც წარმატებულ მოღვაწეობას ვუსურვებთ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულია ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა. ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის სახელით ვულოცავთ ბატონ ვლადიმერს ამ დიდ წარმატებას და კვლავაც წარმატებულ მოღვაწეობას ვუსურვებთ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მიმდინარე წლის მარტში ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ როზეტა ასათიანს მიენიჭა პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომისათვის „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი". ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის სახელით ვულოცავთ ქალბატონ როზეტას ამ დიდ წარმატებას და კვლავაც წარმატებულ მოღვაწეობას ვუსურვებთ სამეცნიერო საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

2013 წლის სექტემბრიდან ლოიდ ქარჩავას ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორი იწყებს ფუნქციონუირებას და იწვევს ბიზნესის დაწყების მსურველებს. ასევე, შესაძლებელია კონსულტაციები ბიზნესთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო და/ან პრობლემურ საკითხებზე.

## „ლოიდ ქარჩავას ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორის" ფუნქციონირების სტრუქტურა

წარმოდგენილი მოდელის მიზანია: ა)პოტენციური ბიზნესმენების გამოვლენა და სტიმულირება; ბ)დახმარება ახალი იდეის აღმოჩენასა და მასზე ბიზნეს-გეგმის შედგენაში; გ)ბიზნეს-გეგმის დაფინანსება და შემდგომი ყოველმხრივი მხარდაჭერა ახალი ბიზნესის მართვაში; დ)ნაკლები დანახარჯით მეტი ადამიანის დასაქმება.

ის შეიძლება დავყოთ ოთხ პირობით ეტაპად:

I ეტაპი: სკოლა ატარებს მოსამზადებელ ტრენინგ-კურსებს, სადაც მსმენელები გაივლიან ბიზნესმენისათვის საჭირო ყველა საკითხებს ზოგადად. მათ შეეძლებათ შესაბამისი თეორიული მასალები, შეიძინონ ან მიიღონ უფასოდ. ტრენინგ-კურსების მსმენელები წარმოადგენენ ბიზნეს-იდეებს, ხოლო სკოლის პროფესორ-მასწავლებლები, ექსპერტები და ტრენერები დაეხმარებიან ბიზნეს-გეგმის შედგენაში. კურსის მსვლელობაში ყველა შესაძლო გზით შესწავლი იქნება მსმენელთა უნარ-ჩვევევები, მათი პასუხისმგებლური დამოკიდებულება საქმისადმი და ა.შ.

II ეტაპი: სრული კურსის დამთავრების შემდეგ, მოხდება თითოეული პროექტის განხილვა კოლეგიალურ ორგანოში, სადაც მისი წევრები თავიანთ დასკვნებსა და მოსაზრებებს წარმოადგენენ წერილობით, ხოლო სხდომაზე საბოლოოდ შეჯამდება მისი ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები.

III ეტაპი: მოწონებული პროექტი დაფინანსდება იდეის ავტორთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით. კერძოდ: რამენაირი გირავნობა არ მოითხოვება, მაგრამ სანამ პირობები სრულად არ იქნება შესრულებული, ბიზნეს-სკოლა-ინკუბატორი 100 პროცენტით იქნება მისი იურიდიული მფლობელი და თითოეულ ოპერაციას გააკონტროლებს საკუთარი კადრებით.

IV ეტაპი: საკრედიტო ვადის გასვლის შემდეგ, როცა ხელშეკრულების პირობები შესრულდება, თითოეული ფირმა დამოუკიდებლად აგრძელებს ფუნქციონირებას. თუმცა მათ შემდეგაც შეუძლიათ გაერთიანდნენ სკოლა-ინკუბატორის მიერ შექმნილ ასოციაციაში, სადაც მათ მოუწევთ მხოლოდ საწევროს გადახდა, რომლის სანაცვლოდაც ისინი მიიღებენ შესაბამის კონსულტაციებს.

ლოიდ ქარჩავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი.

მსურველებს შეუძლიათ განაცხადები გამოაგზავნონ ელექტრონულ ფოსტაზე: **neweko2007@yahoo.com** ან **Loidk@yahoo.com.** ასევე, **facebook**-ის გვერდზე **- New Economist.**

მსმენელებისთვის თითქმის არ არის შეზღუდვები პროფესიის, ასაკის, სქესის და სხვა ნიშნების მიხედვით. მთავარის სურვილი და მონდომება. დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალი ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი**

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ვებ-გვერდი: www.economisti.ge, www.loi.ge

ელ. ფოსტა: neweko2007@yahoo.com

ტელ: +995 322 99 05 76; +995 55 277 554; +995 95 32 30 34.

International Precised and Reviewed

Scientific-Practical Magazine

Web-site: www.economisti.ge, www.loi.ge

E-mail: neweko2007@yahoo.com

Tel: + 995 322 99 05 76; +995 55 277 554; +995 95 32 30 34.



# ახალი ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი**

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ვებ-გვერდი: www.economisti.ge, www.loi.ge

ელ. ფოსტა: neweko2007@yahoo.com

ტელ: +995 322 99 05 76; +995 55 277 554; +995 95 32 30 34.

**International Precised and Reviewed**

**Scientific-Practical Magazine**

Web-site: www.economisti.ge, www.loi.ge

E-mail: neweko2007@yahoo.com

Tel: + 995 322 99 05 76; +995 55 277 554; +995 95 32 30 34.

ბია
სს ბიზნეს ინფორმაცი[ის]
სააგენტო

ი. 29/44

მიიღეთ მეტი ინფორმაცია „ბიზნეს კატალოგის“ საშუალებით

10 000-მდე კომპანია • 500-მდე საქმიანობის სფერო • 30-მდე საძიებო კრიტერიუ[მი]

- სავაჭრო მარკა
- ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ
- საქმიანობის სფერო
- პროდუქტი/ მომსახურება
- კომპანიის ზომა
- თანამშრომელთა რაოდენობა
- მომსახურე ბანკი
- მომსახურე სადაზღვევო კომპანია
- ექსპორტი და იმპორტი
- საწესდებო კაპიტალი
- წლიური ბრუნვის დიაპაზონი
- ხელფასის დიაპაზონი
- კორპორატიული ავტომობილების რაოდენობა
- კორპორატიული კომპიუტერების რაოდენობა
- დამფუძნებლები და მათი წილები
- მენეჯმენტის საკონტაქტო ინფორმაცია
- მშობელი და შვილობილი კომპანიები
- ონლაინ სიახლეები (www.prx.ge)



- გაზარდეთ კომპანიის ცნობადობა ინტერნეტ სივრცე[ში]
- შექმენით კომპანიის პროფილი
- დაუკავშირდით პოტენციურ მომხმარებლებს
- იპოვეთ პარტნიორები
- გააუმჯობესეთ თქვენი ბიზნესის მარკეტინგული აქტივობები
- გააფართოვეთ პროდუქტის/ მომსახურების დაფარვი[ს] არეალი

# ბიზნეს კატალოგი

**საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ყველაზე დიდი და მუდმივად განახლებადი ონლაინ მონაცემთა ბაზა**

[www].bia.ge www.bcat.ge 47/57 მ. კოსტავას ქ. 0179 – თბილისი, საქართველო ტელ: (+995 32) 2 19 55 55 ელ-ფოსტა: sales@bia.g[e]